

ნიჭიერების საქართველო



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРЫЛИ САКАРТВЕЛО

31 იანვარი, 2014 წ.

№4 (3690)

ბამონის 78-მ წელი

ფასი 1 ლარი

„კვირის პალიტრის“ კორესპონდენტს ესაუბრება თამაზ ნიჭნივაძე

ადრე თუ გვიან „დაიჭერენ და ბასტა!“

„მე გივი თარგამაძის პირის გახსნის პერსპექტივის უფრო მჯერა, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური მომავლის“.

„ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველმა უკვე იცის – ჩემი ერთი პუბლიკაციის გამო მეც და ჩემმა გაზეთმაც მეოცნებეთა გულისწყრომა დავიმსახურეთ. მეტი რაღა გინდათ – მეც კი „დამაფიქრეს“, ნეტავ, მართლა წინა ხელისუფლების მხარდამჭერი ხომ არ ვიყავი-მეთქი?!

არა, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ამ უსაბუთო ეჭვის გასაბათილებლად უამრავი საბუთი მაქვს და ერთ-ერთს, კაი ხნის წინათ გამოქვეყნებულ საბუთ-ინტერვიუს დღეს განმეორებით შემოგთავაზებთ – თქვენც და მეოცნებეებაც რომ დაგარწმუნოთ, ჯერ კიდევ როდის ვინინანსწარმეტყველე, ქვეყანა დასაქცევად, მიშა კი გასაქცევად რომ იყვნენ გამზადებულნი.

ისე, როგორც ბოლოხანს გამოქვეყნებულ წერილებში, მანამდეც – მაშინდელი ოპოზიციისგან და დღევანდელი ხელისუფლებისგან მე სამართლიანობის აღდგენას – დასასჯელის დროულად დასჯას მოვითხოვდი...

ხელოვანთა სამყაროს ერთი ნაწილი პარლამენტის თავმჯდომარესთან დადის აუდიენციაზე, ნაწილი კი ოპოზიციის აქციებზე ათენ-ალამებს და ვერ ეგუება იმას, რაც ხდება. „კვირის პალიტრამ“ ქვეყანაში შექმნილი ვითარების შეფასება მწერალსა და კრიტიკოსს თამაზ ნიჭნივაძეს სთხოვა.

– ბატონო თამაზ, რას დაარქმევდით იმას, რაც დღეს ქვეყანაში ხდება?

– სანამ შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, თავს ნებას ვაძლევ, გულწრფელი სამძიმარი გამოვუცხადო საქართველოს მოსახლეობას იმასთან დაკავშირებით, რომ პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქვეყნის პირველი პირი მიხეილ სააკაშვილი პირველ ნომრად აღმოჩნდა თანამედროვე მსოფლიოს წარუმატებელ პრეზიდენტთან იმ ხუთკაციან სიაში, სადაც ამ პირთა სასწრაფოდ გადაყენების რიგითობაა დაზუსტებული (იხ. „კვირის პალიტრა“ №16). სამწუხაროდ, ჩვენი უბედურება აქ არ მთავრდება. როგორც ცნობილია, დღე-დღეზე მუშაობას ამთავრებს ტალიავინის საერთაშორისო საგამოძიებო კომისია, რომლის რეზოლუციის პროექტის მიხედვით, სააკაშვილს, როგორც სამხედრო დამნაშავეს, სადამ ჰუსეინივით სახრჩობელაზე დაკიდება ელის. რასაკვირველია, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი მანამდე ვლადიმერ პუტინი ვერ მოასწრებს ჩვენი პრეზიდენტის ერთი უხერხული ადგილით ხეზე დაკიდებას. თქვენ კი ამ დროს, ძვირფასო ქალბატონო, თითქოს ერთგვარი სიმსუბუქითაც კი მეკითხებით – ბატონო თამაზ, რას დაარქმევდით იმას, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება.

მოგიკვდეთ ჩემი თავი, თუ ვიცოდე და არ გითხრათ, მაგრამ, კარგად რომ არ მიდის ჩვენი

საქმე, იმით ვხვდები, საქართველოს მთელი მოსახლეობა თავის პრეზიდენტს თხილის ქურდობაზე წასწრებული მეზობლის ბიჭივით ქუჩა-ქუჩა რომ დასდევს.

კი, ბატონო, მესმის, რომ მართლაც ძნელია ამ აყლაყულა ბიჭის ფეხდაფეხ დაწევა, მაგრამ, ადრე იქნება თუ გვიან, დაიჭერენ და ბასტა! მე ჯერჯერობით ოპოზიციის ყველა ნაბიჯს ვეთანხმები – კარგებისა და საკნების გამოყენების ჩათვლით, და გული მხოლოდ იმაზე მწყდება, ეს ხალხი ამ ბრძოლაში ისეთ მარტივ ხერხს ვერ იყენებს, როგორც გოგირდის დაწვა.

არადა, რა იქნება ამაში ცუდი, სადაც მიშა გამორჩდება, იმ ადგილებში კეცზე გოგირდი რომ დაწვავთ და ის კაცი დედაქალაქიდან უხსენებელივით გაეპაციოთ; მერე, თუკი ამ ოპერაციას საქართველოს მასშტაბით გავაფართოებთ, სხვა რა გზა დარჩება იმის გარდა, ქვეყნის საზღვრები დატოვოს... ჩვენს ღარიბ ოპოზიციას ამ იდეას უფასოდ ვჩუქნი.

– ზოგჯერ ამბობენ, ქვეყნისთვის პრობლემად ერთი კაცი ვერ იქცეოდა.

– არათუ ზოგჯერ, უმეტესწილად ქვეყნის პრობლემად ერთი კაცის დიქტატურა იქცევა ხოლმე. ასე იყო ძველ რომში ნერონისა და კალიგულას დროს; XX საუკუნეში თავიანთ ქვეყნებს შიტლერი და სალაზარი აბედნიერებდნენ, დღეს კი თავის გამოჩენას უგო ჩავესი და მიხეილ სააკაშვილი ცდილობენ. ამათთან შედარებით ბელორუსი ჯალათი ალექსანდრ ლუკაშენკო მამა აბრამის ბატკანივით გამოიყურება.

ასე რომ, დღეს ჩვენი ქვეყანა დასაქცევად, ხოლო ჩვენი პრეზიდენტი გასაქცევად არიან გამზადებულნი. აქამდე კი ჩვენი ტურფა საქართვე-

ლო იმ კაცმა მიიყვანა, რომლის გადასაყენებლად ახლა რუსთაველის პროსპექტზე ათიათასობით კაცი ვართ შეკრებილი. ტკივილამდე შეძრწუნებული ვაცხადებ და უმორჩილესად გთხოვთ, პირდაპირ ჩაწეროთ: თუ საქართველოს სიკვდილი უწერია, რაც აქამდე ზღაპრად და გამოგონილად გვეჩვენებოდა, გამორიცხული არ არის, დღეს ამ სულელი ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის ხელში სინამდვილედ იქცეს.

– მის გარემოცვაზე რას იტყვით?

– დამიჯერეთ, გიგი უგულავა იმდენად მალე დაგვაგინცდება, უნდა ჩავთვალოთ, თითქოს მერის თანამდებობაზე არც ყოფილა. არყოფილის თემა კი გალაკტიონს მშვენივრად აქვს დამუშავებული: „სინამდვილეს არ ვემდურნი/ არ ყოფილა თითქმის/ არყოფილზე საყვედური/ არასოდეს ითქმის“. სულ სხვაა ვანო მერაბიშვილი. მე ამ კაცის სახელი და გვარი იქიდან მახსოვს, ერთხელ ტელეეთერით რომ გახმაურდა: პოლიციელების მიერ გაკოჭილი ერთი ახალგაზრდა კანცელარიის ეზოდან ზემოთ ეძახდა: ჰაი, ჰაი, ვანო, უთხარი ამ ხალხს, გამომიშვან, შენთვის ორმოცდაათი ათასი დოლარი მაქვს გადმოსაცემიო. მას შემდეგ კი, რაც ვანოს უწყებამ ტელეფონებთან ერთად, ყველა იმ საგნის მოსმენა დაიწყო, რაც ხმას გამოსცემდა, ბარათაშვილის მიბაძვით ასეთი სტრიქონები დაწერე: „ვინ იცის, ვანო, რას ბუტბუტებ/ ვისთვის რას იტყვი/, მრავალ მოსმენის მონამე ხარ/ მაგრამ ხარ უტყვი – მგონი, პირუტყვიც“.

ზურაბ ადვიშვილი არც მე და ჩემსავით არც სხვებს უნახავთ. ამ ხელისუფლების უჩინმარინის ქუდია, თუ ქუდი ახურავს, არსად ჩანს. ხოლო, თუ ქუდს მოიხდის, როგორც ქალის ტანზე ლამაზად მოცმული თხელი კაბა, ტელევიზიის ეკრანიდან ისე ილანდება. რაც შეეხება გივია თარგამაძეს, ჩვენმა ყველაზე ცნობილმა „უცნობმა“ თითქმის გააუკვდავა ეს კაცი. თავს ნებას ვაძლევ, ამ ერთადერთხელ „უცნობის“ ხმით მეც მოვიკითხო: გი-ვი-იი!!!

– იქნებ, ოპოზიციის ლიდერებიც დაგვიხასიათოთ?

– რაკი მე თვითონ თავი ოპოზიციონერად მიმაჩნია, ჩემი სფეროს წარმომადგენლებს ვერ გავაკრიტიკებ. ერთს კი ვიტყვი, რა თვისებებიც მათში

პირველი გვერდიდან

მომწონს, იმათ ჩამოთვლას დიდხანს არ მოვუწოდებ, ხოლო, რაც მათში არ მომწონს, ყველა ერთად რომ ჩამოვთვალო, თავზე დაგვათენდება.

დღეს ხელოვნება სამყაროც გაიყო. რატომ ხედავენ სხვადასხვანაირად რეალობას ეს ადამიანები?

ამ სფეროს უდიდესი და უკეთესი ნაწილი პრეზიდენტის მხარდამჭერი ნამდვილად აღარ არის, ხოლო სააკაშვილის მომხრე ხელოვნების მუშაკები სიმციროსა და სისუსტის გამო საზოგადოებრივ აზრს ვერაფრით შექმნიან. რაც შეეხება იმას, რომ სააკაშვილი შესანიშნავი პრეზიდენტი, ეს ზღაპარი დღეს არათუ სხვებს, მგონი, აღარც თავად პრეზიდენტის მეუღლეს სჯერა, აღარც პრეზიდენტის დედას და არც პრეზიდენტის ბებიას.

ბატონო თამაზ, თქვენი აზრით, რით დამთავრდება ხალხის პროტესტი?

– როგორ წარმოგიდგენიათ, შეიძლება მთელ ქართველ ხალხს და მთლიანად საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლების სათავეში უკანონოდ მოსული რამდენიმე ახალგაზრდა მოერიოს? ნუთუ ეს ისეთივე დაუჯერებელ ამბად არ მიგაჩნიათ, როგორც ის, რომ ერთ დღეს ვინმემ გითხრათ, გაცვებისგან გივი თარგამაძემ პირი მაგრად დაალო. მერწმუნეთ, საზოგადოებაში არსებული მუხტის შეჩერება აღარავის შეუძლია.

დიალოგი თუ იქნება შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი?

– არ შეიძლება იმ კაცთან გამართო დიალოგი, ვისაც შუბლის ძარღვი განწყვეტილი აქვს. თუმცა ამ მდგომარეობიდან რაღაც გამოსავალი მეც მაქვს: მგონი, საქართველოს მთელი მოსახლეობა იმ საკნებში უნდა ჩავსხედეთ, რომელთაც ახლა ქვეყნის მასშტაბით დგამენ. სააკაშვილი გარეთ საკუთარი თავის პრეზიდენტად დავტოვოთ – ხალხის გარეშე დარჩენილი პრეზიდენტი პირველ ხანებში ბუმტების ბერვით შეიქცევის თავს,

მაგრამ, ალბათ, მალე ესეც მოსწყინდება და, თუ ამასობაში სადმე დათოვა, იმ ქვეყნისკენ გასწევს სასრილო. ჩვენ კი, საკნებში გამოკეტილი საქართველოს მოსახლეობა, მომავალ პრეზიდენტად ამუამინდელი ციხე-კოლონიების მინისტრ ბატონ შაშკინს ავირჩევთ. ის იქნება ჩვენი პატრონი როგორც ციხეში, ისე მის გარეთაც. როგორც შიშველი ხელებით დუქნის დათვის ვერ მოსტაცებ ლიმონათის ბოთლს ტუჩიდან, ასევე ძნელია სააკაშვილისთვის პრეზიდენტის სკამის წართმევა. რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ შეუძლებელი სულაც რომ არ არის, ეს სულ მალე გამოჩნდება. თუ ასე არ მოხდა, შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ არაფერი მცოდნია... მე გივი თარგამაძის პირის გახსნის პერსპექტივის უფრო მჯერა, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური მომავლის.

ესაუბრა იზომ რიპაძე
გაზ. „კვირის პალიტრა“,
27 აპრილი-3 მაისი, №17 (769), 2009 წ.

თამაზ ბაგჩალიძე

როგორც ცნობილია, „ევროპა“ და „აზია“, ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით, საერთო კონტინენტს წარმოადგენს და გავრთიანებულია „ევრაზიის“ სახელწოდებით ამ საერთო კონტინენტის დაყოფა „ევროპულ“ და „აზიურ“ ნაწილებად არსებითად პირობითია, უფრო გეოპოლიტიკური ფაქტორებით არის შეპირობებული და ძირითადად კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს ემყარება.

გეოგრაფიული სახელები „ევროპა“ და „აზია“ ანტიკური სამყაროდან მომდინარეობს და ძველ ბერძნულ საკუთარ სახელებს წარმოადგენს, მეტად გავრცელებულს ბერძნულ მითოლოგიაში. ცნობილი ბერძნული მითის მიხედვით, ევროპა იყო ფინიკელი მეფის ქალიშვილი, რომელიც გაიტაცა ღვთაება ზევსმა, ხარად გარდაქმნილმა, უნძულ კრეტაზე. აქ მათ ეყოლათ შვილი მინოსი – უნძულ კრეტის მეფე. მეფე მინოსს უკავშირდება სწორედ კრეტაზე ცნობილი სასახლის – ლაბირინთის – ამუამინდელი ბერძენის თესვის ხარათან – მიწათპროტან, აქ შემოქმედდა და მისი ლაბირინთიდან გამოყვანა არიანდეს ძაფის დახმარებით.

თვით ბერძნული სახელები „ევროპა“ და „აზია“ სემიტური წარმომავლობის სიტყვებს უკავშირდება, შესაბამისად, „სალამოს“, „მზის ჩასვლისა“ და „გამოსვლის“, „მზის ამოსვლის“ მნიშვნელობით. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ევროპა ბერძნულ მითოლოგიაში სწორედ ფინიკელი (ე. ი. სემიტე) მეფის ქალიშვილი იყო.

ძველი ბერძენებისათვის საზღვარი სამხრეთ ევროპასა და აზიას შორის კოლხურ მდინარე „ფაზისზე“ გადიოდა. მდინარე „ფაზისი“ გაიგივებულია დღევანდელ „რიონთან“. თუმცა „ფაზისის“ სახელწოდებით ბერძნულ სამყაროში სხვა მდინარეებიც აღინიშნებოდა, შესაძლებელია, მდინარე „ჭოროხიც“. ამდენად, „ევროპის“ საზღვრად სამხრეთში, ტრადიციული წარმოდგენების თანახმად, რიონი ან ჭოროხი უნდა მივიჩნიოთ და ზოლი „ევროპასა“ და „აზიას“ შორის კავკასიონის ქედის გასწვრივ კი არ უნდა გავავლოთ, არამედ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით არსებული მდინარეების დინების გაყოლებით ვივარაუდოთ.

ამ თვალსაზრისით „კოლხეთიც“, „კოლხეთის სამეფოც“ ძველი ბერძენებისთვის მთლიანად ევროპაში მდებარეობდა და „ევრაზიული“ კონტინენტის საკუთრივ „ევროპულ“ ნაწილს განეკუთვნებოდა. „ზანური“ – დღევანდელი მეგრულ-ლაზურის წინაპარი დასავლურ-ქართველური დიალექტი – იყო სწორედ კოლხური სახელმწიფოს ენა, რომელზედაც, როგორც ივარაუდება, მეტყველებდნენ აია-ქვეყნის, ე. ი. „კოლხეთის“, მეფე აიეთი და მისი ქალიშვილი – გრძნეული მედეა. მას აკაკი შანიძე „კოლხურს“ უწო-

დებს. სწორედ აქედან ისეხსენებენ ბერძენმა არგონავტებმა „ტყაყის“ აღმნიშვნელი კოლხური სიტყვა

„ტყოვ-“ ტყოვ- (მდრ. მეგრ. ტყე-ი, ლაზ. ტყე-ი) „ოქროს სანძისის“ გამოსახატავად (ბერძნ. კოვ-), რომლის მოსაპოვებლად ისინი უძველეს ხანაში კოლხეთისკენ გამოემართნენ.

უახლესი გამოკვლევების თანახმად, კოლხური სახელმწიფოებრიობის არსე-

კავკაზ“, ინგლ. „South Caucasus“, გერმ. „Sudkaukasus“ თავდაპირველად ჩვენ მიერ იყო შემოთავაზებული „Завкавказье“ – „Transcaucasia“ ტერმინებიც ნაცვლად ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს და ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებული ჩანს).²

მაგრამ თანამედროვე გეოპოლიტიკური ნომენკლატურის თანახმად, რომელიც ძირითადად „ცივი ომის“ პერიოდში

საქართველო ევროპაა თუ აზია?

ბობა ჩვენ უკვე ძვ. წ. XV საუკუნისათვის უნდა ვივარაუდოთ, რამდენადაც მიკენური ეპოქის ბერძნულ წარწერებში „ძვ. წ. XV-XIV ს.ს.) დოკუმენტურად დასტურდება მრავალი სახელი, რომლებიც „არგონავტების მითიდან“ იყო ჩვენთვის ცნობილი. მათ შორის ისეთი სახელები, როგორცაა „აია (ქვეყანა)“, „კოლხიდა“, „იასონი“ და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დაგვასკვნათ, რომ საქართველო და, საზოგადოდ, სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი, უძველესი წარმოდგენების მიხედვით, „ევრაზიული“ კონტინენტის სწორედ ევროპულ ნაწილშია მოქცეული, განსხვავებით რიონისა და ჭოროხის სამხრეთით მდებარე რეგიონებისაგან (ანატოლია, ირანის ზეგანი, მესოპოტამია), რომლებიც, ამავე წარმოდგენების თანახმად, კონტინენტის აზიურ ნაწილს განეკუთვნება და თანამედროვე გეოგრაფიულ ნომენკლატურაში „წინა აზიის“ ან „სამხრეთ-დასავლეთ აზიის“ სახელწოდებით არის ცნობილი (გერმ. Vorderasien, ინგლ. South West Asia) ამავე არეალს ხშირად „ახლო აღმოსავლეთს“ უწოდებენ (რუს. Ближний Восток, ინგლ. Near East). ამდენად, საქართველო და „სამხრეთ კავკასია“ საზოგადოდ უნდა განვიხილოთ ევრაზიული კონტინენტის საკუთრივ ევროპულ ნაწილში მდებარე რეგიონად, რომელსაც გვთავაზობენ „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა“ ვუწოდოთ (რუს. Юго-Восточная Европа, ინგლ. South East Europe) „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის“ ანალოგიით (რუს. Юго-Восточная Азия, ინგლ. South East Asia).

რადგან „ევრაზიული“ კონტინენტის ევროპული ნაწილი შედგება „დასავლეთ ევროპის“, „აღმოსავლეთ ევროპისა“ (საზღვრებით – ურალის მთებისა და კასპის ზღვის სანაპიროს გასწვრივ) და „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისაგან“, რომელშიც შედის საქართველო და „სამხრეთ კავკასიის“, ანუ „ამიერკავკასიის“ სხვა ქვეყნები (გეოპოლიტიკური ტერმინი „სამხრეთი კავკასია“, რუს. Южный

იყო შემუშავებული, ტერმინი „აღმოსავლეთ ევროპა“ მოიცავდა სახელმწიფოებს, რომლებიც ყოფილ საბჭოთა კავშირის დასავლეთიდან ესაზღვრებოდა; ეს იყო პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და აგრეთვე ევროპის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც „ვარშავის ბლოკში“ იყვნენ გაერთიანებული და „ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს“ უპირისპირდებოდნენ; ამასთან, ბალკანეთის სახელმწიფოები სწორედ „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპად“ იწოდებოდნენ.

„ცივი ომის“ პერიოდიდან ნაანდერძევი ეს გეოპოლიტიკური ნომენკლატურა თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პირობებში ჩვენს გეოპოლიტიკურ სინამდვილესთან აშკარად შეუსაბამოა და გადასინჯვის საჭიროებს.

კერძოდ, სრულიად უდავოა, რომ ის, რაც „აღმოსავლეთ ევროპად“ იწოდებოდა, უნდა განიხილებოდეს გეოგრაფიულად, როგორც „ცენტრალური ევროპა“, ხოლო ამ ცენტრალური ზონის დასავლეთით და აღმოსავლეთით (ვიდრე ურალის ქედამდე) მდებარე რეგიონები, შესაბამისად, როგორც „დასავლეთ“ და „აღმოსავლეთ ევროპა“. ეს უკანასკნელი არეალი (ე. ი. „აღმოსავლეთ ევროპა“) დღევანდელი რუსეთის ფედერაციის მთელ დასავლურ ნაწილს მოიცავს, ვიდრე ურალის ქედამდე, ხოლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ამჟამად დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოები (ბელორუსი, უკრაინა, მოლდოვა, აგრეთვე ბალტიისპირა რესპუბლიკები) ევროპის „ცენტრალურ ზონაში“ განლაგდება. ამ თვალსაზრისით, „ჩრდილო კავკასია“ მთლიანად ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში შედის, ხოლო „სამხრეთ კავკასია“ („ამიერკავკასია“) კავკასიონის ქედს აქეთ, „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში“ აღმოჩნდება. ამდენად, ამ თვალსაზრისითაც, სავსებით ბუნებრივია, მთელ სამხრეთ-კავკასიურ არეალს „სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა“ ეწოდოს.

თანამედროვე ევროპის გეოპოლიტი-

კური ნომენკლატურის ეს საკითხები უნდა დადგეს ოფიციალურად საერთაშორისო ევროპული სტრუქტურების წინაშე და სათანადოდ გადაწყდეს არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით.

მეტად საგულისხმაოა, რომ ევროპის ერთ-ერთ ძველ რუკაზე (1575 წლისა), რომელიც შედგენილია ცნობილი კარტოგრაფის ორტილიუსის მიერ, საქართველო სწორედ ევროპის ნაწილად არის მიჩნეული და კონტინენტის იმ რეგიონში მდებარეობს, რომელსაც დღეს „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას“ ვუწოდებთ.

მაგრამ, რამდენად „წმინდა ევროპულია“ თვით ქართული კულტურა და ქართული ცივილიზაცია? რომელ სამყაროს განეკუთვნება საქართველო კულტურულ-ისტორიულად – „დასავლურს“ თუ „აღმოსავლურს“. როგორ კულტურულ-ისტორიულ კავშირებს ავლენს ქართული სახელმწიფოებრიობა თავისი სამთათსწლოვანი ისტორიის მანძილზე?

რამდენადაც საქართველო მდებარეობს ევროპის უკიდურესად სამხრეთ-აღმოსავლურ ნაწილში და კონტინენტის „აზიურ“ ნაწილს ესაზღვრება, ბუნებრივია, ქართული კულტურა და ცივილიზაცია სწორედ დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზსა და სიმბიოზს წარმოადგენს, აღმოცენებულს ამ კულტურათა შერწყმისა და შერევის შედეგად.

ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად ითვლება ანტიკური ბერძნული კულტურა და ცივილიზაცია. თვით ეს ბერძნული „ელიზური“ კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი ფესვებით ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან.

აღექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ ჩამოყალიბდა ე. წ. „ელინისტური“ კულტურა და ცივილიზაცია (გერმანელი მეცნიერის დროიხენის მიერ შემოღებული ტერმინი), რომელიც წარმოადგენდა ძველბერძნული – ელიზური კულტურის შერწყმას აღმოსავლურ კულტურულ ტრადიციებთან. ამ პროცესში წინარეისტორიულ ქართულ კულტურულ ტრადიციებსაც გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა. აღმოსავლეთიდან მომდინარე ეს კულტურული იმპულსები და გავლენები დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციაზე აისახება სწორედ ცნობილ ლათინურ სენტენციაში – Ex Oriente Lux – „სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის“.

ამ სიმბიოზური „ელინისტური“ კულტურის შერწყმით აღმოსავლურ ქრისტიანობასთან იქმნება ბიზანტიური კულტურული ტრადიციები, რომელთა სფეროში შემოდიან აგრეთვე აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მოქცეული ქვეყნები, მათ შორის, ისტორიული საქართველოც. „ელინისტური“ კულტურული ტენდენციების საფუძველზე ყალიბდება აღმოსავლური ქრისტიანობის ნიაღმი ახალი კულტურული ცენ-

ტრები, საკუთარი ეროვნული დამწერლობით და აღმოსავლურ-დასავლურ ცივილიზაციაზე დამყარებული ეროვნული კულტურული ტრადიციებით. სწორედ ესაა ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურობა და განუმეორებლობა, მისი მომხიბლველობა, როგორც დასავლეთისთვის, ისე აღმოსავლეთისთვის.

საქართველო იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ კულტურულ ცენტრად, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე არაერთი აღმავლობა და დაცემა განიცადა, ვიდრე იგი დღემდე, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო მოაღწევდა.

ისტორიამ განსაზღვრა ისე, რომ ჩვენში სათავეში მოვიდნენ პოლიტიკური ძალები, რომელთაც ქართული სახელმწიფო სრული საერთაშორისო იზოლაციიდან გამოიყვანეს და უპირატესად დასავლური ორიენტაციის წყალობით იგი ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანეს.

ამას, პირველ რიგში, ხელი შეუწყო საქართველოს და მთელი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე განთავსებული, კონტინენტის აზიური და ევროპული ნაწილების გამაერთიანებელი რეგიონისა.

თავის დროზე წამოყენებულ იქნა იდეა საქართველოს გადაქცევისა აღმოსავლეთ-დასავლეთის გამაერთიანებელ ძირითად არტერიად, ძირითად გზად და დერეფნად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ამ ფუნქციას ისტორიულად, როგორც ცნობილია, ასრულებდა „დიდი აბრეშუმის გზა“, რომლითაც სხვა საქონელთან და ნაწარმთან ერთად აღმოსავლეთიდან დასავლეთში უპირატესად ჩინური აბრეშუმი შედიოდა; დადგა საკითხი სწორედ ამ „დიდი აბრეშუმის გზის“ გაცოცხლები-სა და აღორძინებისა.

ტერმინი „აბრეშუმის გზა“ XIX საუკუნის ბოლოს გერმანულ მეცნიერებაში შეიქმნა და იხმარებოდა ჩინეთიდან დასავლეთისაკენ უძველესი სავაჭრო გზის აღსანიშნავად; აბრეშუმი ძველად დასავლეთში ჩინეთიდან შემოტანილი ყველაზე ფასეული ქსოვილი და ერთ-ერთი უძვირფასესი ნაწარმი იყო და ისევე, როგორც ნავთობი დღეს, აბრეშუმი იყო არა მარტო ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო საქონელი, არამედ ერთ-ერთი ძირითადი სავადასახადო საშუალება მთელს აღმოსავლეთში.

ამდენად, ისტორიულად საცვებით გამართლებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ახალი სავაჭრო და სატრანზიტო გზისათვის მეტაფორულად „აბრეშუმის გზის“ დარქმევა. მაგრამ, თუ ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი ნაწილი უფრო სამხრეთით გადიოდა და მხოლოდ რაღაც პერიფერიული შტო შემოდიოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დღეს საქართველოზე „ახალი აბრეშუმის გზის“ სწორედ ძირითადი არტერია გაივლის; საქართველო დღეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი რეგიონის ცენტრშია მოქცეული. შესაძლოა, უფრო გამართლებული იყოს ლაპარაკი არა ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენისა და გაცოცხლების შესახებ, არამედ „ახალი აბრეშუმის გზის“ შექმნაზე, რომლის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი არტერია სწორედ საქართველოზე გაივლის, რაც საცვებით შეესაბამება დასავლურ-აღმოსავლური ცივილიზაციებისა და ნაკადების კულტურული შერწყმისა და გაერთიანების საქართველოს ისტორიულ მისიას.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო გოეთეს სიტყვები: „დასავლურ-აღმოსავლური დივიანიდან“:

*„Wer sich selbst und andre kennt,
Wird auch hier erkennen,
Orient und Okzident
Sind nicht mehr zu trennen“.*

„ვინც თავისი თავი და სხვანი შეიცნო, აქ იმასაც შეიმეცნებს, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთს აღარ უნდა დაეცილოთ“.

რაჭის გარეგანი უსაქმეა, თუ ხელისუფლება მისთვის უზრუნველყოფს გაითავალისწინებს

XX ს-ის 50-იან წლებში მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა გუდა-ნაბადი ავიკარი და რაჭა ფეხით შემოვიარე. მაშინ სოფელი ჯერ კიდევ სუნთქავდა, რადგან, სტალინის პოლიტიკიდან გამომდინარე, სოფლის ტრადიციული სახე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრები შენარჩუნებული იყო. კოლმეურნეობები სოფლის შიგნით ჩოყალიბდა, ბრიგადები გვაროვნულ უბნებს დაემთხვა, ხოლო რგოლები გვაროვნულ უბნებში პატრონიზირულ მოდელს განახლებას. ამრიგად, კოლმეურნეთა სისტემა ცივილიზაციის საწყისებიდან სოფლებზე გადანაწილებულ ადგილ-მამულის გამოყენებას ითვალისწინებდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა. საბჭოთა იმპერიის ახალმა მესვეურებმა სოფლები პერსპექტიულ და არაპერსპექტიულ დასახლებებად დაყვეს, რაც საქართველოსთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდა. სტალინური დისციპლინის მოძღვრულ მეურნეობები გააკოტრა, ხელისუფლებამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და მათი შეერთება დაიწყო. მოიშალა სოფლების ტრადიციული გამიჯნვა, საზღვრები. მოსახლეობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვისაც გაქცევა შეეძლო, გაქცა. ეს ანომალია დღემდე გრძელდება. და აი, ანაზღაურად საბჭოთა ხელისუფლება დაემხო. საქართველომ დამოუკიდებლობა მეორედ მოიპოვა, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მრავალნაწიანად გზის დადგენის იმედით, მეცნიერული აზრის სრული იგნორირებით ხელს კვლავ ბნელში ვაცეკვებთ. რაჭა-ლეჩხუმში და მთელი საქართველო ამ გაუზრებელი პოლიტიკის მსხვერპლი გახლავთ. ორმოცდაათ წელზე მეტია, ეთნოგრაფიულ მეცნიერებას ვემსახურებო და დერეფნად, რომ მართვის პროცესები, რაც ჩვენთან მიმდინარეობს, ანარქიულია, იმპულსურია და სრულფასოვან, ჭეშმარიტ სახელმწიფო პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვს...

გეთანხმებით, მკაცრი შეფასებაა, თუ ვინმე პასუხს მომთხოვს, განმარტებებს სიამოვნებით მივცემ, ამჟამად კი რაჭა-ლეჩხუმს დავუბრუნდეთ.

საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ეთნოგრაფთა საკავშირო შეკრებები ტარდებოდა. იქ ხშირად იყო მსჯელობა ამა თუ იმ საგანგებო მოვლენაზე. ერთ-ერთი ასეთი იყო ის, რომ XX ს-ის 60-იან წლებიდან საბჭოთა იმპერიაში ამბროლაური ერთადერთი რაიონი გახლდათ, სადაც მოსახლეობის ბუნებრივი კლება დაიწყო.

ფრად სასიამოვნოა, რომ ახალმა ხელისუფლებამ არსებული დემოგრაფიული კოლაფსი გააცნობიერა და, რაჭა-ლეჩხუმში ხეცურეთის ბედი რომ არ გაიზარდოს, საგანგებო ღონისძიების გატარებაზე ფიქრობს. ისიც სასიამოვნოა, რომ დემოგრაფიული პოლიტიკა დემოგრაფიულ მეცნიერებას ფუფუნება და უეჭველია, შედეგიც არ დააყოვნებს. პროფ. ანზორ თოთაძე ახლახან გამოცემულ წიგნში – „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა“ (თბ. 2013), სწორად აღნიშნავს: „რაჭაში, სანამ კიდევ უსამკურნო გვიან არ არის, საჭიროა მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსების გატარება“ /გვ.52/. მხარს ვუჭერთ მის პრაქტიკულ წინადადებაებს. უპირველეს ყოვლისა, ესენია: დასაქმების პრობლემების გადაჭრა, ნედლეულის ადგილზე გადაამუშავება, ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენება, კურორტებისა და ტურიზმის ურთიერთშეხამება, მეურნეობის ტრადიციული დარგების გამოცოცხლება და ა.შ.

რაც შეეხება რაჭის განვითარების უპირატესი პროფილის გამოკვლას, ეს საკითხი საუკუნეების მიღმა გადნახველია. რაჭა ლეგენდარული მდინარის რიონის/ფაზისის სათავეებში მდებარეობს. იგი კოლხური კულტურისა და პირველადი მეტალურგიის ერთ-ერთი უპირველესი კერაა. ჯერ კიდევ ბრილის გათხრებმა ცხადყო, რომ აქაური მინა-წყალი ზოგად-საკაცობრიო მნიშვნელობის საგანძურის

შემცველია. XX ს-ის 60-იან წლების შემდეგ აქაურ ისტორიულ მინას არქეოლოგიის ბარი აღარ მიჰკარებია. რაც შეეხება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას, ნაშრომები შინ ამაოდ მიწყვია. ისეთი დრო დადგა, საკუთარი წიგნები თვითონ უნდა დაბეჭდო და დაარიგო – რაც დამოუკიდებელი გავხდით, საქართველოში ინტელექტუალური და შემოქმედებითი შრომა აღარ ნაზღაურდება.

საგანგაშაოა, ტექნოკრატებმა რაჭის მსოფლიო მნიშვნელობის მინა-წყალი ჰიდრო-ჰესების მშენებლობისათვის რომ განირჩეს. ეკოლოგიის დარგის მეცნიერ-სპეციალისტებმა მოსალოდნელი საფრთხე გამოვლილვით წარმოაჩინეს და რაჭას ამ მხრივაც ყოფნა-არყოფნის დილემა უდგას...

რაჭის სოფლები ხეობებში ვერტიკალურ ზონალობაშია განლაგებული. თითოეული ხეობა თემს ქმნის. დასახლებანი კერძ-მოკვლევების საფუძველზე თავის მოსავალს, ჭირნახულს ერთმანეთს უზიარებდნენ. სამწუხაროდ, ეს სიმბოზი კარგა ხნის დარღვეულია. რაჭის სოფლები საზღვრებშია შლილია, ხოლო რაჭელი კაცი ბუდემოშლილი. ამბროლაურის რაიონში ბუნებრივი კლება შემთხვევით არ დაწყებულა. სწორედ აქ მოდის საყოველთაოდ სახელგანთქმული ღვინო ხვანჭკარა, რომელიც დღეს საერთაშორისო მასშტაბით ყველაზე ფალსიფიცირებული ღვინოა. ამ ღვინოს ხელყოფამ, ტრადიციული მეურნეობის მოშლამ, ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებრივი კლება გამოიწვია. 2013 წელს შემსყიდველებმა ხვანჭკარის მომცემ წმინდა ჯიშებში – ალექსანდრეულსა და მუჯურეთულში საკმაოდ მაღალი ფასი მისცეს. ერთი შეხედვით ეს თითქოს ძალიან კარგია, მევენახეებს შემოსავალი აშკარად გაეზარდათ, მაგრამ იმაზე არავინ დაფიქრებულა, რომ ამით ხვანჭკარის ფალსიფიცაცია გაიზარდა. მსოფლიოში რაც ხვანჭკარა იყიდება, იმასთან შედარებით ამბროლაურის რაიონში მონეული ყურძენი ზღვაში წვეთია. ყურძენის ფასს გამოდევნებული არც ერთი ოჯახი ტრადიციული წესით ღვინოს აღარ აყენებს: ამზადებს ფალსიფიცირებულს, თვითონაც ინამლება და სტუმრებსაც ნამლავს. ღვინოს ვენახზე მეტი მოვლა სჭარდება, მიუხედავად ამისა, ოჯახში ტრადიციული წესით დაყენებულ ღვინოს არავითარი ფასი არა აქვს. ამრიგად, საოჯახო მეურნეობამ ყოველგვარი ფასი დაკარგა მაშინ, როდესაც იუნესკომ, საქართველოში ტრადიციული წესით დაყენებულ ქვევრის ღვინოს არამატერიალური ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ეს ფრად სასიამოვნოა და ფრად საპასუხისმგებლო, ჩვენთან კი ეროვნული მევენახეობა-მეღვინეობის მიმდევარი მეურნეების ჯანმრთელობა და ფსიქიკა შეუქცევადად იბღალავს...


როდემდე? 2013 წელს თბილისში შევანაბრად მონასტერი კოვჩებით ნაგროები ქართული ენდემური ხორბლეულის – მახასა და ზანღურის თესლი რაჭაში, ოდესღაც მათი გავრცელების არეალში, დასათესად ჩავიტანე, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლებას გული ვერ აუვრცოვდა. ჩემი შესაძლებლობებით რაჭა-ლეჩხუმში ტრადიციული მეურნეობის მიმდევარი გლეხი ვეღარ აღმოვაჩინე. ასე, რომ უძვირფასესი თესლი მინას ვერ მივაგაროთ. არადა, რაჭა-ლეჩხუმის გადარჩენა მართოდ ტრადიციული მეურნეობის აღდგენას და მკვიდრ მინათმოქმედის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას შეუძლია.

დემოგრაფიული კოლაფსიდან ქართველი ერი რომ გამოვიდეს, საქართველოს თითოეულ მხარეში კომპლექსური ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი. სახელდობრ, საჭიროა, რაჭისთვის დაუყოვნებლივ ჩოყალიბდეს მეცნიერ-სპეციალისტთა კომპლექსური ექსპედიცია, რათა ზუსტად დავადგინოთ იქ ჯერ კიდევ ცოცხალ სოფლებში მცხოვრებთა რაოდენობა; განისაზღვროს სოფლის სტატუსი, შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ სოფლების მოშლილი ისტორი-

ულ-ეთნოგრაფიული საზღვრები, შევინაგლოთ საარსებო მინა-წყლისა და ბუნებრივი რესურსების თანამედროვე მდგომარეობა; სოფლის სტატუსთან ერთად განისაზღვროს კომლის სტატუსი – მუდმივი მაცხოვრებელი კომლი; მხოლოდ ზაფხულობით მიმსვლელი – ნახევრად მიტოვებული და მიტოვებული სახლ-კარი; გაირკვეს შრომისუნარიან მუდმივ მცხოვრებთა რაოდენობა და სასურველია, მათი დასაქმება საკუთარ კარ-მიდამოში განხორციელდეს. უნდა შევძლოთ მონეული პროდუქციის სწრაფი რეალიზაცია. ჯერჯერობით რაჭასა და, საერთოდ, ქვეყნის სოფლებს, თუ ქვეყნის ხელისუფლების ორგანიზებული და კეთილი ნება იქნება, თვითგადარჩენის შესაძლებლობა აქვთ. ყოველი მკვიდრი გვარი, ყოველი პიროვნება თავის ადგილის დედას, ფუძესოფელს დაუბრუნდება, თუ ამის შესაძლებლობა იქნება. იქ უცხოთა და, მით უმეტეს, პატიმრების თუ პატიმრადყოფილთა შეყვანა ყოველად გაუმართლებელია. უცხოთა საპირისპიროდ, მკვიდრ მამულიშვილთა შთამომავლობითი შრომითი ჩვევები, თაობიდან თაობაზე გადაცემული წინაპართა ცოდნა-გამოცდილება სრულფასოვანი ადაპტაციის საფუძველთა-საფუძველია. ვიდრე საქართველოს თითოეული გვარი სიცოცხლისუნარიანია და მოქმედია, მათ გულზეში მამა-პაპათა ხსოვნა ღველფივით ღვივის, ყოველგვარი პირობა უნდა შევუქმნათ, რომ მშობლიურ მინას დაუბრუნდნენ. აქედან გამომდინარე, ყველა ჯანსაღი აზრი უნდა შეერთდეს და განზოგადდეს, თითოეული ნაბიჯი ასჯერ გაზომვისა და ერთხელ გადაჭრის პრინციპით უნდა გადაიდგას. შეუსწავლელ და არაორგანიზებულ სოფელში თანხების დაბანდება უაზრობაა. საზოგადოებისა და ხელისუფლების – როგორც ცენტრალურის, ისე ადგილობრივის – ძალისხმევა უნდა შეერთდეს. რაჭის კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიცია ამ ზამთარშივე უნდა დაკომპლექტდეს, სასურველია საქართველოს ეროვნულ აკადემიასთან არსებული საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის ბაზაზე, რომელმაც ახლახანს გამოსცა კრებული – „რაჭა, წარსული, აწმყო და მომავალი“. კრებული ამ მხარის თითქმის ყველა სასიცოცხლო დარგს მოიცავს/აღწერს.

ექსპედიცია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტდება, შეადგენს მოქმედების სრულყოფილ გეგმას და დედაქალაქშივე იმუშავებს რაჭიდან გამოსული საზოგადოებასთან. თბილისში რაჭიდან გამოსულ 100-ათასზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს. თითოეული ხეობისა და სოფლის გათვალისწინებით მკვიდრ რაჭველთა თბილური ჯგუფები შედგება. ყველამ თავის ხეობას, სოფელს და მიტოვებულ სახლ-კარს უნდა მიხედოს, თითოეულ მათგანს ორიენტირს მოქმედი სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიცია მისცემს. რაჭის საზოგადოება გარდაქმნილი რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირად, რაჭიდან გამოსული სამოცხე მეტი საგვარეულო კავშირი ჩამოყალიბებულია და ცდილობენ საკუთარ ადგილის დედას-ფუძესოფელს მიხედონ, მიემელონ და სული ჩაუდგან. ამრიგად, მასობრივი მოძრაობა დაწყებულია. მთავარია მისი შედეგიანად წარმართვა, ხალხისა და ხელისუფლების სიმბიოზი. კარსმომდგარი თვითმმართველობის არჩევნები და საყოველთაო აღწერა ხალხის ნების გამოხატვით უნდა ჩატარდეს. აუცილებელია, თითოეული მნიშვნელოვანი კანონპროექტი კანონად საერთო-სახალხო განხილვის შედეგად იქცეს, რათა ხმა ღვთისა და ხმა ერისა ქართული სახელმწიფოს მართვას საფუძველად დაედოს.

ლევან ფრუიძე



კობა იაკოვ აბა არაბული

ფხოვის საკრალურ დროთა მისტერია

ქალ-ვაჟის ურთიერთობის ეს წესი ხსნის პიროვნების ნებისყოფის წვრთნის სულ სხვა კარს, და მდებრი და მამრი სულ სხვა „ბრწყინვალეებით გამოდიან“ საკუთარ თავთან მოგებული ფსიქოლოგიური ომიდან, მათ სულ სხვა დრო და მითი უდგებთ, ასეთი (საკუთარ „მე“-ში დაძლეული) „ვნების ღამის“ შემდეგ. ამ მოვლენის არსი რა თქმა უნდა შეუთავსებელია დღევანდელი „ბოიფრენდებისთვის“, მაგრამ უცხო არ არის „ვეფხისტყაოსნისთვის“. ასმათი არც ცოლია ტარიელის, არც საციოლე, არც და! მით, უფრო, არც ფატმანის ტიპის „როსკიპი“ („ბოზო, როსკიპო დიაცო“ – რუსთველი), არის რაღაც „სხვა“ – და ეს „სხვა“ არის „სნორფერი“, ქალი – „ღისაცა უდესი!“ – ისინი ერთ გამოქვამულში ერთად ცხოვრობენ და არსად არ გვაგრძობიწებს რუსთველი, რომ მათ შორის რაღაც ინტიმური ხდება...

გვიხაროდეს, რომ ასეთი რამ არსებობს!

IX

მაცინ რას გვასწავლის და რაზე მიგვანიშნებს „გახუას ქაჯებთან ომის“ მითი (ანდრეჟი), რომელიც ფხოვის თემში ღვივის, როგორც „ენგადი“ ისტორიის უდაბნოში... – ანდრეჟი გვაფრთხილებს ფატალური მტრის არსებობაზე ყოველ დროში, ერის არსებობის ყოველ მონაკვეთში. – ანდრეჟი გვეუბნება, რომ ვერ მოიგებ ასეთ „სატანურ“ მტერთან ომს რწმენისა და ღვთის შვილთა მონანილობის გარეშე! ვერაფერს გაანყობ „მეპურყველე“, მხოლოდ „ხორციჭამია“ გახუა ასეთ მტერთან ომში, თუ „ხორციის სამოსელს“ არ გამოიცვლი და არ დადგები სულიერების საკრალურ ზღვარზე – ღვთისშვილთა (ანგელოზთა) „მოდე-მონილედ“! „ქაჯებთან ომის“ მითი (ანდრეჟი) ურთულესი, თითქმის შეუცნობი ომის მოგების მაგალითს უტოვებს ერთიან ერს და მის ყოველ საყმოს, სადაც მოქმედებს ასეთივე „შეუცნობი“ მეომარი გახუას სახით... – გვამიდან „გაყვანა“ გახუასი ხვთიშვილთა მიერ, ეს არის ურთულესი საკრალური მოვლენა, განპირობებული ერის ბედისწერული გარდუვალობით და მის თავზე ჩამომდგარი მუდმივი ხიფათით! – არც მხოლოდ ღვთიშვილთა შეუძლიათ ასეთი სატანური ძალის წინააღმდეგ ომი, რადგანაც მისი მონიწილადეგის უწმინდურება „ახლოს მოსვლის“ საშუალებას არ აძლევს. ამიტომ „შუაღედურ მეომრად“ ხორციელის გამოყენებაა საჭირო, ოღონდაც იგი განმიდებული („გვამიდან გასული“) უნდა იყოს, მინიერის გარკვეული ნილით, რომ მან შეძლოს ცხენის უწმინდურ გვამში შესვლა და ასე შეღწევა „ქაჯთა ქალაქში“! აგრეთვე ხორციელმავე უნდა შეძლოს...

ცხოვრების წესი, სული და ხორცი არ გავიჯანსაღეთ და არ დავდევით ღვთაებრივი სინმიდის სამანთან! მითი გვეუბნება იმასაც, რომ ჩვენ, არ უნდა გვემინოდეს როგორც გინდა „ქაჯური“, სატანური მტრის, მისი იდუმალი იარაღის და ხერხების, მომწამლავი, მხუთავი, ფსიქოტრონული აირის, ანუ „ობის დაყრის!“ მონამლული ისრების და რადიაციული ნისლის... ციდან ნიშნის დადგომით, ღვთიშვილთა კავშირში და უფლის სიყვარულით ვიქცევით ერთიან ძალად, ანუ ათასი, ვითარცა – ერთი, და ერთი – ვითარცა ათასი (1000!).

ეს გენიალური, ყოველსმომცველი და მძლეველი სინერგით აღსავსე ინტეგრალური ფორმულაა! და ჩვენ უნდა ჩავეხედეთ ამ „ფორმულაში“! ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს გრძელდებოდა „ქაჯებთან ომი“. ერთი წელი თუ ათასი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: გახუა დიდი ხნის მერე ბრუნდება თავის სხეულში (და სახლში) – რომელიც თავგმა გახვრიტა და აქვს „შავი ხვრელი“... რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ბრძოლა გადარჩენისთვის არ იყო და არ იქნება ხანმოკლე! (არც დასრულებული).

არავინ იცის (ვერ ვიტყვი), რამდენ ხანს „იცხოვრა“ ამირანმა ვეშაპის მუცელში – 1 წელი, თუ – ათასი?! მაგრამ მითი გვეუბნება, რომ იქ იყო და გამოვიდა იქიდან – ყრმა, სრულიად უნებური, ესე იგი, დიდი ხნის მერე შეძლო თავის დაღწევა და ეს მან შეძლო – სიბრძნის მიღებით, ე.ი. გარედან ბადრის შეგონებით და იარაღის ძალით, ანუ უსუსის ისრის მეოხებით! – რომელმაც „კუდი მოანყვია ვეშაპს“ და მან ვერ შეძლო ამირანის მუცელში მონელება. თუ გავაცნობიერებთ, ეს მნიშვნელოვანი ანდრეჟული ინფორმაციაა!

ჩვენ ახლაც – XXI საუკუნეში – გადაგვარჩენს „გახუას მითის“ სიბრძნე და „უსუსის ისარი“.

ყველა მტერს აქვს თავისი „აქილევსის ქუსლი“ და „კუდი“, რომელიც უნდა ამოიღო მიზანში, უნდა გახვიდე იქ, სადაც ფონი აქვს „მდინარეს“, თორემ დაილუპები...

ჩვენ შევევართ სხვა დროში და სხვა „მდინარეში“ არასწორად, რაც დიდ ხიფათს გვიქადის!

X

„ფხოვის საკრალური დროის“ ეს მუხლი მოიცავს უფრო სხვა ტიპის თემებს, რომლებიც არ გადის ანდრეჟული სივრციდან და მიზნულია ცოდნის შორეულ ფესვებთან, კერძოდ, ასეთი თემებია:

- მთვარის ასტრალური სამეურნეო კალენდარი;
- მკურნალთა და მეომართა კულტი;
- პოეზიის საკრალური დრო;
- და ქრისტიანულ დრო ფხოვის ხეობაში, რომელიც აქ დგება პირველივე საუკუნეიდან და ერწყმის ამ უძველესი თემის ფოლკლორულ-მითოლოგიურ სივრცეს.

ეს მუხლი გარდამავალი საფეხურია ამ ორ კარს შორის.

როდესაც ერთხელ კიდევ გავაღე კარი და გავედი „ფხოვის საკრალურ დროში“ აპოკალიფსური ქალაქიდან, რომ ერთხელ კიდევ დავსწრებოდი „ათენგენის“ რიტუალს – III ათასწლეულის მე-11-ე წელს, VII-თვის 22-ე დღეს – გიორგობიდან 36-ე კვირიაკეს...

გამიჭარდა გასვლა პროცესიდან და კვლავ დაბრუნება, – ერთი კვირაც მთლიანად ამოგადგებს გლობალური სივრციდან და შეგიყვანს „დავიწყებული დროის“ სიჩუმეში...

უძველეს დროში აქ „ზისცვარობა“ („მზისცვრობა“) დღესასწაულს იხდიდნენ ფხოველნი. ესეც მზის მისტერია იყო გაზაფხულის ბუნების დგომისას რძიანი, ანუ მზისცვრიანი ჯამებით ეგებოდნენ დღის გადიდებას, გზას

ეს ომი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გადის! ხახმატის ჯვრის ერთიანი საკრალური სივრცის მეომართ – „ქაჯავეთიდან ზესაიდუმლო, „საფარველდადებული“ განძი გამოაქვთ – ხვთიშვილთა კოდირებული ინფორმაციის მეოხებით!

და მოაქვთ ფხოვის თემში – ეს იგივეა, რაც ხოვას მინდიას სიბრძნე, მიღებული „გველის სისხლიდან“... უხორციო გახუას ხახმატის ჯვარში მოაქვს რომელიღაც დიდი ცივილიზაციის ნაწილი: „ოქროს ფანდურები“(!), სამჭედლო ქურთემულები და „ცალრქა ხარი“ („სულეთს ხნავს ხარი ცალარქა“), რომელიც სალუდე ჩხუტად იქცევა... (იქნებ, აქ და „შუბანის გველის“ ანდრეჟი წიგნის კულტის სიძველე და დასაბამი მოსწანდეს იბერიის უძველეს მინაზე, ანუ ფხოვის საყმოში. ვინაიდან ხევსურული ლუდი და კაცის სახელი „ალუდი“ და თვით „სვიის“ ფენომენიც, როგორც „სვიანი კაცის და სიტყვის“ ატრიბუტი აქ ძველთაგანვე დულს!). ძველი შუმერები და შემდგომ ინდოევროპელებიც, სვამდენენ ქერის („ემერის“) ნახარშს, შეზავებულს რომელიღაც მცენარეული საკმაზით, მაგრამ თვით სვიის დასაბამი ხევსურთა თემში ძალიან ძველი ანდრეჟული ცოდნიდან მოდის – იგი წარღვნის შემდგომ ნოეს ცივილიზაციასთან არის მიბმული!

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი ანდრეჟული ინფორმაცია ის გახლავთ, რომ „ხახმატის ჯვრის ლამქარს“ „ქაჯავეთიდან“ მოჰყავს ხუთი ტყვე ქალი: სე-ქალა, სუ-ქალა, სეთ-ქალა, აშექალა და სამძივარა „ყელლილიანი“!

– ეს ქალები აქ, ფხოვის საკრალურ თემში ქალის უცნობ კულტს და სანესო რიტუალს ამკვიდრებენ „სნორფრობის“ სახით... ეს გახლავთ ქალისა და კაცის ურთიერთობის უცხო წესი: დაცული ქალისთვის ხელმეუხებლობის, ანუ „ქალწულებრივ ნაკრალში“... შეუსვლელობის ვოტუმი.

ეს ქალები ფხოვის თემებში ზნეობრივ კანონმდებელთა ფუნქციასაც ასრულებენ. საგულისხმობა სამძივარას წოლის მანერა გახუასთან (და თემის სხვა „ხორციელთან“):– როდესაც მამრი მის დამორჩილებას („ქალწულებრივი კვრის გატეხვას“) მოინდომებს, ქალი ხელშეუვლები ხდება მათთვის (ქრება და ლოგინში მხოლოდ „ვერცხლის ყელსაბამს“ ტოვებს?!).

რა ხდება? იქნება, „ქაჯავეთელი ქალები“ აჩვენებენ კაცებს ქალთან წოლის და მოთმინების უცხო მორალს?

„სნორფრობის“ (ანუ და-მმანდაფიცობის) ადათი ურთულესი ქცევაა და ძნელად შესაცნობი ფენომენი მავანთათვის ჩვენს დროში – თუმცა ეს მოვლენა შესანიშნავად ესმის და ხსნის მას მწერალი გრიგოლ რობაქიძე ბრწყინვალე „ენგადში“.

სნორფრობის ეს „პლატონისებური“ ადათი გადის „გამინრიელებულ“ ადამიანთა („ხორციელთა“) ცნობიერებიდან და ცხოველური ინსტინქტის გარეთ დგას.

გახუას („ქაჯებთან ომს“) ანდრეჟში ქაჯავეთელი ქალების სახელწოდებანი საოცრად ემთხვევა შუმერი მოსამართლე ქალების სახელებს (სე-ქალა, სუ-ქალა), რომლებიც ნიფურში მეტად მნიშვნელოვან პროცესს წარმართავენ და განსასჯელს ათავისუფლებენ სიკვდილით დასჯისგან!

ანალოგიური რამ ხდება ფხოვის თემშიც. რჯულის კაცი (და ერთი ქალი) სიკვდილით დასჯას ცვლიან განსასჯელის „ჩრდილის მოკვლით“! ანუ დაჰკრავდნენ ისარს მზეზე დაყუდებული კაცის ჩრდილს – „მკვდარი ხარო!“ – ეტყოდნენ და გაუშვებდნენ ესრეთ დასჯილს! ეს დასჯის უცნაურად მკაცრი, მორალური კატეგორია ფხოვის თემის ანდრეჟული სამართლის ნაწილია, როდესაც განსასჯელი ერთდროულად ცოცხალიც რჩება და მკვდარიც. სიკვდილით დაუსჯელობა თემის სხვა ტრაგიკული მოვლენით არის ნაკარნახევი...



გახუას მითში „ტროას ცხენის“ „ჩრდილი დადის“ – მეომრები ცხენის გვამით შედიან და გამოდიან ქაჯთა ქალაქში, აგრეთვე, ფხოვშიმითოგენური აიტყვა „ილიონი“ არსებობს, როგორც მრისხანების და არმურის სინონიმი...

ტროას დრო და პელაზგურ-ხეთური ცივილიზაციის „მთავრული“ ანარექელი გამოსჭვების როგორც ფხოველთა ანდრეჟულ ცოდნაში, ასევე რიტუალთა გენეზისში, ასევე მზისა და მიცვალებულთა საკულტო ჰიმნებში (სადიდებლები, „გვრინები“, „ხმით ნატირლები“), აგრეთვე ტოპონიმებსა და იდეოგრაფებში... ასევე, „ცალა რქა ხარი“ და „სულის ცხენი“ – ხევსურული დოლით – უძველესი რწმენა-წარმოდგენების ნაწილია... (და წერილის ცალკე თემაა)

ზოგადად, ფხოვის ანდრეჟებში მოჩანს წინა ხეთური-ხათური, წინაბერძნული, ტროას წინარე კრეტა-მიკენური და ტროას შემდგომი კოლხურ-დიაოხური დროის პლასტები!

მითი მითში! – მკვლევართათვის აქამომდე დამარხული „საფარველდადებული“ „ენგადია“ ფხოვის ხეობაში!

ლოს ქაჯთა უწმინდური იარაღით: კატის სისხლით, „უსურმაგის“ თავ-ფეხის ნაწილებით, „ობის დაყრით“ შემოტევის დაძლევა – ასეთია ამოცანა!

– გარდა ამისა, „ქაჯეთის დაძლევას“ ისეთი მეომრებიც სჭირდება, რომლებიც ფლობენ იარაღის ხმარების უებრო ხელოვნებას, ადიან კედელზე, გადიან თოვზე და სინათლის სხივზეც კი...

ხახმატის ჯვრის ლამქარი (ფხოვის საყმოდან) მართლაც ასეთი საომარი „ბატალიონია“, ერთდროულად აღჭურვილი ღვთიური და მინიერი ენერგით (სინერგიით), რის მეოხებითაც ახერხებენ ქაჯთა წინააღმდეგობის დაძლევას, ანუ „ქაჯავეთის გატეხას“!

ეს ბრწყინვალე ანდრეჟი იმასაც მიგვანიშნებს, რომ ქართველ ერს, მის მიზანყალს კვლავ ჩამოუდგა იგივე დრო და იგივე მტერი ამჟამად: „დრო მოვიდა შარშანდელი“, როგორც რუსთაველი ბრძანებს, და მოვიდა მტერი, სწორედ ისეთივე ქაჯური ძალითა და იარაღით აღჭურვილი, როგორც რომელიღაც უწინარეს დროში!

და გვაფრთხილებს ანდრეჟი, რომ ჩვენ „ხორციჭამია გახუები“ ვერ მოვიგებთ ამ მრისხანე მტერთან ომს, თუ

▶▶ სახლიდან სალოცავამდე – ქვის შუკებსა და ინგურებს – რძის ცვრით „რწყავდნენ, აპკურებდნენ მიწიდან ამოსულ გაზაფხულს და ბავშვებს... ყმანვილებს „მზის ცვარში“ ყვითელ ერბოს უყრიდნენ, ატანდნენ გამომცხვარ ქაღებებს და უშვებდნენ ხატის გზაზე...
 უფრო ადრე სცოდნიათ „ცისკრობა დღე“ – ესეც თენების („დღის დგომის“) დიდი დღესასწაული იყო – დღისცივის მინდორზე – „ალაველვაკეს“. აქ ქალ-ვაჟნი (და სწორფერნი) ერთმანეთს არჩევენ და თავს აწინებდნენ: სწორედ აქ იყო საღებავი და საღებავი-საჯილდო საბანები, ცხენთა სადოლე, სამშვილდოსნი ადგილები...
 აქ სრულდებოდა „ბელისკრული“ („ფერხისული“ ტიპის) – მზის ბრუნვის რიტუალი – „ცის კამალაზე“ გასასვლელი – გარკვეული რიტუალური ტექსტი, რომელსაც მნიშვნელოვანი კოლხურ-იბერიულ-პელაზგურ ჰიმნებად სახავენ (პ.ბერაძე, ა.შანიძე). თავისთავად საკულტო ტექსტი, შემონახული რიტუალთა თანხლებით, მის უმეტეს სიძველეზე მიუთითებს! (ეს ცალკე თემაა).

ახლა „დარჩა“ მხოლოდ „ათენგენა“, ესეც მზისა და უფლის სადიდებელი დღესასწაული: „მზისა და მზის მყოფთა ანგელოზთა“ სადიდებელი, „დღისა დღესინდელის“ – „ღვთის კარზე მოკარვე კვირაეს“ ჰიმნი (რიტუალი)...

როგორც აღვნიშნე, საკრალური დროის სივრცეში დგას მეომართა, მკურნალთა და მელექსეთა კასტა. ისევე, როგორც რჯულის კაცთა და ქადაგთა ინსტიტუტი, მათი საქმე და სახელი „ანდრეხუმი“ ჩარჩა, რადგანაც ანდრეხული დროში ანდრეხულმა სიტყვამ შეინახა...
 მკურნალნი, „უხორციო მეომარნი“ (სარანგნი – კი ყმანი) და ანდრეხული ლექსის შემქმნელნი გადაჯაჭვულნი არიან ერთმანეთზე თორღვას ჯაჭვის თვალცივით.

მეომარი დასტაქრის და მელექსის გარეშე ფონს ვერ გადის: ერთი სიციცხლეს უნახავს, მეორე – სახელს!... „უამი მივია-მოვია მუცუს თორღვანის კარზედა!“ – ეს პოეზია! მითები შობენ პოეზიას, ხოლო თვით მუცო ლექსიც არის და მითიც – III ათასწლეულის კართან ჩამდგარი „მზიანი ღამის“ თუ „უუამო უამის“ მაცნედ!

დიოზერი იყო დედამიწაზე პირველი პირამიდის ამგები გიმიტი... მენკაურე – გიზის მესამე პირამიდის ამგები... უფრო ადრე „ზიკურატებს“ აგებდნენ შუმერები – ნარღვისგან დასაცავად! მაგრამ არავინ იცის, ვინ ააგო მუცო – ეს მისტიკური ციხე-ქალაქი, ვინ იყო ამ ცას მიდგმული „მზის ზიკურატების“ შემქმნელი... ვინ გააცხადა ეს მირაჟული სიზმარი „ორი უამის“ მიჯნაზე! არავინ იცის და არც უნდა იცოდეს, რადგან, რაც იცი, ის არ არის საიდუმლოს შემცველი...

აბა, ახლა მოვიდეს და სცადოს რომელიმე სახელმწიფომ, რომელიმე არქიტექტორმა მუცოს, გნებავთ, შატილის ბადალი შედევის შექმნა, თუნდაც მისი ასლის (ანალოგის) გამოვლენა...
 საუკუნეთა მინისძვრებმა ერთი ქვა ვერ ამოაგდეს შატილის მშრალად ნაგები კედლებიდან, დრომ ვერ შეცვალა მისი სახე, ვიდრე ზარბაზნები არ დაუშინეს XIX საუკუნის ვანდალებმა – ისევე, როგორც ხალხს, ისევე, როგორც ხალხს...
 ... მაგრამ მუცო მაინც სულ სხვაა. მისი კოშკები თავახდლიდნენ და ნოეს კი-დობანივით და გამოისცემენ „სფეროთა მუსიკას“. მუცოს ორი დრო უდგას: გარდასულთა და ჯერარმოსულთა... დრო არავისი, მაგრამ მაინც ანდრეხთა საიდუმლოს შემცველი!

... როცა ეგვიპტის პირამიდებთან ვიდექი – მთვარით განათებულ უდაბნოში, იქაც მუცო მედგა თვალწინ... იქაც იდგა მთვარე, მაგრამ ეს არ იყო თორღვას ბეჭიდან ამოსული... პირამიდებმა ვერ დააპატარავეს, ვერ გადასწონეს მუცო ჩემში

და ჩემთვის... მე ვერ დავინახე სხვაგან სხვა საოცრება მუცოს ბადალი!! ამ ციხე-ქალაქიდან ცოცხალი ადამიანები გამოვიდნენ და წავიდნენ სადღაც... და ზოგი მათგანი აკლდამათა იდუმალეპაში შესახლდა!
 პირამიდებიდან არავინ გამოსულა, არც შესულა, გარდა მიცვალებული ფარანებისა... აქ კი თორღვა ძაგანი იდგა, ესეც ლუდისფერთმიანი ქალი, ედგა სამკეცად ჯარი და ლუდიანი კოდეები... და ამ ანდრეხულ დროთა წიაღში ღვიოდა სწორუპოვარი ლექსი, რომელსაც ბადალი არ დაეძებნება მზისქვეშეთში... ხოლო მიცვალებულთა სახლები, იდუმალი აკლდამები ცალკე ედგა მუცოს...
 ... ვერც კატაკომბები მეჩვენა ანატორისა და მუცოს აკლდამებზე მისტიკური. ანატორის აკლდამათა ანდრეხი უფრო დრამატული და მნიშვნელოვანია ადამიანთა ყოფნა-არყოფნის, სიკვდილის და სიცოცხლის შესაცნობად!
 აკლდამებსაც „ორი მზე“ უნათებს – დღის და ღამის, ისევე, როგორც თორღვა ძაგანის ციხე-კოშკებს, ხოლო თვით თორღვა ძაგანს „მარჯვნივ მზე წერებულყოფი, მარცხნივ კი მთვარის ნალია!“
 მზე და მთვარე მისი თილისმებია. თორღვა მზის შვილია და მუცო „მზის და მზის მყოფ ანგელოზთა ქალაქია“, რომელსაც ღვთისმშობლის და კვირაეს ნიშნით უდგას...
 მაგრამ ვინ არის „ღვთის კარზე მოკარვე კვირაეს“?! – ძველი საკულტო სადიდებელი რომ იხსენებს: „დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, დიდება დღესა დღესინდელსა, დიდს კვირაესა ღვთის კარზე მოკარვესა“ – „ღვთის კარზე მოკარვე“ კვირა, ანუ „დღე დღესინდელი – ქრისტიანე!... ქრისტიანე ფხოვის საკრალური სივრცეიდანაც იხედება – ეს ანდრეხული დროთა პარადიგმული კავშირია.
 ქრისტიანე – „პაო-პიოხი“ – იხედება პირველივე საუკუნიდან დღემდე – იბერიისკენ...
 აქ პირველსავე საუკუნეებში შემოდის უცნობი ქრისტიანი მოციქული – ბერი ბაადური! (ცალკე ესეი მიეძღვნება ამ თემას).

ფხოვის საკრალური დრო მოიცავს ქრისტეს დროსაც, რომელიც პირველივე საუკუნეებში ჩამოდგა აქ და რასაც დიდი დემოგრაფიული და რელიგიური „აფეთქება“ ახლდა. მერე ეს „დრო“ თითქოს თანდათან მინელდა: და III ათასწლეულის დამდეგისთვის სრულიად გაუსახურდა (გაქრა) – ეს ასე იქნება უფლის ახალ შემოხედვამდე... ახლა აქედან ცოცხალი კაცნიც გაქრნენ, რომელნიც „ჯვართ აჯვარებენ და ჯვართ აჯვარებენ...“ რომელთაც „რადაც უხარიათ და რაღაც სტიკივათ“... („ცოცხალ კაც ხედავს მზეს, ცოცხალ იცინის, ცოცხალ ტირის“ (ფოლკ)).
 ფხოვის საკრალურ დროში დგას მელექსეთა და მეომართა კასტა: რომლებიც თვითონ ქმნიან და ავსებენ ამ დროს, მაგრამ, როცა დრო ჩერდება და მხოლოდ მოლოდინი რჩება, მათი მოქმედებაც ჩერდება... რაზედაც ცალკე მექნება საუბარი.

XI

თორღვას როცა კლავენ, მას ისარი ბეჭში ხვდება – იქ, სადაც მზის „ბაკი“ აწერია... ხოლო მისი ჯაჭვის პერანგი, რომელიც წყალმა (ვეშაპმა) მოიტანა, კვლავ „სიმურს“ მიაქვს! თორღვა გადის სამზეოდან, მაგრამ მას თეთრფრთიანი ყორანი მიაცილებს: „თან ჩაჰყვა შავი ყორანი, თეთრს ჩაფარებს ფრთასაო“... – ეტყობა, თორღვა განწირული არ არის, მას „სულეთში“ სინათლის სხივი (შავი ყორნის თეთრი ფრთა) მიჰყვება...
 როდესაც ენიგმური გმირი ილუპება და მას თეთრფრთიანი ყორანი მიაცილებს, ეს იმის მაჟნეებელია, რომ შესაძლოა ამ გმირის, ანუ თორღვა ძაგანის დრო კიდევ დადგეს – მას შეუძლია სხვა დროსა და სივრცეში დაბრუნება!

ჩვენ ახლა არ განვიხილავთ თორღვა ძაგანის ფენომენს – ესეც ცალკე თემაა, მაგრამ ეს ექსპოზიციანი ანდრეხული ლექსის ასახსნელად დავწერე, ფხოვის საყმობი გმირთა ფენომენი და ანდრეხული ლექსი ერთად იბადება. ისინი ერთად ცხოვრობენ, ხოლო, როდესაც გმირები (დროის ენიგმური პერსონაჟები) გადიან საწუთროდან, ანდრეხული სიტყვა რჩება, როგორც მათი „აურის“ ანაბეჭდი...
 ...
 პოეზიის საკრალურ დროში, საწუთროდან სულეთისკენ მიმავალ გზაზე, მიღმა ხევსურეთში, ანატორის ხუთი აკლდამა დგას. ეს „უუამო უამის“ ურთულესი ფენომენი: თითქოს სამზეოდან სულეთის კარზე მიდგმული – ხუთი სარკმელი – იქედან აქეთ გამოსახედი. მათი (აკლდამათა) „პროპორცია“ – უცნაური მაგენდავითისებური „ბერმუდის სამკუთხედი“, რომელსაც არღულისა და არდოტის მდინარეთა შესაყარი ქმნის – აბსტრაქციული და მისტიკურია...
 განწირული, ცოცხალი ადამიანები შედიოდნენ ამ „უუარო სახლებში“ სარკმლიდან და ქვის ლურჯ სარკმლებზე წებობდნენ! შედიოდნენ ქალები აკვნებით, აბჯრიანი მეომრები „მომღერალი ფანდურებით“ და იქ რჩებოდნენ სიკვდილთან ერთად (სიკვდილამდე!) – მათ არ ჰქონდათ აქედან გამოსვლის ნება, ეს იყო კარანტინი – „კვირვად“ ქცეული ნაკრძალი, სადაც მიახლოება მხოლოდ ჯორზე მჯდომარე დოსტაქარს (მკურნალს) შეეძლო წყლისა და წამლის მისანოდებლად...
 – „ფხოველთა რწმენით“ ცხენის ფლოქეს („ჩლიქირგვალს“) არ გადაჰქონდა, არ „ჰყვებოდა“ ავადმყოფობის ბაქტერია...
 ადამიანები ეჩვეოდნენ იქ ყოფნას (ცხოვრებას) სიკვდილთან ერთად და ეს იქცა მათთვის ბუნებრივ მოვლენად. აქ „სწორფერნიც“ ყოფილან, ცოლ-ქმარნიც, ყრმაც – დედა ძუძუს რომ აწოვებდა, ჰქონიათ ქორნილიც... ამ აკლდამებში არ იყო სიკვდილის შიში და იყო რაღაც სხვა – შიშით დაძლეული უცნობი ცხოვრება!...
 შიში გარეთ რჩებოდა – ჯანსაღი შორის... და ყოველივე ეს იქცა ლექსის მისტიკიად.
 რომელიღაც დროში „უამთა დგომის“ – ეს სტრესული ვითარება გადალახა ფხოვის საყმომ და შექმნა შიშის დაძლევის უცნობი მოვლელი.
 ვინ იყვნენ „უამნი“, უფლის გამოცდათუ რომელიმე მისტიკური მტრის მოვლინება, ძნელი ასახსნელია. თუმცა ისინი გვეცხადებოდა ორსახად, როგორც ხილული, და, როგორც აბსტრაქციული არსებანი, რომლებიც რწყილისხელა ვირებზე სხედან და ბუერის ფოთლებს იფარებენ?!
 „უამნი“ იხილვებან თითქოს სიზმარცხადმი, როდესაც მცირე დიდად გვეჩვენებდა და დიდი – მცირედ (ქადაგის ტექსტი). აქ, ამ მითში, ორი მოვლენა დგას ერთდროულად: ხორციელი მტრის სასტიკი აჩრდილი, რომელიც შხამიან ისარს ხმარობს, და შავი ჭირისნაირი მომსერელი სენი.

ერთი საიდუმლოც ახლავთ ანატორის აკლდამებს: ხუთივე ერთდროულად არ აღიქმება, მათი განლაგება უცნაურად ასიმეტრიულია... ერთი უხუცესი შატილიანი კაცის (თოთას) თხრობით: „აკლდამებთან ჩასაფრებული ვეშაგი მტრისგან ვერ იხილვებოდა, ჩვენ კი ვხედავდით მათ!“
 მართლაც, აკლდამებს შორის შეიძლება ისე იდგეს, რომ ვერაზინ გხედავდეს



და შენგან კი ყოველი იხილვებოდეს... აქ გარდასულთა სულელები „საფარველს სდებდნენ“ მესაზღვრე სარანგებს... „დადექი ისე, რომ შენ ხედავდე მტერს და შენ ვერ გხედავდეს იგი“ – ეს ფხოური საკრალური ცოდნის ტექსტია.
 ამ აკლდამათა ჭრილიდან და ამ კომპიკებიდან „იხედება“ პოეზიის (ანდრეხული ლექსის) დიდი მზე, აგრეთვე, მკურნალთა და მეომართა „ოქროს კვეთის“ საიდუმლო...
 ...
 ადამიანთა სხეულის იოგებთან ერთად ხევსური დოსტაქრები კარგად სწავლობდნენ ადამიანის ანატომიას და ავადმყოფს ხელის ერთი დადებით უსვამდნენ ზუსტ დიაგნოზს და უკეთებდნენ ურთულეს ტრეპანაციას...
 ქოლერიან სოფელში (თემში) მხოლოდ მკურნალი შედიოდა! მხოლოდ მას შეეძლო ფხოველთა ჩავეტილ სოფელში ცხენიდან (ან ჯორიდან) ჩამოსვლელად გაგლა, შესვლა და გასვლა...
 ეს „დოსტაქარის“ მაღალი პატივისა და ღირსების აღიარება იყო.

XII

როდესაც თემს (საყმოს), ქვეყანას ბედისწერული უამი უდგება და მას დაძლევს (ან ვერ დაძლევს), მისი ცხოვრების წესი იცვლება! იცვლება მოქმედების მოტივაციაც. ჩვენს ერს ბევრჯერ ედგა ასეთი ურთულესი უამი „ქაჯთა“ დროიდან აქამომდე... ჩვენი სულიერი „მატიცა“ დღესთვის რამდენადმე შეცვლილია და გადაკეთებული – დარჩენილია სხეულის ის ნაწილი, რომელიც მეტაფიზიკურად არსებობს, როგორც „გაზუას გვამი“ და დასაბამიდან მოგვეყვება ახალი „ინფორმაციის“ შესანახად...
 ...
 თუ პირველსავე სიტყვაზე მოვალთ, თორღვას თემს ორი მზე უნათებს: „ორი მზე ამუდიოდა“ (და ერთი წითელი). თვით თორღვას ბეჭეც მზის და მთვარის „ბაკი“ უზის; თორღვას როდესაც კლავენ, მას ერთი მზე უზნელდება სამზეო ცაზე, მაგრამ მისთვის მაინც რჩება „ასტრალური მზე“, რომელიც სულეთის გზას უნათებს.
 და, თუ ცხენს მზის იმაგინალურ სიმბოლოდ (ხატად) მივიჩნევთ უძველეს იბერთა რწმენა-წარმოდგენით, მაშინ „სულის ცხენი“ იგივე მზეა, რომელიც მიაცილებს მიმავალს და შუბლზე სარკე უნათებს ხევსურთა დოლში, როგორც მზის „ბორჯღალი“ (ხარი და ცხენი მზის ბორჯღალით არის გამოსახული უძველეს ცივილიზაციაში).
 ცაზე „ორი მზის დგომის“ ბედისწერულობა სწორედ იმაშია, რომ მზე ზესკენის და ქვესკენის მხეებად იმიჯნება (იყოფა) და ბედისწერულ ნიშანს გვამლევს... (მომზარის მინორულ წითელ მზეს – „მზენვეროვანი“, ანუ „მკვედრის მზე“ ეწოდება) და სახიფათო უამის დგომის მოასწავებს ენიგმური გმირისთვის და მთლიანად თემისთვის (საყმოსთვის). ეს მოვლენა მკაფიოდ ცხადდება ხოგაის მინდიას მითშიც (ანდრეხებში).

დასასრული მე-733.



პინ ეპროკის ქართველობას?

რაევაზ ბალანჩიშვილი

თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქართველ ხალხს, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ხალხს, მრავალი ძნელდებოდა და დატყვევებისა და მრავალი განსაცდელიც გადაუტანია: მტრული თავდასხმებიც ბევრი განუცდია, ეკონომიკური სიდუხჭირეც, რელიგიური შევიწროებაც და კულტურული დაღმასვლაც. მაგრამ ქართველი კაცი უდრეკად, ქედუხრელად იტანდა ყოველგვარ ავებედობას და, მტრების განსაცვიფრებლად, ინარჩუნებდა სულიერ სიმბნევებს, ხასიათის სიმტკიცეს, ნებისყოფის სიძლიერეს, ჭირთათმენის დიდ უნარს და არასოდეს კარგავდა ეროვნულ ღირსებას, ეროვნული სიამაყის გრძნობას.

სამწუხაროდ, დღეს მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია. დღეს იმდენად ძლიერია ეროვნული ნიჰილიზმი, ეროვნული ინდიფერენტიზმი და გულგრილობა, რომ ახლანდელი ქართველისთვის, იქნებ, სამარცხვინო ანაქრონიზმადაც კი გამოიყურება პოეტის გულიდან ამოხეთქილი სიტყვები, ერთ დროს ქართველთა დიდ ნაწილს „გულის ფიცარზე“ რომ ეწერა და სიამაყის გრძნობით აღავსებდა:

„მისთვის რქმევია ქართველს ქართველი, რომ მისი ხვედრი ბრძოლა ყოფილა, არვის ჰყოლია ხელგამძვრელი, მაგრამ მტრის მონად არ დამხოვია“.

თუ ისტორიაში დავიწყებთ ანალოგიების ძებნას, დაახლოებით ამგვარი ვითარება იყო XIX საუკუნის საქართველოში საუკუნის დასაწყისიდან 60-იან წლებამდე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ქართული ეროვნული ცნობიერების დამცობისა და ქართველთა „მონად დამხოვლის“ მსურველად არსებობდა მეფის რუსეთი მოიაზრებოდა თავისი შოკინისტი მოხელეებითა და რუსიფიკატორული პოლიტიკით. ვინ იცის, სადამდე მივიდოდა მაშინ საქმე, ქართველ ხალხს ღვთის შეწევნით, დიდი ილია ჭავჭავაძე რომ არ მოვლენებოდა. სწორედ ილია მართალმა (და მისმა თანამებრძოლებმა) შეძლო გამოეყვანა ჩვენი ერი ეროვნული ინდიფერენტიზმისა და გულგრილობის მდგომარეობიდან და ესხნა იგი ეროვნული დეგრადაციისა და გადაგვარებისგან.

იხსნა კი იმით, რომ თავის სათაყვანებელ ხალხს პირში მიახალა მწარე სიმართლე: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა საცა თითოეული ყველასათვის არ ჰფიქრობს, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი!“ იხსნა, რადგან შთააგონა, რომ „სიციცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამის, ქვეყნისა არის“ და რომ „ჯერ (არის) ქვეყანა, მერე დედა და მამა“.

გულბრწყინობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მას შემდეგ, რაც ყოფილი სსრ კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, რუსეთმა შეიცვალა მისდამი დამოკიდებულება. პირიქით, იგი დღესაც ძლივს დანგრეული იმპერიის აღდგენაზე ფიქრობს და იმ აღდგენილი იმპერიის შიგნით, ცხადია, საქართველოც მოიაზრება. მაგრამ ახლა მას სხვა ძალებიც დაემატა, რომლებიც დღეს ქართველობის, ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ დაუწოდებელ და მზაკვერულ ბრძოლას ანარმოებენ. „მზაკვერულს“ იმიტომ ვამბობ, რომ მათ მოახერხეს ქართული ცნობიერების გახლეჩა, ქართველთა ურთიერთდაპირისპირება რელიგიურ და კულტურულ სფეროებში, ეროვნული ნიჰილიზმისა და ინდიფერენტიზმის, ეროვნული გულგრილობისა და გულგრილების დახვეწვა. და ყოველივე ეს ისეთი შერყვნილი სახითა და დამახინჯებული შინაარსით „დატვირთეს“, როგორც არის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ეს პროცესები თავისთავად კი არ არის მიუღებელი, არამედ იმ ფორმითა და შინაარსით, იმ გავრცელებითა და აზრით, რომელიც ისინი ჩვენს საზოგადოებას მიენოდება

რასაკვირველია, გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადი პროცესია. შეუქცევადია თუნდაც იმ აზრით, რომ უკვე კარგა ხანია, შეიცვალა სამყაროსთან დამოკიდებულება. დედამინა ისე დაჰატარავდა, რომ ერთ დიდ ოჯახს დაემსგავსა. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, სამყაროს ინტერნეტიზაციამ და კომპიუტერიზაციამ საოცრად დაახლოვა ქვეყნებიცა და კონტინენტებიც. ინტერნეტის ქსელის ამოქმედებამ, ფაქტობრივად, მოშალა ყოველგვარი საზღვარი – ასეული და ათასეული კილომეტრით დაშორებული ადამიანები ისე ელაპარაკებიან ერთმანეთს, თითქოს გვერდი-გვერდ ოთახებში ან სულაც ერთ ოთახში იხსდნენ. ცივილიზაციის ნებისმიერი მონაპოვარი მსოფლიო მოსახლეობის საერთო საკუთრება გახდა. თუ გლობალიზაციაში ამას ვიგულისხმებთ, მაშინ ის მართლაც არის კაცობრიობის მომავალი და ამას წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება. როგორც ამბობენ, ჯინი უკვე ამოშვებულა ბოთლიდან და მას უკან ვერავინ დააბრუნებს.

მაგრამ, რა დონეზეც არ უნდა წაინიშნოს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესმა, იგი, ჩემი ღრმა რწმენით, არ უნდა გასცილდეს ცივილიზაციის მონაპოვართა გავრცელებას და არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს კულტურას. და, თუ მაინც ამ პროცესს კულტურაზეც გავავრცელებთ, დიდ, საზღვრისწიერ შეცდომას დავუშვებთ. ყოველი კულტურა, რაგინდ ზოგადსაკაცობრიოც უნდა იყოს იგი, მაინც ამა თუ იმ ერის კუთვნილებაა. ყოველი კულტურის სიდიადე და უნიკალობა ის არის, რომ ეროვნული ნიშნის, ეროვნული დამლის მატარებელია. სხვადასხვა კულტურათა სინთეზის ნებისმიერი მცდელობა წინასწარ არის მარცხისთვის განწირული. ასეთი სინთეზი აერთფეროვნებს და აფერმკრთალებს „სინთეზირებულს“ კულტურის ფერთა გამას.

ცხადია, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ეროვნული კულტურები სრულიად იზოლირებულია ერთმანეთისგან. არა, ისინი არათუ სრულიად დაცილებული არ არის, არამედ ამდიდრებენ კიდევ ერთმანეთს. მაგრამ ეროვნული კულტურა მაინც ეროვნულად უნდა დარჩეს. ამას მშვენივრად აცნობიერებენ მალაგანეთარებული ევროპული ქვეყნები და სათანადოდაც უვლიან საკუთარ კულტურას.

სამწუხაროდ, ამას ვერ აცნობიერებენ ეგრეთ წოდებული განვითარებადი ქვეყნები, ანუ ის ქვეყნები, რომლებმაც ვერ მოასწრეს და XX საუკუნის ბოლომდე ვერ გახდნენ „მალაღი დემოკრატიისა“ და მაღალი ცივილიზაციის ქვეყნები. სწორედ ამგვარ ქვეყნებსა და ხალხებს მდის დღეს ენერგიული ძალდატანება, სწორედ მათ დაუდგათ აშკარა საფრთხე მათი ეროვნული, რელიგიური, კულტურული თავისთავადობისა და თვითმყოფადობის გაქრობისა, ანუ იმისა, რომ **იხილნენ უეროვნებო, ურელიგო, უსამშობლო, უპიროვნო, უსახო კოსმოპოლიტებად თუ მანქურთებად იქცნენ.**

იქნებ ვინმემ იკითხო: ვის რას უშავეებს ამ ეგრეთ წოდებული განვითარებადი ხალხების ეროვნული ენა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ეროვნული კულტურა, ეროვნული ფსიქიკისა ნყოფა? საქმე ის არის, რომ, თუ მათი მეცნიერება, ხელოვნება, მედიცინა, სპორტი და, საერთოდ, კულტურის ყველა სფერო განვითარდება, თუ მათი მრწამსი და დასოფლის მეურნეობა აღორძინდება, მათაც გაუჩნდება პრეტენზია, ცნონ ისინი, როგორც თვითმყოფადი, თავისთავადი კულტურის, საკუთარი რელიგიის მქონე ერი, რაც, თავის მხრივ, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებს (ყოველ

შემთხვევაში, მათ ასე ჰგონიათ). სულსხვა **ეროვნებადკარგული თუ ეროვნებაწარმეული**, ეროვნულ ღირსებასა და სიამაყეს მოკლებული „ჩამორჩენილი“, „დამორჩილებული“ ხალხი. თუ განვითარებადი ქვეყნებში ასეთი მდგომარეობა მიიღწევა და შენარჩუნდება, ეს, მათი აზრით, შესაძლებელს გახდის, საგრძნობლად შეიზღუდოს ან სულაც აღიკვეთოს ეთნოკონფლიქტები, ექსტრემიზმი და ტერორიზმი, რისი პანიკური შიში 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გაუჩნდათ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებს.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხი, უცხოეთიდან მიღებული კრედიტებისა და გრანტების გამო, იმ დაბალი კულტურის ხალხებს შორის აღმოჩნდა, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. ასეთ სიტუაციაში საჭირო იყო მეტი სიფხიზლე, მეტი შემართება ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის დასაცავად. სამწუხაროდ, ჩვენი თვითშეგნება ვერ აღმოჩნდა იმ სიმაღლეზე, რომ ეს რეალური საშიშროება გვეგრძნო და დროულად აღვდგომოდით წინ ეროვნული ცნობიერების, ანუ ქართველობის წინააღმდეგ დაწყებულ ტოტალურ ბრძოლას.

როგორც ვხედავთ, **აღენ დაღისის კაცთმოძულე პროგრამა** ზუსტად განხორციელდა. იქნებ, ვინმემ თქვას, რაღა დროს აღენ დაღისაო, მაგრამ, რაც ხანი გადის, მით უფრო უკეთ ჩანს თუ რა მიზანიმართულად და საოცარი სიზუსტით სრულდება ყველაფერი ის, რაზედაც ის რამდენიმე ათეული წლის წინათ ლაპარაკობდა. ასე მაგალითად, მისი პროგრამა ითვალისწინებდა საბჭოეთის ერთ-ერთ ყველაზე ურჩი ხალხის /ამ ურჩ ხალხში, პირველ რიგში, ქართველები მოიაზრებოდა/ თვითშეგნების ჩაქრობას, რაც განხორციელდა კიდევ. სამწუხაროდ, ქართულ ეროვნულ სიამაყეს ქართულმა ბედოვლათობამ სძლია და „მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი“ ქართველი კაცი სხვისი ნების აღმსრულებელ მანქურთად ისე იქცა, რომ უმეტესობას აღარც კი ახსოვს: „ვინ არის, სიდად მოსულა“.

მე გგონია, ადამა დრო, როცა ყოველმა ქართველმა უნდა გაიცნობიეროს, რომ მისი მდგომარეობა არასოდეს ისე საშიში. ისე საგანგაშო, ისე საზღვრისწიერ არ ყოფილა, როგორც ძველი ხელი-სუფლების მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში იყო და დღესაც რჩება. არავისთვის დასამალო არ არის. რომ დღეს ჩვენი ეროვნულ-არყოფნის საშიშროება უდგას. ან გამოვინახავთ საკუთარ თავში სათანადო სულიერ ენერგიას, მოვიკრებთ საჭირო ძალებს და წინ აღვუდგებით ამ ღვარცოფივით მოვარდნილ ნამლექ ძალას, ან აღვიგებთ მიწისაგან პირისა, როგორც ერი. ამამო კიდევ უფრო მეტად დამარწმუნა ამ დღეებში ინტერნეტით გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, თუ როგორ შეიტანეს თბილისის 147-ე სკოლის მეექვსე კლასში ნიგნები, რომლებიც ჰომოსექსუალიზმს უწევს პროპაგანდას. რა არის ეს, თუ არა ახალგაზრდების მიზანმიმართული გარყვანა და დეგრაადირება? და ყველაფერი ეს ხდება ევროკავშირის სახელით. მე კი მინდა ყველას გასაგონად ვთქვა: დაიქცა ის კავშირი, რომელიც მოზარდების გარყვანას ისახავს მიზნად, სულ ერთია, რომელი კავშირიც არ უნდა იყოს ის – ევროკავშირი თუ საბჭოთა კავშირი. ყოველგვარი კავშირი, რომელიც ჩვენ ქართველობას, ჩვენ მე-ობას დაზიანებს და საფრთხეს შეუქმნის, ერთნაირად მიუღებელი უნდა იყოს გონიერი ქართველისთვის და იმის განცხადება, ვისაც ევროკავშირი არ უნდა, მას საქართველოც არ უნდაო, იაფფასიანი დემაგოგია და მეტი არაფერი. დემაგოგია იმიტომ, რომ აქ ერთიმეორეშია არეული მიზეზი და შედეგი: ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ მაინცადამაინც ევროკავშირი არ გვინდა, არამედ იმას, რომ არ გვინდა არავითარი კავშირი, რომე-

ლიც ქართულ მენტალიტეტს, მის თვითმყოფადობას, ქართულ გონს, ქართულ კულტურას, ქართულ სულიერებას რაიმე ზიანს მიაყენებს და საფრთხეს შეუქმნის.

ჩემი მხრივ, რასაკვირველია, დიდი გულბრწყინობა იქნებოდა მარტო იმ ორი გოგონას თუ ქალბატონის დადანაშაულება, რომლებიც ამ ინციდენტს უდაკავშირებიათ /ისინი, იქნებ, ბრმა შემსრულებლებიც კი არიან/. მთავარი დამნაშავე ასეთ საქმეში ყოველთვის საგულდაგულოდ არის დაფარული. მთავარი დამნაშავე კი ის არის, ვინც ევროკავშირის ამგვარი პროექტის განხორციელება მოინდომა საქართველოში. ყოფილმა ხელისუფლებამ იმდენი სიბნძლურ გაუკეთა ქართველ ხალხს, იმდენი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა, არ გამოვირიცხავ, რომ ეს პროექტიც იმ დროიდან იღებდეს სათავეს. ყოველ შემთხვევაში, ახალი ხელისუფლება ნამდვილად არ შემეტება საიმისოდ, რომ იგი ვითადავთუღად მივიჩნიო. არადა, თუ ამათი გაკეთებულება, სულ დაექვევლავართ და ეგ არის!

ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ერთია და ფრიად საწუხარი: ყოველივე ეს არის შედეგი ეროვნული ცნობიერების კრიზისისა, ანუ იმისი, რომ სამშობლო, როგორც სულიერი ხატი (გავიხსენოთ: „ჩემი ხატია სამშობლო“), როგორც უმაღლესი ღირებულება, როგორც უმაღლესი მიზანი, მოიშალა, ქვეყნის სიყვარული და მისდამი თავდადება უაზრო, უშინაარსო ფრაზეზად იქცა. დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროც არ უნდა ავილოთ /განათლება, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, რელიგია და ა.შ./, ყველაგან იგრძნობა, რომ მიდის ტოტალური შეტევა ქართველობაზე, ეროვნულ ცნობიერებაზე, მისი დანგრევის და განადგურების მიზნით /იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა განათლებაში, „ლიტერატურული საქართველოს“ 12 დეკემბრის ნომერში მქონდა ვრცელი საუბარი/. 147-ე სკოლის მაგალითი ამის ერთ-ერთი თვალნათელი დასტურია. იმიტომ თავის მართლდება: გასაგზავნი პაკეტი შემთხვევით აირიაო, უსუსური არგუმენტია, თვალში ნაცრის შეყრა. სინამდვილეში პაკეტი კი არ აირია, არამედ არ ელოდნენ ამის გახმაურებას, არ უშვებდნენ, თუ ვინმე განგაშს ატყებდა, თორემ ეს რა თავის მართლდება: უნივერსიტეტებში გასაგზავნი შემთხვევით სკოლაში „გაგვეგზავნაო“. ვითომ უნივერსიტეტებისთვისაც რატომ უნდა გაგვეგზავნათ? ნუთუ ევროკავშირს სხვა საქმე არა აქვს, რომ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა არ დაინყოს ან უნივერსიტეტებში, ან, მითუმეტეს, სკოლებში? ან იქნებ ევროკავშირი საერთოდ არაფერ უშაშია და ძალის თავი სხვაგანაა დამარხული? ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი სახელმწიფომ არ უნდა მიაფუჩიროს. ამას რომ ვამბობ, ვინმე დემაგოგი იტყვის: ხედავთ, ეს ძველი „ჩეკისტი“ /ასეთი ტერმინი უკვე გამოიყენეს იმათი მიმართ, ვინაც აღმფლოდნენ ამ უმსგავსი და უზნეო ქმედების მიმართ/ ხალხის დაჭერას /იქნებ „დახვრეტაც“ მიაყოლონ/ ითხოვსო. არა, ჩვენ არავის დაჭერას არ ვითხოვთ. ჩვენი მოთხოვნა სრულიად მარტივია და უპრეტენზიო: ნუ ეწვიან უზნეობის პროპაგანდას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მიზანშეწონილად, გვეგზაობიერად და ძალით ნუ რყვნიან ქართულ ეროვნულ ცნობიერებას.

ცხოვრება არც ჩვენი იწყება და არც ჩვენი მთავრდება. მოდიან ახალი თაობები, მოდიან ყმაწვილები, რომლებიც ჩვენს ძირძველ, მამაპაპურ, ქართულ ტრადიციებზე უნდა აღიზარდონ და არ ჩამოყალიბდნენ უსამშობლო, უეროვნებო, უსქესო, ურელიგიო მსოფლიო მოქალაქეებად, ანუ კოსმოპოლიტებად! ■

ნიმუშობები



ამ წერილს გაკვეთილები იმიტომ დავარქვით, რომ კვლავ ვაპირებ ამ თემაზე წერას, რათა ყველასთვის გასაგებია გახდეს, რა გახლავთ ქართული ლიტერატურის გამორჩეულობის ერთ-ერთი მიზეზი. ჩვენ, ქართველები, უბედნიერესი ხალხი ვართ, რომ ერთ-ერთ ყველაზე ძველ და მუსიკალურ ენაზე ვმეტყველებთ. აბსოლუტურად ზუსტია ლადო ასათიანისეული მეტაფორა – „ხმათა ხავერდების ენა...“ აბა, წარმოიდგინეთ, ხავერდის გლუვი და დამყოლი ხაო, ხელისგულს საამო ჟრუნტელად რომ აჰყვება. ენის კეთილმზრუნველობა კი საუკეთესოდ გამოიხატება ლირიკისა და სიტყვაკაზმულ მწერლობაში. იმით თუ რამდენად ზუსტად იყენებს მწერალი ბგერათა და სიტყვათა შეთანხმებას ხასიათების გამოსაძიერად თუ სიტუაციისა და მდგომარეობის აღსაწერად, მკაფიოდ ვლინდება მისი ოსტატობის დონე და, აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება – დაჯილდოებულია თუ არა ის უფლისგან – პოეტური სმენით.

დღესდღეობით ცნობილია, რომ მხატვრული ლიტერატურის ეს ფორმალისტურ-მუსიკალური მხარე დახვეწეს და უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებები ფორმის მხრივ არასოდეს სცოდავდნენ. უპირველესი ნაწარმოები ქართული მწერლობის ამის ყველაზე ნათელ მაგალითს იძლევა.

ქართულ ჰაგოგრაფიას ისევე, როგორც საგალობელს, უფრო სწორად კი გალობას, პოლიფონიურობა ახასიათებს. ეს, თავის მხრივ, ვიზუალურ ეფექტს ქმნის, რომელსაც მხატვრები პერსპექტივას უწოდებენ – თითქოს გაგონილ ბგერათა მიღმა წარმოიქმნება ახალი ბგერები, მაგრამ შორეულნი, გამოძახილის მსგავსნი. პოლიფონიურობას პოეზიაში (ლიტერატურაში) ზოგიერთ ბგერათა შეთანხმება, უფრო ხშირად კი ნუნისმიერი და სასისმიერი ბგერები ქმნის. ვახტანგის შუშანიკის ნამუშაოს სცენა... როგორ არ ჰგავს მისი ბგერათა ნაწარმობა ავტორის ნათქვამს.

„და ეგრეთ წმინდა შუშანიკ თრევით მოითრია“

თიკათა შიგან და ეკალთა ზედა, ეკლესიით ვიდრე ტაძრამდე. ვითარცა მკუდარი მიეთრია. და ადგილად-ადგილად ქუე ძიძხ დაეფინა.

და თუთ ფერწნი დაიდგინს ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ჯორცნი ნულილ-ნულილად დაებძარნეს ძეძუსა მას.“ (სტრიქონებად დაყოფა ყველგან ჩემია. ნ.ქ.)

პირველ ოთხ სტრიქონში ერთმანეთს ენაცვლება კბილბაგისმიერი თ და სამეფლის ორი ბგერა ვ და კ, ხოლო დანარჩენ სტრიქონებში – დონი და ძინი. თუ ასე დაყოფილ სტრიქონებს ხმამალა ხელმეორედ ნაეკითხავთ, ზუსტად იმ ეფექტს მივიღებთ, რასაც წინ მოგახსენებდით, ანუ დავინახავთ, რომ თითოეული ბგერა ჩვენს გარეთ ექოსავით მეორდება და კიდევ და კიდევ უღერს (აღნიშნულ ციტა-

ტაში სხვა ბგერების გამოყოფაც შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანს). თამაზ ჭილაძემ წერილში „იაკობ ცურტაველი “შუშანიკის ნამუშაო“ ერთი არაორდინარული ტერმინი შემოგვთავაზა – „ბგერითი პეიზაჟი“.

„უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწული იგი მჭურვალეზამ მზისად, ქარნი ხორმაკნი და წყალნი მავნებელნი რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამწარნი და დამღერებულნი, ჩარადოვანი, პირმისივანი და დემოკლედ ცხორებულნი...“

შეხედეთ, რა მდორეა თხრობის ტემპი! ისევე მდორე და ზანტი, როგორც ზაფხულის ცხელ დღეში მძიმე ნაბიჯს

აქოქიმიის გავყვითილები

აყოლილი ჩრდილი. ბგერათა ნაწარმობით ჩვენ არა მარტო აზრობრივ ინფორმაციას ვღებულობთ, არამედ – ემოციურსაც. ახლა დაგუკვირდეთ ამავე ციტატაში განმეორებად ბგერებს, ესენია: ხ, ც, შ, ნ. და უკვირდით, ჰაერის როგორი დახშული ნაკადით წარმოითქმის „ხანი“ და ანელებს თხრობის ტემპს. აქ პოლიფონიურობაზე ლაპარაკი ზედმეტია – აქ მეფობს ავტორი და განწყობილება, განწყობილება კი ინდივიდუალური თვისებაა (ეს, რა თქმა უნდა, ჩემი თვალსაზრისითა, თორემ, ისე, ფსიქოლოგიაში კოლექტიური განწყობილებაც მოიაზრება, თუმცა მე მას განწყობილება კი არა, ეგზალტაციას, სიგიჟეს დავარქმევდი).

ავტორის განწყობილება დიდად მოქმედებს თვით გმირთა ხასიათის ძირეზაზეც. გარდა ცნობილი ეპითეტებისა „მგელი“, და „კრავე“ და მისთანები, იაკობ ცურტაველი კარგად იყენებს ბგერაწარმობა და მონოლოგებსა და მონოლოგებში... და ის უფრო ინვესტს რეაქციას მკითხველში, ვიდრე ზემოთ დასახელებული შედარებები. მართალია, ეს ალქა ქვეშეცნულია და მის გააზრებას გარკვეული მომზადება სჭირდება, მაგრამ ემოციის დონეზე ეს ასეა. და მაინც. . . ამ აზრში ეჭვი რომ არ შეგვეპაროს, მოვიყვანთ რამდენიმე ციტატას, რომლებშიც ცურტაველი შუშანიკის პირით გვგვსაუბრება:

„წუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო, და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიკსენეთ“ ან: „უფალო ლმერთო, შეწნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი,“

განათლებულნი წმინდისაგან ემბაზისა მადლითა სულითა წმინდისადათა...“ და კიდევ:

„უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვად ეგე შენი შენადვე მოიქცინ.“

სამივე ციტატაში მეორდება ნარნარა ბგერები „ლა-სი“ და „ნარი“, რა თქმა უნდა, ისინი ენაცვლება სისინა და შიშინა თანხმოვნებს. აქ ჩანს ქალური კდემამოსილება და სინაზე, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში შუშანიკი ნარმოიწილია ამის და მტკიცე ნებისყოფის მქონე პიროვნებად. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე სურს

იაკობ ხუცესს, მაგრამ ისიც ადამიანია და თავს ვერ აღწევს რეალობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუშანიკი ნაზია, როგორც ველის ყვავილი (მისი სახელი – შუშანიკიც ხომ შროშანის ნიშნავს და უთუოდ ამანაც მისცა საშუალება მწერალს, ესარგებლა ბგერწერით), თუმცა ეს ხელს არ უშლის მას, თავგანწირვით იბრძოდოს ქრისტიანობისთვის.

შუშანიკის მიერ წარმოთქმულს თუ დავუპირისპირებთ ვარსკენის სიტყვათა და ბგერათა ნაწარმობას, სულ სხვა სურათს მივიღებთ:

„შენდა ეგდენ ყოფად არს ფერკითა სლვად, რამეთუ ცოცხალი არლარა გამოსლვად ხარ, გარნა ოთხთა გამოვიღონ.“ ან:

„შენ ჩემი ხატი დაამეჟ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდასახ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს, და სხუად წარსრულ ხარ.“

აქ გაბატონებულა შიშინა და სისინა ბგერები და ისე და ისე ყრუ „ხანი“, ესეც ერთგვარი მინიშნება უნდა იყოს პიტიახმის ხასიათზე, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ავტორის სათქმელს.

ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ მწერლის უტყუარ ალღოსა და ტემპთა მონაცვლეობაზე. ვახტანგის ჩვენს მიერ მოყვანილი პირველი ციტატა! საოცრად დაძაბული თხრობის ტემპი მოხვედრა ჩვენს ყურთასმენას. დავუპირისპიროთ მას სრულიად სხვა ტემპი – თუნდაც შუშანიკის სიკვდილის ტრაგიკული სცენისა:

„და ჰმადლობდა ღმერთსა || და თქვა: || კურთხეულ არს || უფალი ღმერთი ჩემი,||

რამეთუ მშვიდობით || მას ზედა დავენე || და დავიძინე || და შეჰვედრა სული თვისი || უფალსა ყოველსა შემწყნარებელსა.“

როგორი პაუზებით იკითხება ეს მონაკვეთი!.. და ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მკითხველმა განიცადოს ასეთი აზრობრივი დასასრული, არამედ ამას მოითხოვს ცეზურა. შეიძლება ეს ტერმინი უცხოა პროზისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთ გამოხატავს საქმის არსს.

უცნაურია, მაგრამ იაკობ ცურტაველის თხზულებაში შინაგანი რითმებიც გვხვდება. თავისთავად გასაგებია უნდა იყოს, რომ ესენი დისონანსური რითმებია: „და რომელი იგი ბუნებით ცოლი არს და შვილი, იგინიცა ვითარცა ესე შენსავე მსახურებასა მოვაქციენ...“

ეს უნებური რითმები არ გეგონათ, ისინი ქართული ენის ბუნებიდან და კეთილმზრუნველიდან მომდინარეობს.

...და თუ დამეთანხმებით, „წამებად წმინდისა შუშანიკისი“ სიტყვათა და ბგერათა თავშესაფარი კი არ არის, ის სიტყვათა გემოვნებით მოწყობილი სასახლეა. ■

მე-5 გვერდიდან

როდესაც მუცოზე ვწერთ, როგორც მისტიკურ ციხე-ქალაქზე, ან არქიტექტურულ ძეგლზე, მას ცალსახად ვერ განვიხილავთ; მისი დანახვა მხოლოდ გარედან, „ცალსახად“ შეუძლებელია და ნაკლოვანი, თუ იგი „შეგნიდან“ არ დავინახავთ.
მუცო არ არის მხოლოდ გრანდიოზული ნაგებობათა კედელი და ლურჯი ქვების გროვა, მის „საიდუმლო კიდობნებში“ ღვივის მითის ნათება – იდუმალი მზე, რომელიც თორღვა ძაგანს ჩაჰყვა სულიდან, და ღვივის დრო, რომელიც ჩამომდგარი იყო თორღვამდე დიდი ხნით ადრე, და დრონი, რომელიც ჩამოდგენ თორღვას სიკვდილის შემდგომ, ანუ ჩვენს დროში... „უამი მივია-მოვია მუცოუს თორღვის კარზედა“ – ეს საკრამანტული სტროფი დროის და სივრცის სამივე განზომილებას მოიცავს. ამ ტიპის ანდრეზული ლექსი თითქოს ადვილი შესაცნობია, მაგრამ მაინც იდუმალი; თითქოს ახსნადი, მაგრამ აუხსნელი! – შეიძლება მხოლოდ აქ ფხოვის უძველეს თემში და მუცოს ქვის კიდობნებში ღვიოდეს...




მე მაქვს ამ ლექსის (და თორღვას მითის) ჩემი ინტერპრეტაცია სხვაგან, სხვა კონტექსტში, სხვას, ალბათ, თავისი ექნება, რაც, შესაძლოა, პოეზიის ცალკე კარად იყოს დანერგილი. მაგრამ მე ვერ გავასრულებ ფხოვის საკრამანტული დროის ამ „შეკუმშულ ციკლს“, თუ ყოველ მოვლენას ცალცალკე „გავყვები“: თემა დამეშლება და გამეფანტება აფეთქებული ვარსკვლავთა მტვერით – (ფხოველი გიორგობის „მასკვლავთა ჩაშლის ჟამს“ რომ უწოდებენ), სადაც მოვლენებს ვეღარ დაენვი...

მე მსურს, მკითხველს მივანოდო ერთიანი, ანდრეზული დროის მზისა და მთვარის ნათების გაუწილველი სურათი, რომელიც მერე თავისთავად შობს მოვლენებს და ინფორმაციებს, იელის თუ უთხოვრის (უძველესი, წარღვამდე) ხესავით, რომელსაც „დროთა კალენდარი“ აწერია მერქანზე ანდა ჩაძინებულ კვირტებში აქვს შენახული („დაფარული“) საიდუმლო ცოდნა, რომელიც სხვადასხვა დროს იღვიძებს... და გამოსცემს იდუმალი მუსიკის ხმას, რომლის მოსმენა მხოლოდ ხოგაის მინდის სამშობლოში შეუძლიათ...

(პირველი ნაწილის დასასრული)

„საკრალური მითისის დრო და სივრცე კავკასიაში“ – ასე ასათაურებს კობა არაბულთს ინტერვიუს გერმანელი მწერალი და ფსიქოლოგი დომინიკ ინტერკაუფი. ეს ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა გერმანიაში გამოცემულ მეტად პოპულარულ წიგნში „წარმართული წელიწადური – 2012“.

კობა არაბულის ეს სიტყვები „ფხოვის საკრალური მისტერია“ საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევს. გავითი, ავტორისავე სურვილით, დროებით წყვეტს ამ ესსეების ბეჭდვას და მომდევნო ნომრებში მოგაწოდებთ კობა არაბულის საუბარს (ინტერვიუს) დომინიკ ინტერკაუფთან.



აკაკი წერეთლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის სრულყოფისათვის

1878 წლის 3 და 7 ივნისს (თბილეთს) „დროების“ ფურცლებზე ორ ნაწილად გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის ვრცელი პუბლიცისტური წერილი, სათაურით „მცირე რამ შენიშვნები“ (პირველი ნაწილი იხ.: N107, გვ. 2, ხოლო მეორე - N109, გვ. 1-2), რომელსაც დართული აქვს ხსენებული გაზეთის რედაქციის მიერ გაკეთებული შემდეგი პატარა განმარტება: „თუმცა ჩვენ არ ვეთანხმებით ამ „შენიშვნებში“ გამოთქმულ ზოგიერთ ჰაზრებს, მაგრამ ეს სტატია ისეთი ორიგინალურია და ისეთი საინტერესო საგნებს ეხება, რომ ხელ-უხლებლად ვებჭდებით“. სამწუხაროდ, რადიკალურად სხვაგვარად მოიქცნენ ქართველი საბჭოთა ცენზორები და სულმნათი მგოსნის თხზულებათა პირველი სრული კრებული (შვიდტომად) რედაქტორ-შემდგენლები, რომლებმაც თვითმპყრობელობის ერთეული „ტვინიმეისტიერების“, „აზრის ყლაპიებისა“ და „ჯონ-მაისტერებისაგან“ (ასე უწოდებდა აკაკი მეფის შავრაზმულ ცენზორულატებს) განსხვავებით, რომელთაც „შეუმჩნეველი“ დარჩათ პოეტის წერილში არსებული „მაგნე“ აზრები, ზემოაღნიშნული პუბლიცისტური სტატიის „სკრუპულოზურად“ გადასინჯვის შემდეგ, იგი, თითქმის, გაანახვერცხეს და მისგან „გამოშინეს“ მთელი ის ტექსტი, რომელსაც შეეძლო „გაენახვენებინა“ ჩვენი „დიდი ძმები“ - რუსები, რაც იმხანად, საბჭოურ ეპოქაში, ერთობ, „მიუღებელი“, უპრეცედენტო „მკრეხელობა“ და გაუგონარ „რეციდივად“ მოიაზრებოდა. აი, მხოლოდ ამის მერმე, ასე „შეკვეცილ-დაჩეხილი“ სახით იქნა „მცირე რამ შენიშვნები“ შეტანილი, თავდაპირველად, აკაკის თსკ (შვიდტომად) VI ტომში (იხ.: გვ. 36-38), ხოლო შემდეგ - თსკ (თხზულებები) XI ტომშიც (იხ.: გვ. 436-439), თანაც ისე, რომ მისი „დამოკლების“ მიზეზებზე დასახელებულ ტომებში არავითარი კომენტარები არ გაკეთებულა, გარდა იმისა, რომ „სტატია იბეჭდება შემოკლებით“-ო.

ახლა, რაც შეეხება, თვით ამ წერილს. ავტორი მასში, უმთავრესად, მსჯელობს იმდროინდელი ქართული ლიტერატურისა და მწერლობის საჭირობებზე და საკითხებზე, დადებითად აფასებს 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის მოღვაწეობას და წერილის პირველი ნაწილის ბოლოს დაასკვნის, რომ: „ღმერთთან სწორი სჯობს, ესევე ემართება ჩვენებსაც: ამას ნათლად გვიჩვენებს ჩვენი ახლანდელი ლიტერატურა, რომელშიაც მშობლიური, ნაციონალური არა არის-რა. ის არის მხოლოდ მონური მიბაძვა რუსულ ლიტერატურისა.“

მას ახლა ისიც გავსინჯოთ, თუ რა არის და როგორ ის ჩვენი მამხილავი და შემცდენი ლიტერატურა (ეს უკანასკნელი აზრები ტექსტიდან ამოღებულია. - გ.გ.)“.

სწორედ ამ „ჩვენი მამხილავი და შემცდენი ლიტერატურის“ განხილვას ეთმობა აკაკის წერილის მეორე ნაწილი, რამაც, ერთობ, რთულ მდგომარეობაში ჩააყენა კიდევაც ქართველი „წითელი“ ცენზორები და მათ, მოსალოდნელი „გართულებების“ თავიდან აცილების მიზნით, ამჯობინეს ამ „მძიმედ“ ნასაკითხი ნაწარის ამოღება წერილიდან და იქ მხოლოდ სამოდე „უმტკივნეულო“ აზრების დატოვება. აი, ჩვენი „ტვინიმეისტიერების“ მიერ „დამუშავებული-დაბლოკილი“ ეს ტექსტიც (სტლილი დაცულია):

„ორთა გაიყოფება რუსეთის ერი. ერთი უდიდესი, ძირეული ნაწილი შეადგენს „ივანეს“ რუსეთს და მეორე უმცირესი კი „პეტრასას“. რუსის მწერლები ჰკვირობენ: თუ რა ხასიათის მქონე იყო ივანე მე-IV და რითა აისხნება მისი მოქმედებები? ამ მტარვალ მეფისათვის როგორც მოვითხოვენ რუსის ისტორიკოსები, სიბრალული უცნობი იყო. ის ჰქენჯნიდა ქვეშევრდომებს; ყოველ-დღე სულ სხვა-და-სხვა გვარ სამუალოებს იგონებდა მათ სატანჯავად და სურვილს სამუდამოდ მაინც ვერ იკლავდა...“

ნოვგოროდო რომ აიღო და ათასობით ხალხი ჰმუსრა, მიტრაპოლიტი გამოეგება ამ მეფეს ჯვრით, სახარებით, ხატებით, ნაწილებით და სთხოვა: „შეაყენე რისხვაო!“ ივანემ მოუსმინა, აღუთქვა; მაგრამ პირობა არ აასრულა...“

აი ამგვარი იყო ის მეფე ივანე, რომელზედაც ბერსა სწერენ რუსის მწერლები და ჰკვირობენ: თუ რა ხასიათის იყო? და ან რათ იყო ისეთი? ტყვილად სცდილობენ, რომ მისი ბუნებითი მხარეები გარეგან მოვლინებით ახსნან. რუსის პუბლიცისტი აქსაკოვი ივანეს ხასიათს იმავე მიზეზებით ახსნის, რა მიზეზითაც ნერონი მოქმედობდა; მაგრამ საერთო რა იყო კერპთაყვანის მცემლის ნერონისა და ქრისტიანის ივანეს შუა?...“

ავიღოთ ბატონ-ყმობის დრო რუსეთში. განა ბატონი თავის საყმობი იგივე ივანე არ იყო? დღესაც ვაჭრობაში რასა ვხედავთ, თუ არ იმავე მოვლინებაებს? ვაჭარი თავის სახლში იგივე ივანეა; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ვაჭარი მხოლოდ თავის ხელ-ქეითებზე, თავის ცოლ-შვილ-მსახურებზე იყრის გულის ბუხარს. ასტროვსკის თხზულებები გვიჩვენებენ, რომ ვაჭარი თავის ოჯახში იგივე პატარა ივანეა, როდესაც ჯერ უშვირებით იძებს გულს და მერე სულის საქმეებს შეუდგება ხოლმე...“

ამ სამი თვის წინეთ მთელმა სოფლის საზოგადოებამ ერთს გუბერნიამი ორმოცი დღის ტუსალობა გადუწყვიტა ერთს თავის მოძმეთაგან უსმელ-უჭმელად და როდესაც სული ამოხდა, გაიკვირვოს!

აი ამ რუსებს არა აქვს თავისი ლიტერატურა ანუ უკეთ ვსთქვათ, აქვსთ, მაგრამ სიტყვიერი...“

ბიორბი ბაბუნია

პეტრე დიდმა მოინდომა იმ ხალხის გადაკეთება. დაუახლოვდა ევროპას და შემოიღო რეფორმები თავის ქვეყანაში. ჯერ, რასაკვირველია, გარეგნობილად იწყო: დაპარსა წვერები და დაუშოვდა გძელი ტანისამოსი...“

პირველად ეს ცვლილება ძალიან იუცხოვეს, მაგრამ ბოლოს შეეჩვიენ და თან-და-თან იწყეს ევროპელების დამსგავსება, ნაბაძვა.“

აი ამ პეტრეს რუსებს აქვსთ თავის ლიტერატურა, რომელიც ბრმა მიბაძვაა ევროპელების. იმაში ნამდვილი, რაციონალური არა იხედება-რა, ის ივანეს რუსებისთვის გაუგებარია.“

ეს შენიშვნის სლავიანოფილებმა და მოინდომეს ამ მონაობიდან გამოსვლა; ისინი სცდილობენ, რომ თავის სამშობლოს გასანათებლად და ასადგენად საფეხური თავის სამშობლოშივე გამოიხატონ; მაგრამ ხშირად ისე სცდებიან, რომ იმათაც გამხმარი ტალახი მარმარილოს იატაკი ჰგონიან ხოლმე. მოვა დრო, რომ, როგორც პირველების, ისე მეორეების ლიტერატურასაც ბოლოს მოუღებს ნაციონალური ლიტერატურა და დაადგება თავის ბუნების გზას.“

აი ამ მიბაძვით და ცრუ-ლიტერატურის გავლენის ქვეშ არიან ჩვენი მწერლები და მათი მწერლობა დღეს“.

ვიმედოვნებთ, რომ დიდი მგოსნის თხზულებათა ახალ გამოცემებში მისი წერილი „მცირე რამ შენიშვნები“ სრული სახით იქნება შეტანილი, რაც აკაკი წერეთლის პუბლიცისტური მემკვიდრეობის სრულყოფილად წარმოჩენის საქმეში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. სწორედ ამ მიზნით დაინერა წინამდებარე პუბლიკაცია და გვინდა ვირწმუნოთ, რომ იგი არ დარჩება „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ბურამ ყორანაშვილი

თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში (განსაკუთრებით საისტორიოში) ბევრი უკეთურება შეიმჩნევა. ერთ-ერთი, აზროვნების სიღრმის და შრომისმოყვარეობის დეფიციტთან ერთად ფრიად მოიკოჭლებს სამეცნიერო ეთიკაც. ამის დამადასტურებელი მაგალითი უამრავია, რაც, დიდად სამწუხაროდ, ხშირად რეაგირების გარეშე რჩება.

მიუხედავად აღნიშნული უარყოფითი ტენდენციისა, მაინც არიან მკვლევარები, ჩვენს სამეცნიერო ტრადიციას რომ განაგრძობენ. ამათ შორის გვეგულებოდა მკვლევარ-ისტორიკოსი დიმიტრი (დიტო) შველიძე, ავტორი რიგი საკმაოდ საინტერესო ნაშრომებისა. ამიტომაც ძალზე გაგვიკვირდა მისგან ეს ამბავი.

ამა წლის გაზულს „უიქენდის“ 18-24 და 25-31 ოქტომბრის ნომრებში მან დაბეჭდა ვრცელი წერილი სათაურით „რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე?“. სტატიის დასაწყისში დიმიტრი შველიძე ასახელებს რიგ ავტორებს, რომლებიც შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში, 1990 წლიდან მოყოლებული, შეეცადნენ, გაეაზრებინათ „ჩვენი უდიდესი ეროვნული სიბრძენის“ (კიტა აბაშიძე) ფაქტი. თუ ავტორს დაეუჯერებთ, „ზემოაღნიშნულ მკვლევართა ძირითადი მიზანი ილიას ფიზიკური აღსასრულის კონკრეტულ გარემოებებს ეძღვნება. ამ გარემოებამ კი, ავტორებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ილიას მკვლელობის პოლიტიკური მოტივების პრობლემისადმი ინტერესი თითქოს (!) შეანელა“. ამასთანავე იგი აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, ზოგადად ცნობილია, რომ მკვლელობის მიზეზი ილიას დიდი ეროვნული მოღვაწეობა და ეროვნული მოძრაობის თავკაცობა იყო“, „მაგრამ ეს სავესებით

მართებული თვალსაზრისი, ფორმულა კონკრეტულ-ისტორიული ფაქტ-მოვლენებით ხორცმსხმას მოითხოვს“.

მართლაც დიდად პარადოქსულ ვითარებას ვაწყდებით. მთელი რიგი ავტორებისა თურმე ოდენ უშუალოდ ილიას მკვლელობის ფაქტის თანამდევნი ამბებთ შემოფარგულად, მაგრამ უპრიანია, დაისვას ლოგიკური შეკითხვა: ნუთუ ამ ავტორებმა მიიზინყეს, მიაფუჩჩეს გარემოებანი, რომელთაც განაპირობებს უდიდესი ტრაგიკული შედეგი. თუ ობიექტურნი ვიქნებით, ამის საფუძველი არ არსებობს.

რიგ ავტორთა მიერ შემჩნეულია, რომ ჩვენი დიდი წინაპრის ფიზიკური არსებობა ხელს არ აძლევდათ – განსაკუთრებით, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, 1905-1907 – წლებში გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს. ბოლშევიკ-კომუნისტებმა, იოსებ სტალინის მითითებით, ყველაფერი იღონეს, რათა შემზარავი ტერორისტული აქტი მხოლოდ მეფის ხელისუფლებისთვის, კერძოდ, „ოხრანკა“-ყანდარმერისთვის გადაებრალეხინათ. ამის საპირისპიროდ ჯერ კიდევ კომუნისტური წესწყობილების ჟამს ბოგინობდა აზრი, რომ მკვლელობის „შემოქმედნი“ სხვა მხარეს – ქართველ სოციალ-დემოკრატთა, განსაკუთრებით, „ბოლშევიკების“ წრეში იყო მოსაძებნი. აღნიშნული შეხედულება გაძლიერდა კომუნისტური სისტემის გადაგება-გადაშენების შემდგომ.

მაგრამ გამოიკვეთა ორი ავტორის ისეთი აზრიც, რომლის მიხედვითაც ილიას ტრაგიკული აღსასრულის „ავტორები“ ორივე ძალა – მეფის რუსეთის ხელისუფლება და ქართველი ესდეკები, განსაკუთრებით, „ბოლშევიკები“ გახლ-

დნენ. თითქოს პარადოქსია ორი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული მხარის ერთობლივი მოქმედება, მაგრამ პოლიტიკური ინტერესების დამთხვევამ ამ ორი ძალის გაერთიანება გამოიწვია.

საკითხით დაინტერესებული მკითხველები ადვილად შეამჩნევენ, რომ რიგ ავტორებს, რომლებიც ილიას მკვლელობის საქმეზე მუშაობდნენ, ზემოაღნიშნული მომენტი მხედველობიდან არ გამორჩენიათ. მაგრამ ამ გარემოების დეტალურად ჩვენება ზედმეტად მიგვაჩნია.

ფრიად უცნაურია დიმიტრი შველიძის მიერ მთავარი აქცენტის აბსტრაქტულ მომენტზე – შესაბამის სოციალურ-პოლიტიკურ ატმოსფეროზე გადატანა. იგი წერს: „ილიას კონკრეტული მკვლელები, რომელიმე პარტია, ხელისუფლება, თუ პირთა ჯგუფი იმდენად არ იყო, რამდენადაც ის ატმოსფერო, ის განხეთქილება, რომელიც პოლარულად აპირისპირებდა ქართული საზოგადოებისა და ქვეყნის მოსახლეობის ორ დიდ ბანაკს“. ამ ვითარებაში „ყოველთვის ჩნდებოდნენ და გამოჩნდებიან სხვადასხვა ჯურის ბერბიჭაშვილების მსგავსი შემსრულებლები. ესაა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მთავარი გაკვეთილი!“

ცხადია, მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფერო თავისთავად არ წარმოქმნიდა. თავდაპირველად იგი შექმნეს პრესის მეშვეობით სათანადო, კონკრეტულმა ძალებმა. რა თქმა უნდა, ამას არ დასჯერდნენ და პრაქტიკულადაც აღასრულეს შავ-ბელი საქმე. სწორედ ისინი

წარმართავდნენ უბიერ გიგლა ბერბიჭაშვილისთანა „მარიონეტებს“.

რა თქმა უნდა, ილიას მკვლევართა თვით ამონურული არ არის. ჩვენი მტკიცე რწმენით, სწორი იყო ქართველი „მემწევიკი“, შემდგომ გერმანიაში მცხოვრები და აღსრულებული იოსებ ირემაშვილი, რომელმაც თავის წიგნი „სტალინი და საქართველო“ (გამოცა ბერლინში 1932 წელს) შემზარავი აქტის „კულსების მიღმა“ სწორედ იოსებ ჯუგაშვილი (სტალინი) დაასახელა. თუ ავტორი სჯერდებოდა შიშველ განცხადებას, ჩვენ ვგაქვს ამის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტი. თუმცა, რასაკვირველია, ამ მხრივ მტკიცე მტკიცებულების მოძიება საჭირო.

რაც შეეხება მეოთხე მკვლევს, „ვიღაც იმერელს“, ვფიქრობთ, ეს საკამათო საკითხი არ უნდა იყოს – იგი სერგო ორჯონიკიძე, იმხანად ოდენ იოსებ ჯუგაშვილის ორბიტაზე მყოფი „მისი ვირი“ (როგორც მას უწოდებდნენ) იყო.

გასარკვევია ნოე ჟორდანიას შესაბამისი მზაკვრული როლიც. სულაც არ ვფიქრობთ ისე, როგორც ამას დიმიტრი შველიძე მიიჩნევს: „სიმართლე უნდა ითქვას, ქართული სოციალ-დემოკრატიის ძალია ლამამ ნოე ჟორდანიამ, ამ პერიოდში თავი ანება ილიას წინააღმდეგ კრიტიკას“. აი, ჩვენ კი მკვლელობის შემდგომი პერიოდის ფაქტები სხვა რამეს გვაფიქრებინებს.

ყოველივე ამის გაგება-გააზრებას სერიოზული შრომა-რუდუნება სჭირდება და არა უმთავრესად პრობლემის არსში ჩაუხედავ მასში იაფი პოპულარობის მოპოვება.

დაბოლოს, ვიმედოვნებ, „ბრუტუსთან“ – მაინც დასაფასებელ პიროვნებასთან დაკავშირებით ამგვარი მკვლევარული ალარ დამჭირდება. ■

თბილისური (უხანო) ყოფა

დედაჩემს

ჩვენი სოფლიდან იწყებოდა ომიც, მშვიდობაც და გადახსნილი ვენებიდან გვდიოდა სისხლი, დე, შენ შორსა ხარ, სამას რაღაც კილომეტრს იქით, მაგრამ ცხოვრების წესებსა და კანონებს მიხსნი. უჩემოდ, ვიცი, არ ზეიმობ მზიან ამინდებს, დღეს გიორგობა... მალე შობა, მერე აღდგომა, დე, მე არ მყოფნის ლაპარაკი, შენ მაინც ცდილობ, შორიდან ცდილობ, რომ მე შევძლო მყარად დადგომა. იცი, ტკივილზე მეტი არის იმის შეგრძნება, მატარებლამდე რომ გაცილებ და შენ მშორდები, მერე მიგზავნი შენი ხელით მოქსოვილ წინდებს და მე მგონია, პატარა ვარ დროგამოშვებით. ბაქანზე მდგომი უქალაქოდ დარჩენილ ქუჩებს, დაორთქლილ მინებს და ცივ კედლებს ფრთხილად ვეხები, დე, იცი, ამ დროს დარწმუნებით, დაბეჯითებით გეტყვოდი – მზეზე თბილი არის შენი ხელები. გათომილ სულში ვემუქრები საკუთარ აზრებს, დავტოვებ თბილისს, სულ ცოტაც და აქ ველარ გავძლებ, მერე ვბრუნდები, საათობით ბაქანთან გიცდი და მაინც ვერსად ვერ ვპოულობ შენნაირ თვალებს. გენუნუნები, რომ დიდ ქალაქს ვერაფრით ვგუობ, რომ ველარ გავძლებ, ლამის არის, სულიც გამშორდა, მე ამ ქალაქში არსებობის პრინციპით ვცხოვრობ, რადგან სოფელში დაგიტოვე მთელი ბავშვობა. შენ რომ არ მყავდე, ჩემი თავიც არ მეყოლება, დაულალავად მომიწევდა ბედთან თამაში, მხოლოდ შენ ცდილობ, არ გავცივდე ზამთრის თბილისში, მხოლოდ შენ იცი, რამდენ შაქარს ვიყრი ყავაში. დე, გვირილები მომენტრია, ბალახის სუნი, ჩვენი სოფელი, კრამიტებზე დამდნარი ფიფქი, ჩამჭიდე შენი მზეზე უფრო თბილი ხელები... მაგრამ შორსა ხარ, სამას რაღაც კილომეტრს იქით.

უერადი ქორნილი

ხერხემლის მალეზე ვეყრდნობი სამყაროს, ლექსებსაც რითმების მოვარგე ყალიბი, დღეს მითხრეს: თვალეში სინათლე გიკრთისო, დღეს შენზე ვფიქრობდი და მე მაქვს ალიბი. მსურხარ და მინდიხარ, ან უფრო – მჭირდები, განცდებმა ფიქრები განსჯეს და გაკიცხეს, დღეს აზრი არა აქვს ნივთიერს, ხელსახებს, ენძელებს, გვირილებს, ვარდებს და ნარცისებს. მოდი და უბრალოდ სასულეთს შეეხე, ფიქრებში ვინ იცის, ვის და რას გადარე, არ მინდა ათასი ნითელი ყვავილი, მოდი და ჩემს სახლთან გრძნობები დაყარე. ცხოვრება ისედაც ჩამტყდარი ხილია, ცოტათი მაგონებს დაგეშილ მიმინოს, ბეჭედი არ მინდა – თითებიც მეყოფა, ქორნილიც არ გვინდა – მინდვრებში ვირბინოთ! ვილაცას გრძნობები სიყალბე ჰგონია, მიყვარხარ-ს პასუხად აქციეს: მე რავი. ჩვენსავით ერთმანეთს ვერავინ გაუგებს, ჩვენსავით ნეკნებზეც ვერ დანერს ვერავინ. სიტყვები ბევრობენ, ფრაზებიც ზედმეტობს, სირთულის ზღვარზე მყოფს ფიქრები მერჩიან, ჯვრისწერა არ გვინდა (ცოტათი ვმკრეხელობ), უფალი ისედაც, ისედაც ჩვენშია. ლექსები ბევრისთვის რითმების გროვია, პოეტობს დღეს თითქმის სულ ყველა მოცლილი, ნიშნობა არ გვინდა – გრძნობებიც გვეყოფა, ლექსებში გავმართოთ ფერადი ქორნილი!

●
შენ იცი, შენ გესმის, მარტივია, შენდობის დღეებია – ბოდიში! კოლხელი ქალი ვარ და მიხარია, ხმლები რომ აულესავთ ოდიში. შენ – ჩემი პოეტური ახირება, მე – ერთი უბრალო და მარტივი, და მაინც ტკივილამდე ვსენტიმენტობ და მაინც შევიშალე მარტივით. შენ ერთი ულექსებო პოეტი და მე ერთი უპოეტო გოგო ვარ,

ჩვენ აქ ვართ – დედაქალაქს შევერით, კოლხეთში პოეზიამ მოთოვა. შენ ჩემში ქაოტურად დააბიჯებ, არ მინდა, უადგილოდ დამირჩე, ოდიში რახანია შემოდგომა ფოთლებმა ზამთრისაგან გამიფხეს. ჩემთან კი, ჩემს სოფელში ქარიო, ქარია, არ გაცივდე, თოლიგე, იქ, სადღაც, სამეგრელოს დასალიერს, ღმერთით უწმინდესი თოვლი დევს. მიყვარხარ! – ყველა ნათქვამ მიყვარხარზე მეტად და კიდევ უფრო... ცის იქით, შენ ამ ლექსს ქალურ ნუნუნს უწოდებ

და გულში დამცინავად იცინი. თბილისმა გულგრილობას შემაჩვია,

ზამთარიც ბორანივით მოგორავს, შენ ერთი ულექსებო პოეტი და მე ერთი უპოეტო გოგო ვარ.



მარიამ თორია

არშემდგარი პაემანი

თენდება ისევ უამინდოდ, უმწეო მზეა, ჩვენი მორიგი ერთად ყოფნა სულ უფრო არ ჰგავს პაემანს, სადაც გოგონები იგვიანებენ, ხოლო ბიჭები ნერვიული მოთმენით დგანან. გზაჯვარედინთან, ხიდის გაღმა, გადაკვეთ ქუჩას, იქ გელოდები, ჩვენს ადგილას, (თმას აღარ ვიკრავ), მიზეზი ისევ უცვლელია – შენ ასე მოგწონს, მე შენი თვალით დანახული სამყარო მიყვარს! სველი თვალეები უშენობით ამომიშრება, შენ თაფლისფერი თვალეები გაქვს, მზესავით თბილი, მალიზიანებს, როცა ვფიქრობ და წარმოვიდგენ, შენ ამ ქუჩაზე, ალბათ, ვილაც სხვა ქალთან ივლი. ნუ გაიკვირვებ, პოეზია შემოვიკედლე და უშენობაც, ვფიქრობ, ასე გავიოლო, შენს შემოვლილ ფიქრებს ვანუგეშებ და დაგპირდები, რომ არ ვიქნები სტაბილურად სახარბიელოდ. ეს ისტორია ისტორიას აღემატება, მალე შენ ნახვალ და ჩემნაირს ათასს იპოვნი, პაემანი კი ჩაგვეშალა ოცნებებით და მარტოობის უფრო ვგავარ ახლა სინონიმს. როცა მიყურებ თვალებს მიღმა, სულის ფსკერამდე, მიყურებ ისე უანგაროდ, სუფთა თვალეებით, ჯერ აღმოგაჩენ, დაგიმკვიდრებ საკუთარ სულში, მერე ჩემს სულს და საკუთარ თავს დავემალე. ჩვენს ყველა კამათს ირონიის სიმძაფრე ახლავს, შენ მეუბნები, ბავშვური ვარ, რომ დროა გაზრდის, ეს ლექსიც – დიდი არაფერი, ბანალურია, და ეს შეგრძნება პოეტობის იმედებს მაცლის. ისევ ბავშვურად გსაყვედურობ, არ მინდა მოცდა და ტიტრებით სინქრონულად მივყვები ამ გზებს, გადაგყურები ჩვენს ქუჩაზე ვილაც სხვა ქალთან, და წლების მერე მე გეტყვი, რომ ვერ გავიზარდე...

●
ზაზა სუყაშვილს

ამინდი წვიმიანი. სველი და უსახელო ქუჩები, ცხოვრება ზოზინებს და შენ ახლა ეპოქებით მიდიხარ, მე ისევ მგონია, რომ ტკივილი პოეზიით ყურდება, შენ თითქოს მეთანხმები და მაინც ლაპარაკობ ირიბად. მივდივართ, ტაძარია, ქუჩაა, წვიმიანი თბილისი, ჩვენ უკან მოვიტოვეთ განწყობა უსათუოდ საძნელო, ლექსებზე ვლაპარაკობთ, ლექსებით ვსაუბრობთ და ვივლიდი ქუჩებში მთელი ღამე, იმდენად პოეტურად ვარსებობ შენს გვერდით. აპრილია, ღამეა, უფრო ზუსტად – თორმეტი, ჰო, ასე უბრალოა მოტივი, მიზეზი და საბაბი, სოფლიდან გამოგზავნილ ბავშვობას ვინაწილებთ თანაბრად – შენ დედა გენატრება, სიცხიანს აღარ გშველის აბები. თვალეებში გიყურებ და ბავშვურად, უანგაროდ ვიღიმი, ტაძრამდე უფალია, იქიდან ქუჩაა და ლექსები, ისეთი ამინდია, ამინდზე ლაპარაკი არც ღირდა... მე და შენ მივდივართ და თანდათან პოეზიით ვსველდებით. თბილისში წვიმებია, სოფლისგან განსხვავებით, ირიბი...

„მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია!..“

ყველა სხელი. სდასც ხვეწ ვარია, არის აცადეპის.
ყველა აცადეპის. სდასც ხვეწ არ ვარია, არის სხელი!





ბი, ვცდილობდით დაეხმარებოდით მათ, ვისაც ყველაზე მეტად ვჭირდებოდით: ბავშვთა სახლებიდან პატარებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ონკოლოგიურად დაავადებულ ბავშვებს...

„ადენესმა“, როგორც საინიციატივო ჯგუფმა, ჩაატარა სამი მასშტაბური კონცერტი. პირველი კონცერტი სოციალური თერაპიის სახლის წევრებისთვის სახელწოდებით „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“ ჩატარდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. კონცერტის პარალელურად მოეწყო მათი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ეს იყო ნახატები, თეატრული ნამუშევრები, გადამუშავებული ქალაქისგან დამზადებული ნივთები...

ცია ვერ გადაიტანა და გული გაუჩერდა

„ადენესს“ ფართო პროფილი აქვს და ცდილობს შეძლებისდაგვარად დაეხმაროს ყველას, ვისაც ეს სჭირდება, ასევე, აქვს უამრავი პროექტი და გეგმა. მას გამოუჩნდა სპონსორი, ესთეტიკის ცენტრი „ლა ბელე“, ასევე, რადიომხარდამჭერები და, რაც მთავარია, „ადენესს“ აქვს იმედი, რომ გამოჩნდებიან სხვა სპონსორებიც, კეთილი ადამიანები.

დღეს გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ჩვენზე არაფერია დამოკიდებული, არაფერი შეგვიძლია შევცვალოთ, აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენთვის. სამწუხაროდ, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თავს არიდებენ პასუხისმგებლობას,

„ადენესი“ - „სადგურად სულის სიმცხივისა“

23 დეკემბერს 18:00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქველმოქმედო ორგანიზაცია „ადენესის“ ინიციატივით და ორგანიზებით გაიმართა საქველმოქმედო საღამო სახელწოდებით „გახდი სიკეთის ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი“.

საღამოს მთავარი მიზანი იყო თანხის შეგროვება ერთი წლის ნიკოლოზ ჯანელიძისთვის, რომელსაც დაბადებიდან აქვს ზურგის ტვინის სიმსივნე მუცელში ჩაზრდით. ნიკოლოზს წარმატებით ჩაუტარდა ოპერაცია თურ-

საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობას იღებდნენ : თიკა ჯამბურია, მარიკა თხელიძე, ლადო ჯანელიძე, ირმა გიგანი; ანსამბლები: „მეტეხი“, „ერისიონი“, „ქართველო“, დები ზვიადურები, მარიამ ელიეშვილი, მირანდა მაისურაძე, სოციალური თერაპიის სახლის წევრები, ლექსო დორეული, ჯუბა ხაინდრავა, ანა ბერუჩაშვილი, ოთო ფალიანი, გვანცა მურცხვალაძე . შესრულდა ქართული და უცხოენოვანი ჰიტები, ნაციონალური ცეკვები, თუმცა, ალბათ, მაინც ყველაზე ემოციური იყო



კონცერტის მთავარი მიზანი კი გახლდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაცია საზოგადოებასთან და დანგრევა იმ მითისა, თითქოს ისინი „საშიშები არიან“. თერაპიის სახლის წევრები ჩართულნი იყვნენ კონცერტში, იმღერეს, იცეკვეს, ლექსები წაიკითხეს. ეს იყო კიდევ ერთი ნაბიჯი იმ მიზნისკენ, რომელსაც ჰქვია განსხვავებულის და განსხვავებულობის ნორმად მიღება.

სოციუმის წინაშე რომ აკისრიათ, მიიჩნევენ, რომ თავიანთი პრობლემებიც ჰყოფნიან, მაგრამ ეს მხოლოდ სიძნელისგან თავის არიდებაა, მარტივი გზა გასაქცევად, ადამიანს კი ყველაფერი შეუძლია, თუ მოინდომებს.

მას შეუძლია სიცოცხლის გადარჩენა!

მას შეუძლია, უამრავ ადამიანს, რომელიც სიღარიბის ზღვარზეა, შეუმსუბუქოს ცხოვრება.

მას შეუძლია, უამრავ ბავშვს, რომლებიც მოკლებულია მშობლიურ სიტბოს, გაულამაზოს სიცოცხლე და აჩუქოს ბედნიერი, სიყვარულით სავსე დღეები.

ადამიანს ყველაფერი შეუძლია – მთავარია სურვილი.

„ადენესი“ აგრძელებს თავის საქმიანობას, როგორც ორგანიზაცია, და აქვს საზოგადოების მხარდაჭერის იმედი.

ვიძრია ვირცხალაიშვილი
„ადენესის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი

ქეთში და სიმსივნის ამოკვეთა მოხერხდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სიმსივნემ ხერხემალი დააზიანა, ამიტომ მას სასწრაფოდ, იანვრის თვემდე, ესაჭიროებოდა კონსულტაცია და სარეაბილიტაციო კურსის ჩატარება.

„ადენესისთვის“ ეს არ იყო პირველი საღამო, რომელიც ნიკოლოზისთვის ჩატარდა. მანამდე იყო კიდევ ბევრი აქცია, ლიტერატურული საღამოები, სადაც თანხა საქველმოქმედო ყუთებით ნიკოლოზის დასახმარებლად გროვდებოდა. თსუ-ში ჩატარებულ საღამოზეც შეგროვდა თანხა, რომელიც ნიკოლოზს კი თურქეთში რეაბილიტაციის კურსის ჩასატარებლად ესაჭიროება.

ლონისძიებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაწილეობა ისინი სიმღერით შეეცადნენ ნიკოლოზის დახმარებას და თავად გახდნენ სიკეთის მქმნელები.

რაც შეეხება თავად „ადენესის“ ისტორიას: სახელწოდება „ადენესი“ სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით ნიშნავს „სადგურად სულის სიმტკიცისა“. „ადენესი“-ს დამფუძნებლები არიან ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები : მარიამ შოენაძე, ნანა იმნაძე და ფიქრია ფირცხალაიშვილი. „ადენესი“, როგორც ორგანიზაცია, ერთი წელია, რაც არსებობს, თუმცა მანამდე, ორი წლის განმავლობაში საინიციატივო ჯგუფი, სადაც მეგობრები, ძირითადად სტუდენტ-

გახდი სიკეთის ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი

TBC BANK GE75 TB71 6303 6080 1000 03
LIBERTY BANK GE39 LB01 1511 0000 5280 00

ან დარეკეთ

09 01 700 523



პოეზია პოეზია პოეზია

● შუალამეა. მთვარეა ლალი, მუზები ფანჯრებს მოადგენს ორთქლად, სახლში, ბუხართან ბარბაცებს ლანდი, ყურებში ცეცხლი გუგუნებს დარდად.

მთვარესთან ობლად მოლიმარ ვარსკვლავს გულჩათხრობილი უელავს სხივი, ღამის ბინადართ ერთმანეთს ვაცლით, ასე ცალ-ცალკე დიდხანს ვერ ვივლით.

სიმძიმის ტალღა მიაპობს სივრცეს, დროს და ჟამს ისევ ერევათ რული, არ გინდა, მაგრამ იჯერებ ძნელად – ეს ცხოვრებაა ამრიგად რთული.

ჩემი ბავშვობის უმანკო სახეს, შენი წარსულის შთამბეჭდავ ამქარს შემოაკვდებათ სიცოცხლე ურჩი, შერჩებათ მერე ცხოვრება დარდად.

შევხვდები სადმე იმ თვალთა ხედვას, თვალს გავუსწორებ მძვინვარე ალებს და ღრუბელივით მოქუფრულ შუბლზე შენი სინდისი სიმძიმედ გადევს.

არაფრის გამო ვივინყებ წარსულს, ყველაფრის გამო ვიშენებ ციხეს, იდეამ დროსთან შეწყვიტა ბრძოლა – მე ჩემს ცხოვრებას თავიდან ვინყებ!

დროდან დრომდე...

დილა, სარკისფერი, ისე მოიქუფრა, გზა ვერ გამიგნია, ვდგავარ გაღეული, გუშინ მთელი ღამე თეთრად ვათენე და შენკენ მოვაბიჯებ, როგორც მთვარეული.

ვიცი, უცვლელია ფიქრი დროდანდრომდე, კვალი აგერევა, მე მოგაგონდები,

ისევ სიჯიუტის კლდესთან ატუზულხარ, ისე დაიღლები, თვითონ გაოგნდები.

მთაში შენაპირებს მზე რომ მოადგება, როცა სხივი დაგწვავს, სანთლად მოილევი, წერას დავასრულებ შენი თვალებიდან, გვერდზე მოგიჯდები ისევ, მორიდებით.

● ვდგავარ ფანჯარასთან ფიქრებარეული, გარეთ წვიმა მოდის, ხმაურს უერთდება, გაოგნებულ მზერას შხეფი ეცემა და ახლად შექმნილ გუბეს თვალი უელმდება.

შორს მიმავალ გზაზე წყვეტილ ნაბიჯებად ჩემი ნაფეხური სადღაც მიაბიჯებს, ისევ გარეგნული დამაქვს სიმშვიდე და მშვიდი ნებისყოფა ცისკენ მიმაცილებს.

ხეებს აშრილებს მისგან მონაქროლი მძიმე ქარბუქი და მინებს ებჯინება, სადღაც შორეული ისმის ნაბიჯის ხმა, მზერა მელდება და თვალის მენისლება.

გვირახს ბოლო უჩანს, ჩემკენ წვიმა მოდის, სევდის შენელებით გული მიჩქარდება, მინას მოხვედრილი წვეთი მაფხიზლებს და დამშვიდობება ჩემი მისალმება.

● შემოდის დილა, ღმერთთან ვარ თითქოს, ჩერდება დრო და მოსასხამს ვისხამ, ეს არის გლოვა ნამდვილი ზიზღის, გარბიხარ შენ და გამირბის მინაც.

ყველა ტკივილი დაამდა თითქოს, უემოციოდ დავტოვე სისხამს და, სანამ სულზე მომისწრებს მეხი, ჩემი წერილი რიჟრაჟთან მიმაქვს.



ღიანა კოიწარციკოიანი

და, როცა უკვე მივალნევი მიზანს, როცა შემოვლენ ჩემში ქარები, არ ვიცი, როგორ? თუმცა ვიცი, რომ მე ყველა სასჯელს დავემალევი.

● იძინებს დღეები, ვიძინებს იქ, სადაც თენდება. არ სძინავს გონებას, ფხიზლობს და სიცოცხლით იგსება.

გული გონს გადასცემს, ის კი სულ მუნჯივით დუმდება, ამოდის მზე, გადმოდის, ფილტვებში იღვრება.

სიცოცხლე მსურს! სიკვდილი არც ხშირად მინდება, უშენოდ ცხოვრება ნელ-ნელა სულ უფრო ძირდება! სიცოცხლე მსურს! ეს ჩემი პათოსიც ნელდება, სიმართლის თქმა დღეს უკვე სიცოცხლედ მჭირდება!



თორნიკე ცაცხაშვილი

მოხუცის სახე

მისი თვალები – კლდის ქვაბულები, მოლლილნი ტალღის ოხვრა-ვედრებით, ამ ქვაბულებში განაბულები: ცხოვრების აზრი და შეხვედრები.

კლდის ქვეშ იზრდება წვერი ფითრებად, ქვაბულს ფარავენ წარბის ფოთლები და კლდის სიღრმეში წვეთი ითვლება წერილდამხრჩვალს უხსნელ ბოთლებით.

ტალღა ხმაურით კლდეს ენარცხება, მოაქვს ულონო აზრის ნაცრები და ყოველი დღე, ვით დამარცხება მას გაყიდვან, როგორც ვაჭრები

მთელი ცხოვრება იყო წვალება, ომის, სინდისის და ვნების ტაძრებად და კიდევ ერთი გარდაცვალება იმ ექვს ფიცარში გაიბანრება

ადრე მავალი ირმის ჩლიქებად, ხელმარჯვე, სწრაფი და თან ფიცხელი დღეს ნამგალივით მიიდრიკება – ყოველგვარ ცეცხლის გამომრიცხველი

მის ზემოთ, როგორც ფრინველთ გუნდები, ისე იცვლება სხვა თაობები. ტკბილო ბავშვობავ, ვერ დაბრუნდები, თუ შეუდექი გზას დაობების,

მთლად გარდასრულა ძველი დღეები და ჩამოშლილა მისი თითები, ან ჩაფერფლილა ვნების ტყეები, ჩაქრნენ საზები და ბარბითები,

ახლა სიკვდილის არის ლამპრები, ყველა ნაბიჯი მისი ფერება, როგორც ძახილი მშვიდ წინაპრების, მალე სიცოცხლე დაეძგერება.

ქვაბულებიდან წვრილ ნაკადებად, ჟონავს მოხუცი გულის სიზმრები, ის უკვე სხვაგან დაიბადება და დამთავრდება კატაკლიზმები.

მონყალევის წრა

მე ვარ ეკალი იესოს ფრჩხილქვეშ, მე ვარ ტკივილი, სიკვდილი, სიცხე, მაგრამ, როდესაც მმარხავენ პირქვე, იესო თავის სისხლიდან მიცხებს.

მე ვარ სასტიკი, ვით კაიაფა, და გამცემიც ვარ, როგორც იუდა, ვარ პაიკმკვდარი სიცოცხლის დაფა, ჩემმა სიბრმავემ გამაჯიუტა

და, ვიდრე ქვეყნად დადგა ის ჟამი, მეც განვიბანე უდაბნოს მტვერი. ჩემს ქვაზე დავდგი დაბალი სკამი და შევილუკმე ნაზარეველი..

რადგან ხსნა არ არს ხსნა გარეშე ამის და მან ჩემს გულში ისახლა თავი, რადგან საათად მიქცია ნამი და საჭე მომცა ჩემივე ნავის,

ამიტომაც ვსვამ მე კურდღლის წყაროს – ყური ფართო მაქვს და დაცქვეტილი ჩემს გულში მღერის, ცეკვავს და ხარობს ადამი უმი და აწყვეტილი.

შენი თვალი ჩამსაში, ჩამი თვალი შენსაში, ჩამი ხალი შენს გულზე, შენი ხალი ჩამსაზე

როგორც პატარა უმანკო ბავშვი ზამთრის ცივ ალერსს გრძნობ ნამნამებით, ეხები ყინვას, მას, შენში გაშლილს და გავიწყდება შენ სხვა ნამები.

თოვს, როგორც თოვდა ოდესღაც ადრე, ზვავში მოყოლილ თვალებით ირმის, მე მხოლოდ ერთი სიტყვა გაკადრე, გვედრე სამოსი უწმინდეს სირმის.

მივყვები ბილიკს, მრავალჯერ თელილს, მოკვდავის რჩება ნაფეხურები, მოგეცი ყველა, ბოლომდე მთელი, მრავალჯერ კვლავაც დაგეხურები.

ყინვაში სახნად და ომში ფარად, საკუთარ ტყავის ჩაგაცვამ სამოსს, რაც უნდა მოხდეს, იძინე წყნარად. თუ მე გწყურებ, შემსვი, გაამოს.

სადაც არ უნდა სუნთქავდე ლურჯად, მე გამოგყვები უხილავ სხივად, იარე ლალად, გიდგავარ ბურჯად – ნუ გეშინია, ბოლომდე მივალთ...

თუ დაეცემი, ხელს შეგაშველებ, არასდროს მოგცემ უფლებას შიშის, შენს თავთანაც კი გაგაშველებ, არ გავგიჟდები, უკვე ვარ გიჟი.

გქონდეს იმედი ახალი დილის და უხილავი შენი მფარველის, ვარ სიყვარული მე შენი წილი და სანთლის ალი განუპარველი.

პოეზია პოეზია პოეზია

– თორნიკე, ვინაიდან მე უფრო კომპეტენტური საკუთრივ ლიტერატურის დარგში ვარ, სწორედ ლიტერატურიდან მაგალითების მოშველიებით ნამოწნე გარკვეულ საკითხებს და შენ მუსიკის მიმართულებაზე განავრცე ისინი. ეს საინტერესო იქნება ამ ორი „დისციპლინის“ ურთიერთმიმართების, მსგავსებებისა და განსხვავებების გამოსაკვეთად და მკითხველს საშუალებას მისცემს, დაინახოს ესა თუ ის საქმიანობა თუ მოვლენა როგორ აისახება ხელოვნების ამ ორ მიმართულებაში. მაშ ასე, პირველი, რაც მინდა გკითხო: როგორია შენი, როგორც კომპოზიტორის კრეატიული მუშაობის პროცესი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ ქმნი მუსიკას? რამდენად შესაძლებელია ამ ფენომენის აღწერა...

– ლექსო, შენ სწორად აღნიშნე... მართალია, ლიტერატურა და მუსიკა ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებია, მაგრამ, მგონია, ნაწარმოების შექმნის, დაბადების პროცესი მათში იდენტურად თუ არა, გარკვეული თვისობრივი მსგავსებით მაინც მიმდინარეობს. შემოქმედება, ხელოვნება ხომ ადამიანის გონისმიერი მოღვაწეობის ის ერთადერთი სფეროა, სადაც მას შეუძლია ემსგავსოს ღმერთს იმ თვალსაზრისით, რომ იყოს შემოქმედი – არარსებობიდან წარმოშვას არსებული.



ამდენად, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ლექსს ქმნი, ნახატს თუ მუსიკას, ყველგან შენი ცნობიერება და ქვეცნობიერიც ანალოგიურად მოქმედებს. გრძნობ სულიერი ენერჯის, პოტენციალის მოზღვავებას, რომელიც დასაბამს შენი შინაგანი სამყაროდან იღებს და მისი განცდილი გრძნობები და ემოციები თავისით გამოდის თითებიდან, როცა ფორტეპიანოს მიუჯდები. ამ დროს მთელი არსებით გრძნობ მუსიკას. გრძნობ, რომ თითო აკორდი თითო გრძნობაა და სწორედ შენი სულის დაუსრულებელი, დაუსაბამო მოქმედების შედეგია მუსიკა. ენერჯია, რომელიც შენში შეიძლება თვეობითაც კი გროვდება, ბოლოს ნოტებად გამოთავისუფლებას გთხოვს და შენც არ გინდა და არც შეგიძლია, წინააღმდეგობა გაუწიო ამ შთაბეჭედავი სიძლიერის სტიქიურ ძალას. საინტერესოა, რომ სწორედ „უსასრულო აკორდი“ ჰქვია ნაწარმოებს, რომელიც ბოლოს დაგწერე...

– თორნიკე, ფორტეპიანოს გარდა, კიდევ რომელ ინსტრუმენტებზე უკრავ და მათგან, რომელია შენთვის ყველაზე საყვარელი, ხასიათისთვის შესაბამისი. რომელთან ერთად ხარ უფრო თავისუფალი?

– ფორტეპიანოს გარდა, ვუკრავ კლარნეტზე, საქსაფონზე, ჰარმონიკასა და ტამბაშზე.

ყველაზე დიდ სიამოვნებას საქსაფონსა და ფორტეპიანოზე დაკვრა მანიჭებს, თუმცა მინდა გითხრა, რომ თითოეული ინსტრუმენტის მიმართ განსაკუთრებული და სპეციფიკური დამოკიდებულება მაქვს. ყველა მათგანს თავისი მნიშვნელობა და, ვიტყვი, მისტიკური დატვირთვა აქვს ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში. ისინი ერთიანობაში ავსებენ ჩემს მუსიკალურ შესაძლებლობებს და, ამდენად, თითოეულ მათგანს კუთვნილი, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს.

„ლიტერატურული საქართველო“ თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდა, ნიჭიერი შემოქმედთა აღმოჩენას, მოუთხროს მკითხველს მათი საქმიანობის თაობაზე, უფრო ახლოს გააცნოს ის ხელოვნები, რომლებმაც უკვე მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება. დღევანდელი ნომრის სტუმარია გამორჩეულად ნიჭიერი, გემოვნებიანი და დახვეწილი მუსიკოსი, ახალგაზრდა შემსრულებელი და კომპოზიტორი **თორნიკე ფურცხვანიძე**, რომელიც არაერთი შესანიშნავი კომპოზიციის ავტორია. რაც ყველაზე მთავარია, მას როგორც ინტელექტუალურად, ისე ბუნებითად იმდენად კარგად აქვს გათავისებული ის საქმე, რომელსაც ემსახურება, რომ, ვფიქრობთ, მასთან მუსიკის და ზოგადად ხელოვნების შესახებ საუბარი მეტად საყურადღებო და საინტერესო აღმოჩნდება ჩვენი მკითხველისთვის.

– თორნიკე, რა დამოკიდებულება გაქვს საკუთარი ნაწარმოებების მიმართ? რომელი პროცესი უფრო სასიამოვნოა შენთვის - მათი შექმნის თუ შესრულების? რომელ როლში უფრო კომფორტულად გრძნობ თავს – შემსრულებლის თუ კომპოზიტორის?

– მართალია, დიდ სიამოვნებას ვიღებ, როცა რომელიმე ცნობილი კომპოზიტორის გენიალურ მუსიკალურ ნაწარმოებს ვასრულებ, მაგრამ საკუთარი ქმნილების მიმართ ხელოვნის მაინც სხვა, განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. გამონაკლისი არც მე ვარ. ახალი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩემი ნაწარმოებები საკუთარი შევლებივით მიყვარს.

ჩემი მათდამი დამოკიდებულება ძალიან პატივმოყვარულია. მართალია, ხშირად მინდა, ისინი დღის სინათლეზე

გავლენა და თუ არის განსაკუთრებული ადამიანი, რომელმაც სრულიად განაპირობა შენი მუსიკალური გემოვნება?

– გეთანხმები, გავლენის გარეშე არაფერი იქმნება. მე თითქმის ყველა ჩემი საყვარელი მუსიკოსის გავლენას განვიცდიდი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე. ძალიან მიყვარს ბრაიან კუბერტსონი, სტივ უანდერი, მარკუს მილერი, ფილ პერი, ოსკარ პეტერსონი... თუმცა განსაკუთრებული ემოციური გავლენა, რამაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა ჩემი მუსიკალური ხედვები, მოახდინა აბდულა იბრაჰიმმა. კერძოდ, აღვნიშნავდი მის „ლურჯ ბოლეროს“. მისმა დამოკიდებულებამ და ხედვამ ამ კონკრეტული ნაწარმოების შესრულებისას მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე...

– თორნიკე, რამ განაპირობა შენი გადწყვეტილება – სწორედ მუსიკა აგერჩია შენი მოღვაწეობის მთავარ სფეროდ?

– ხელოვნება ისეთი რამეა, სწორედ ის გირჩევს შენ და არა პირიქით. ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოავლენ ნიჭს თუ ის შენში ნამდვილად არის.

ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო; იმ სულიერმა შინაგანმა მდგომარეობამ, რომელიც თანდაყოლილია და არა შექმნილი, არ მომცა საშუალება, სხვა საქმეს გავყოლოდი.

რასაკვირველია, ღვთისგან ბოძებულ ნიჭს განვითარება სჭირდება, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით ჩემს მშობლებს, რომლებიც, თავის მხრივ, ძალიან მუსიკალურები არიან.

ხუთი წლის ვიყავი, როდესაც რობერტ ბარძიმაშვილთან დავიწყე სიმღერა, შემდეგ ვიყავი მანქანის ჯანსუფ კაზიის კაპელის წევრი, ამჟამად კი ჩემი ვოკალისტი შესანიშნავი პედაგოგი, უამრავი ვარსკვლავის აღზრდელი ნანა დაუშვილია.

– რამდენად ხშირად წერ მუსიკას? როგორია შენი შემოქმედებითი მუშაობის პროცესი?

– სიმართლე გითხრა, ძალიან იშვიათად ვწერ. შეიძლება 3-4 თვე გავიდეს და ერთი ნოტიც ვერ დავწერო. სავარაუდოდ, ასე არიან მწერლებიც – საჭიროა შენში მომწიფდეს ის სულიერ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომ შესაძლებელი გახდეს მისი სიტყვებით გადმოცემა. აუცილებელია, მუსიკოსს დაეუფლოს „ბგერებისადმი მონატრების“ გრძნობა.

ჩემთვის შემოქმედებითი პროცესი, შეიძლება ითქვას, დრამატულია. მუსიკაც დრამაა... ზოგჯერ საკუთარი თავი განმინწყვია, თავიდანვე ამიღია ინერცია, რომ შემექმნა მაჟორული ნაწარმოები, მაგრამ



მივხვდარვარ, რომ საკუთარ ემოციებზე ვერ იძალადებ, რადგან სწორედ ისინი მოქმედებენ შენზე და არა პირიქით. შემოქმედი ვალდებულია დაემორჩილოს მათ და მიჰყვეს იმ დინებას, რომელსაც მუზა, ნაწარმოების წინასწარი შეგრძნება სთავაზობს.

ასე რომ, ჩემსა და საკუთარ ნაწარმოებებს შორის სწორედ ისინი არიან ურთიერთობის წარმმართველი, თუმცა მათი არსება, რასაკვირველია, ჩემს შინაგან, სულიერ ყოფიერებაში იძერწება.

– თორნიკე, ყველა ხელოვნს აქვს თავისი სათქმელი. რა გინდა, შენი მუსიკით გამოხატო, რისი თქმა გსურს შენი კომპოზიციებით ადამიანებისთვის?

– ჩემი მუსიკის მთავარი სათქმელია, რომ სწორედ დედამიწაზევა სამოთხეზე დღნიერება აქვე, ჩვენივეა, და არ არის საჭირო მისი სხვაგან ძებნა.

ამავე დროს, ჩემ მიერ შექმნილი მუსიკა, გარკვეული გაგებით, განსხვავდება იმ სინამდვილისაგან, რომელშიც გვიწევს ცხოვრება, ის სრულიად სხვა სამყაროა – არაპროგნოზირებადი, მოულოდნელი და მძაფრი. ასე რომ, მუსიკა და, ალბათ, ზოგადად ხელოვნება, შეიძლება რეალობიდან გაქცევის მცდელობადაც განვიხილოთ.

– გერმანელი ფილოსოფოსი არტურ შოპენჰაუერი ამბობდა, რომ „მუსიკა საგნების სულია“. შენს შემთხვევაშიც ასეა? თუ ცდილობ უსულო საგნების გასულიერებას?

– მე ასე არ მგონია, მკვდარ საგნებს სულს ვერ შთაბერავ. ჩემი შემოქმედება ადამიანებისკენ არის მიმართული და არა საგნებისკენ.

– თორნიკე, შენ უკვე თქვი, რომ ის მუსიკა, რომელსაც შენ ქმნი, არცთუ პოპულარულია თანამედროვე საქართველოში. როგორ ფიქრობ, „იზრდება“ თუ არა ამ მხრივ შენი მსმენელი?

– თანამედროვე საქართველოში ასეთი ღრმა და ყოვლისმომცველი, მისტიკური მუსიკა არ ცოცხლობს... თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხალხი მაინც მოწყურებულია მას. უამრავი ადამიანი მირეკავს, მთხოვს, ვესაუბრო მათ ამ საკითხებზე, დაეუკრა სხვადასხვა ადგილებში...

მაგრამ დღეს მუსიკა, სამწუხაროდ, მაინც უფრო კომერციაა, ვიდრე ხელოვნება...

ესაუბრა

ლექსო ღორაული



მილენა-ალბინების მისტერია

რა წყალი ნახის, გარდახდის
უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა.
შოთა რუსთაველი

თარგამულა, თარგამულა – ხობხისყელა მდინარეც,
გაზაფხულზე ლოდებს კორტნი, მთვარის ნეკნებს, მზენარევს.
დროის წრენირს მიუყვები – ბუნიობა წინ არის –
ჟამის ჟამთან შეყრა-გაყრის ჟინით მშვიდ-უნეინარით,
ბაიობის დელგმაც, ციდან ელდად ჩამოქცეული, –
რო იშხივლებს, კოსმოსის სულს ენვდინები სხეულით,
ელვის ფრთებით ზე აინეც, ისე აიფოფრები,
მოგდევენ, ვერ გენევიან აჯაგრული სოფლები.
მოაქანებ ამძვრალ ხეებს ფესვებიან-ვარჯიან,
რადგან იცი, განახლების სიგიჟისთვის არ სჯიან,
ძველისძველი – თხრი, აშიშვლებ – სამარხებით ინონებ
თავს, ამაყად უხათქუნებ ფრთებს კახათის ვინროებს.
დიდინეძთან შეყოვნდები, ხმას იდინჯებ ყასიდად,
მეყსეულად მოგაშურებს ბექობიდან ასი და –
წკრილებენ, გეზს იღებენ ჯუმის მიმართულებით,
უფლის ნებით ხელდასხმულნი, ზეცით მომართულები.
მეც მკერდს ვუშვერ ყველა მათგანს, გულზე გადავიტარებ
და... უძირო სევდით ვნაღმავ შვიდსიმიან გიტარას, –
შენ მოგელტვი ისევ, შენით ნატანჯიც და მდიდარიც;
შენს სისავსეს ველოდები ვარდობისთვის მერეხში,
ვზივარ კორდზე, შენს ლურჯ ბოინს ჯერ ვხატავ და მერე ვშლი
და... თავიდან... მზე გშობს, მზე გსვამს – მის წრენირში ტრიალებ, –
კვლავ ჩქერების ნაღვერდლებად განთებს ზენა ტრიალი,
შენი ჭავლით ვრინდები და შენი ჯადობგერების
ნათელს გავედევნები და ხევ-ხევ მოგეფერები.
გუგული რომ „კაფე-თესეს“ დაგძახებს მურყნარიდან,
იღუმალით ბურძგლებაშლილს მუხლების მოყრა მინდა
და გახარჯვა შენთან ერთად – უშურველად, ბოლომდის.
სტვენს, სტვენს შაშვი – მით კეთილად ითარგმნება ბოროტიც.
შენც – ფრთხილებ, ლოდებს კორტნი – მთვარის ნეკნებს, მზენარევს,
თარგამულა, თარგამულა, შე ოცნების მდინარეც.

დიდი ჰოეტის სიკვდილი

(ოთარ ჭილაძის მოსაგონარი)
– გულის უკმარისობა – სიტყვის მეგავარსკვლავს
დინჯმა კონსილიუმმა გაუშანსა დასკვნა.
ის კი... სამყაროსხელა გულით უბრად ინვა –
სწორედ იმნამს სწყდებოდა ცოდვით სავსე მიწას.

სარკმლის თვალსაწიერი

ექაჩავ თუთუნს – თავს ვიტყუებ,
ჰმ! – დროს დროსთან ვნებავ.
სერზე ნაძვი იკვირტება
მზის ქებათაქებად,
აღერილი გირჩების რბილ
სანთლებს უნთებს უფალს.
სწორედ ამ დროს ჭიშკარს ალებ
შენ – წერნეტა, ტურფა.

სიბერის ნიშანი?

ჯერაც ინთება გული, როგორც ასანთის ღერი,
სილამაზის რო გაჰკრავ კვესს... და კვლავ ახლავს ღიმილს
სულ წამისწამით შეყოვნება, ვით ლექსში მძიმეს
სდევს შეუცნობი ახლის განცდა, სისხლშიგან მჟღერი.

ღევილის ჩანაწერი


დღემ მიმოგვფანტა – წამს იშრობდა წამი ბრიალით
და წმინდა სისხლით დანიწკლული დრო ხსოვნად იქცა,
ახლა ის, ჟრუნი, მოლს რო კენკავს, მოჰგავს იმ ციცარს,
ტანზე გადასდის მზის – იმედის იალკიალი...

ვარიაცია: გუმისთის მონატრება

მზად უნდა იყო ყველაფრისთვის! – დუმლის ტევრში
მეხივით გასკდა გაფრთხილება, წამსვე მიჩუმდა,
ძალზე ქართული მზე აინთო თხემზე, ფიჩორთან,
სად თავს იხრჩობდა სხივის სირმით ღრუბელი მრეში.
აქ სხვა სიანცე ახლდა სიოს – ზღვის ამოსუნთქვას,
ტალღა მიენდო უსამანო სივრცის ჭენებას,
მას ალვის ხეთა ჟრჟოლა-თრთოლა ცისთვის ენება
და... ძლიერ, ძლიერ – შენთან მოსვლა – ძლიერ მომსურდა!

შემოგვათენდა

ზღვის მიქცევა-მოქცევის რიტმს
დავაზომე ჩემი
მაჯისცემა ბავშვობაში...
ზღვის მეველედ ვრჩები.
თარგამულა – სად წყლის ნათელს
ზღვის ჩხრიალი ნათლავდა,
მე და რეზოს (ძმას) ცაიშის გზა
გვიქცია ავთვალმა
და ჩვენც თრთოლით ხიდის
თავთან გათენებას ველოდით.
ალიონზე სიმინდის ჯვრებს
ცისკენ სწევდა ველობი.



გივი ზერია

სამივე დროში

ქალაქი – მზის სატახტო,
ჩვენი ნაშენები
არა – ქვებით,
ჩვენივე განცდის ნაფშენებით,
ჩვენი ნების ცემენტი, მზერის სახურავით,
სხივებში აზელილი ფიქრით... ქალაქ – ყვავილს
უფეთქავდა ფანჯრების ნათლიერი ლტოლვა
ზეცისაკენ,
რო ფერა ზღვის არილის ბროლმა.
ჩვენც ზეფიროსს – ცალ-ცალკე – ვიზომებდით ფრთებად,
თითქოს პორტში გემებიც ჩვენ გულებზე ება.
და აკაკის ხეები – მარადმწვანე ფილტვი, –
გაზაფხულის წვიმაში რო ინყებდნენ ტივტივს
და ქუჩები – ნეკნები და ქვიტიკირის ძვლები
ცხუმის – ერთურთს ვავსებდით, ერთმანეთით ვძლებდით,
ერთი იყო ჩვენი „მე“ და ქალაქის ხატი,
ყველა აღმართ-დაღმართით,
მზე-ხილვების ხლართით.
მის სახელს დედის ხსენთან აწყვილებდა ბაგე,
ათას ერთი სიმღერა ვიმღერეთ და ვაქეთ
ტალღებით დამუხტული ლოცვის სილამაზე
ოდით – მსასოოვარი ჯვრის, შეკრულის ვაზით.
ჰოდა, ნამყოს რო ვერწყმი, მომავალშიც – მინდა
გული არსად გავიდეს ცხუმის ჯადო-წრიდან.

ბედნიერი

მეოცნებე ბრიყვისგან სხვას რას ელით ნეტავ? –
თქვენ ნაარმალს მიითვლით?
მე ზმანებებს ვხვეტავ
და შინ მიმაქვს ნაცარი მათი, ჯერაც ცხელი.
ოჰ, თავზე გადავისვი დაფუფქული ხელი
და, ჰო – ბედნიერი ვარ:
არასმქონე დავალ
და ვაგრძელებ საკუთარ თავთან უწყვეტ დავას.

მასპინძლის ქალიშვილი

ხელისფანცქალით –
ვწერდი შენს პორტრეტს.
და ისევ – მწვანე ველის და კორდის
ხასხასი მედგა თვალწინ: მზის ფონზე
შენს მაღალ ფეხებს – ვარდისფერ ბოძებს –
მოჰქონდათ... შენივ პროფილ-ანფასი,
ლურჯ ქარს ანთებდა სივრცის დარბაზი
და სიყვარულის ნაყოფი – გული
სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა – სრულით!
...
შენს ნანატრ პორტრეტს მე ისევ ვხატავ
და უკრაინულ ნაბლებს და ხატას.

გადაღება

მერამდენედ იმეორებს გულის გამოცდილებას –
ფრთებს ისწორებს ეს ცხოვრება. ჩაიარეს წყვილებმა:
ზღვა – ამშვიდებთ, აგერ რო დულს და ტალღებად იშლება,
ტანთ გაიძრეს – წყლის სიშიშვლეს მიაშურეს შიშვლებმა.
ზღვაც – ლივლივით რომ ირეკლავს – ჩქერებს ართავს ფირებად
და ლურჯ-თეთრად სიყვარულის მიდის დაფიქსირება.

დაჭრილი ფრთები

ოდეს ეოსი ღიმილს მომფენს,
ამანთებს ცეცხლად,
ვარდისთივება, დიდებული და იდუმალი,
ვიღაც ჩამძახის, რომ ცის მკვიდრი
გახლავართ მეც და
აქ, ამ მიწაზე კი - რიგითი ერთი სტუმარი...
თვალს გაავაყოლებ გაფრენილ მერცხალს -
შურით... ეს შური ვის დაუფუძლო?
ვინ მიხმობს ფრენად? ამ მალალ ზეცას
ჩემთან საერთო რა აქვს, უფალო?
ანყდება მზერა ვეება ცარგვალს...
არსად ცხაური... არც არა - ღობე ...
ამ ცეცხლის ბურბურს, წვასა და დაგვას
ნეტავი, რომელ ვარსკვლავზე გრძნობენ?
რა სული მიმნარს! ან როგორ შევძლებ,
ვიფრინო იმა ვარსკვლავთა ხლებით?
ოდეს ამ სოფლის უსიერ გზებზე
ისევ ყმუიან მშიერი მგლები,
სულს რომ მართმევენ, მართმევენ სათქმელს,
რამეთუ მათ წინ ლოცვად არ ვდგები,
მათ წინ, რომელთაც ათასგზის შთანთქმეს
ჩემთვის ათასგზის დაჭრილი ფრთები.
და ვარსკვლავებსაც ვერასგზით ვწვდები,
ჩემს მოლოდინში გაბმულებს მწკრივად
და მტებს, და მტკიცე ნაჩეხი მხრები
და უსასოო სურვილი მტკიცეა.
ნუთუ ბოლომდე ასე დავშვრები?
რისთვის მოვსულვარ, რა ვარ და ვინ ვარ?
და როგორც მგლისგან დახრული ძვლები,
უსაგნო წლები მორევში ცვივა.

და ისევ ლაფში გდია სიმაართლა

მწერალთა ბოლო ყრილობის შემდეგ

ნუთუ ყოველი მართლა ფუჭია?
როგორ მოგვანყდნენ ყალბი ფერები!
ამ ნუთისოფელს, კახასს, უფიათს,
თურმე ვერაფრით ვერ მოერევი.
კვლავ ამედევენა ბედი მგელივით,
მოდი, პირფარი გარდამისახე, -
იქნებ, შევცვალოთ გზა, დანყველილი,
გზა უეჭველი დალუპვისაკენ.
ისევ ხორხორებს ბანდა მძარცველთა,
ქარმაც ნისლები კვამლში არია,
გულისპირი რომ ცრემლში დასველდა,
ეს ცრემლი რისი სანინდარია?
ბევრი ვილოცე. ბევრი ვინატრე,
ხელში ჩამატყდა მაინც მახვილი
და ისევ ლაფში გდია სიმაართლე...
გდია ჩიტივით, ფრთაში დაჭრილი.

შეგონებისთვის მაჰან-მაჰანთა

„ვაი თქვენ, მნივნობარნო და თვალთმაქცნო,
ვინაიდან გადასჭამთ ქვრივთა
სახლებს...“ „გარედან
რომ ლამაზები ჩანხართ, შიგნით კი სავსენი
ხართ
უნძინდურებით“...
მათეს სახარებიდან, თავი 23.

- აქ რას გვეჩვენებ? შენ ამ მიწაზე
არ გედგომება, ნიჭი არა გაქვს! -
უტიფრობს, შენს წილ ლუკმას იტაცებს,
თავი კი მოაქვს ქვეყნის ზვარაკად.
სულ რქებით მოდის, როგორც ნიკორა,
ვერც დაუდგება გზაზე ვერავინ,
მუცელი ვეღარ ამოიყორა...
მაშ რა ქნას? - გახლავთ „დიდი მწერალი“
შენ რას გახდები, შენ როგორ შეძლებ,
რომ საკადრისი მისი მიაგო!
თვითონ „ხელმწიფე“ ზრუნავს მის ბედზე,
ღმერთს მას ავედრებს საპატრიარქოც...
ესეც ამ ყოფის მღვრიე ლექია -
მოყვასთა სულელებს სად და ვინ უფლის?!
ამოახველებ ფილტვებს, ჭლექიანს,
ნაშიმშილევი და განწირული.
თვალს გაუსწორებ დღეებს, შფოთიანს,
ასე მუხთალს და ასე მღელვარეს...
პარნას - მერკურზეც, იქნებ ოთხია
დიდი კაცი და დიდი მწერალი!

ხელი ხელს ბანს და მხოლოდ „დაბანილ“
ხელს ჩამოართმევს მავანს - მავანი...
რა ვქნათ, თუ გვანვეს მწარე ჭაპანი
ცის მოჩახჩახე ხომ გვაქვს თავანიც.
ხომ ერთი ჰქონდა მწერლობას თემა! -
სიყვარულისთვის პატიუი, გვემა,
არც რა „მუშთარი“, არც - „ოტარიდი“,
მაგრამ სიმართლის იყო ტარიგი!
„ჩემი სჯობსო“ და... ვერც რას ვერ ეტყვი, -
ერთობ თამამი გახლავთ „მძლევარი“,
მაგრამ ხომ იწვის ახლაც ტერენტის
სული, ჯვალში დაუტევარი?
მკითხველი?
მოსხნის ჯვრიდან ბარაბას,
შენ აგვესება ლაფით თვალევი...
„ნუთისოფლისა რაკი არა ხარ,
არც ნუთისოფელს არ ეყვარები“ ...

●
მზე ვარო...
მთვარეც არა ხარ!
ვითომ რა ნათელს გასცემ!
გადაიარა ბალახმა
შენსკენ მომავალ გზაზე...
ცუდმედიდობით მთვრალი ხარ,
აგიბზეკია ცხვირი...
ვაიმე, რა მუხთალი ხარ!
გამახსენდება, ვტირი!

ნუ შეჰქმნი ურვას

ან... რა მიზეზი მოგეცი მდურვის?
ჩემს კეთილს ზედა რადა ჰქმნი ურვას?
არ მინდა ვნახო შენს თვალში შუღლი,
რა მოხდა, რატომ გაჯობა შურმა?
მეყო, რაც შხამი... სამსალა შევსვი,
მცირე რამ შევბა მომგვაროს ლექსმა...
რას გიშლის ჩემი მტკივანი ლექსი -
გულიდან ნამით მომწყდარი კვნესა?

არც ამირანი ყოფილა

იმ ელვას რად არ მოჰყევი
სურვილის მეხთატეხითა,
რომ ჩემი ნისლა კოშკები
ციდან ხმლით ჩამოგეფლითა?
რად ემაგ შენმა თეთრონმა
ზღვა ვერ გადმოვლო ნგრევითა?
შენს ლოდინში რომ მეთროლოა,
ისეთი სიტყვაც ვერ მითხარ.
ის კი სულ ჩოქვით მოვიდა,
კარზე გზა ამიტალახა,
ახლოდან იყო... შორიდან...
იცის სოფელმაც... ქალაქმაც...
არც ამირანი ყოფილა...
არც - ის, ლალი და უკადრი,
მაგრამ ის იყო, ვინც იყო
და სულზე მეტად ვუყვარდი...

ო, ნამეზიდავ

ციკლიდან „ცრემლით სავსე ხელადა“

კვლავაც სევდიან ფიქრებს ამიშლის
ყოფით ტკივილთა ჭრელი სინქრონი...
ამ ნარეკლიან სევდის ბალიშში
მძივივით წყდება ჩემი სტრიქონი -
ჯვარზე გაკრული, როგორც სიმართლე,
სადღაც უჩუმრად გამოკვირტული...
შენსავით ელტვის მზეს და სინათლეს,
სითბოს, სიხარულს გული, ჩიტუნი!
შფოთავს, წრიალებს, კედლებს აწყდება...
რა ქნას, რა გითხრას, რაზე გიმღეროს,
თუკი არასდროს შეგიყვარდება
შენც ასე მწარედ, საბედისწეროდ?
თუკი... მაგრამ მეც პირი გამიშრა,
თუნდ ერთი გულიც კი ვერ შევძარი!
ბიჭს დავტიროდი გუშინ ტამიშთან,
დღეს თავზარსა მცემს ციციქნა მეძავი -
პატარა გოგო, ვისაც ჯერ კიდევ
თამაში მართებს ჭრელ თოჯინებთან...
ვერ ვაპატიებ (ღმერთო, შემინდე!),

მზია ჩხეტიანი



ქვეყანა ასე ვინც გაიმეტა!
შერცხვა კაცობა მისი... „იმიჯიც“,
ვინც შიგნიდან ტებს დედაციხეთა,
ვინც სულს, ქვეყანას ყიდის იმისთვის,
რომ მოიხვეჭოს და... მოიხვეჭა!
აჰა, სიმართლე, ჯვარზე გაკრული!
იმედიც... სადღაც გამოკვირტული! -
აღდგეს, იქნება, თავსლაფდასმული
ეს ნამებული მხარე, ჩიტუნი!
ო, ნემეზიდავ! რისთვის არ იშლი?!
ტკივილს ტკივილზე რატომ მიწონი?
სისხლისფერ ვარდებს ვარჩევ ყვავილში,
წილად კი დარდი მხვდება, ქისონი!
ვერცა რა ოქროს დაღალს გავიშლი,
არც ძონისფერი მივის ქიტონი...
თვალ-გულს მიწვავენ, ავად ხრჩოლავენ
აზრი, ყალბი და სიტყვა, ლიტონი.
დროც... ჯიქურ მიმზერს, როგორც
მოვალეს,
მჩხვლეტს გულში, ვითა ბასრი ლითონი...
რა ვქნათ... ერთია მზეც და მთოვარეც,
მართლის მთქმელ-მქმნელნიც --
თითო-თითონი...

ის სიყვარული

პოეტ ნუნუ კერესელიძეს

ვარდს ფურცლებიდან ცრემლები მოსწვეთს...
გაინაბები ბუჩქთან გნოლივით...
ეს მზის კუნწულა ალუბლის ტოტზე,
ეს სიყვარული... გამოგონილი!
სხვა რაღა უნდა, ნეტავი, პოეტს...
აბა, ერთ პოეტს რა უნდა მეტი!
ამ მზისქვეშეთში სხვაი რა ჰპოვე,
ან რას დაეძებ, რა სამანს ელტვი...
შეგრჩა ოცნება ღრმა და მაღალი --
კვლავ მეოხ ეყო მაშვრალს და დაღლილს,
რა რიგ სათნო ხარ,
როგორ მახარებს
მაგ მშვიდ მზერაში გამკრთალი მადლი.

●
შენ ხარ დრაკონი...
ცეცხლოვანი შენ ხარ ქიმერა...
ტირი თუ მღერი
ვის ესმის ეს ტირილ-სიმღერა?
ხმას ვეღარ უწვდენ ამ ზღვებს -
ცრემლის უკიდო თასებს...
ვინ რას გაგიგებს,
ოდეს პირი წყლითა გაქვს სავსე!

●
ბოროტებამ იბარტყა და
ჩვენს საშველად აღსდგა კასტა
ჯადოსანთა, მჩხიბავთა და
მავან-მავან შარლატანთა.



იური კახნიაშვილი

- როცა მზე ძალას დაკარგავს და ჩამონევა ნისლი, ნისლში რომ ბჟუტავს ჯარგვალი, გადახურული ისლით, როცა მეგრელი თევზაობს და ბადეს ტბაში ისვრის, გაიკრიბალებს ჩონგური და მწველი ჰანგი ისმის, გაიტრუნება ბუნება და სიოც აღარ იძვრის, დაგუგუნდება გალობა მარტვილს, მცხეთას და ცინწისს. მთლად ჟრუანტელი დამივლის და აღარც დროა ფიქრის, რადგან მკვიდრი ვარ, ვიცი, ამ მაღლიანი მიწის.
- ამაყად მიმზერს მთები მამკოდის, აქ შორიასხლოს თიანეთია, თან ნაჰყვად დარდი ფშავის ნალკოტის, ის მამულივით ერთადერთია. თუ ვიცი სტუმარ-მასპინძლის წესი და ვუყოფ სტუმარს ალაღად ლუკმას, რეფრენად თან მსდევს მგოსანის ლექსი, ლექსი, რომელიც უკვდავყოფს ლუკას. აქ დაბრძანდება მისი აჩრდილი, აჰყვება მალა ჩარგლისკენ არავს, არწივი იყო მკერდში დაჭრილი და ამიტომაც არავის არ ჰგავს.
- დიმპიტაური, დამპიტაური დოლი, გარმონი და კინტაური. ქეიფს უხდება აყალ-მაყალი, ჟრიათული და აურ-ზაური. გაანან სილა, გლიჯე თაური, რისი მონარქი, რა აზნაური. რა ტკბილი იყო ჩემი ბავშვობა – ჭიათურა და დილიკაური.
- დონდლაბი, ციცქა და ხარისთვალა, ჭურებს რომ ხეთქდა ცოლიკაური, რა დააკინებს ჩვენს ჯიშს და მოდგმას, კვლავაც მხნედაა შეთეკაური.
- მთაში იციან სტუმრის მიღება ხინკალით, ლუდით, ჟიპიტაურით, დოღში შეჯიბრი, ცხენის ჭენება, ჭიდაობაში შუაკაური.
- მიგვიპატიჟა კაიშაურმა შემოიტანეს ჩობანყაურმა, გვერდს მიმშვენებენ არაბულები – ლექსით დამწვარნი, დადაგულები.
- ლექსმა იცის აღმაფრენა, განცდა სულის შემძვრელი, ვითომ შენ ხარ გუთნის მეზრე, მომხვნილი და მთესველი. სიტყვაზე ვარ დაგეშილი, როგორც მწყერზე მიმინო, თითქოს ფრთები გამომება, რომ სულ მალა ვიფრინო... ღმერთმა უწყის, ჩემი ფრენა რამდენ ხანს გაგრძელდება, პოეტიც ხომ მოკვდავია და თავის ბედს ნებდება...
- მეძავ ქალივით მღალატობს მუზა და წერის უნარი, ჩამსაფრებია „სნობიზმი“,

როგორც მსხვერპლს იაგუარი. პოეზიაზე როგორ ვთქვა მე უბედურმა უარი?!

- მომენტრა გელოური, ჩოხალთა და ბუჯა, მოპარული კახამბალი მუჭში ბლუჯა-ბლუჯა. ფეხშიშველი სიარული ამაყად და ურჩად. იმერეთის ცისკიდური მოხატული ლურჯად, ქალბატონი მოკლე კაბით, კანჭები რომ უჩანს, ჩაგიქროლებს ქურციკივით და გადაკვეთს ქუჩას.
- ივანობისთვე ჩამადნა ხელში და ნაღვლიანად გავცქერი სივრცეს, თეთრი არაგვი ხმაურობს ხევში, რომ საქართველოს სიმხნევე მისცეს. შავი არაგვიც არ რჩება ვალში – მთიელთა ბედზე აღმიძრავს ფიქრებს, თერგი ღრიალით ეშვება მთიდან, ქართველმა თავი ძილს რომ არ მისცეს.
- აცაბაცა დავდივარ, ვერ ვარ წელგამართული, მაინც შემრჩა ლამაზი პირველი ხმა ქართული. რამდენჯერ მიმღერია „წინწყარო“ და „ქალგულო“ შენთვის, ჩემო მამულო, მოხატულ-მოქარგულო. გულღია მასპინძელო, მტრებისგან დაჩაგრულო, სადიდებელად შენდა კოსმოსში ჟღერს „ჩაკრულო“.
- ალბათ, შემთხვევით არ მომხვედრია ჭორებისა და ტალახის გუნდა, რადგან, თუ მართლა ჩემი ხვედრია, შეურაცხყოფას გავუძლო უნდა. სულის სიღრმეში მე ვგრძნობ ნაპრალებს – სევდას უკვალოდ არ ჩაუვლია, ვილაც ცილს მწამებს, ლალატს მაბრალებს და თვით არ იცის, სადაურია. ზოგი ზვარაკად შენირულია და მეც მათ შორის ვიგულისხმები, მთავარი მაინც სიყვარულია – ანგელოზების მომესმა ხმები. დამარცხდი, მაგრამ არ დაცემულხარ ძალას ყოველთვის თავიდან იკრებ, მე შენთვის ვსუნთქავ, ედემო ჩემო, მოწოლილ სევდას გაუძლო, იქნებ. თეთრი არაგვი მორბის კუნტრუშით, შავი არაგვი ამიშლის ფიქრებს, ბორბალოს მთიდან ეშვება ნისლი და ანანურთან ჩამოყრის ფიქვებს. თეთრ სამოსელში ეხვევა მთები და შეაჟრჟოლებთ ჩათვლემილ ნიმფებს. მიკვირს, როგორ ძლებ უცხუმ-უგაგროდ, ცრემლები გახრჩობს და მაინც ითმენ.

თეო პინაქი

სასაღისო

გოგო იყო სადღაც თვრამეტ-ცხრამეტ-ოცსმილნეული, ცამეტ-თოთხმეტ-თხუთმეტ გოგოს შორის გამორჩეული, სილამაზე მას არ აკლდა, სიმკვირცხლე და სიცელქე, დავინახე, გავიფიქრე, შენ თუ არ მოგიხელთე!.. შემომხედა, გამიღიმა, ჩამიარა ალმაცერად, მკლავში მივწვდი, მოვაბრუნე, არც მაცია, არც მაცხელა, დაიცა-თქო, არ ნახვიდე, ორი სიტყვა მათქმევინე... ვინ მაცადა, სილა მტკიცა, სული ძლივს მომათქმევინეს. გოგო ხელიდან დამისხლტა, ჩაიციხა კეკლუცურად, (გოგო მაინც გოგოა და ეს ქცევა არ მეუცხოვა). შორიდან თვალი ჩამიკრა, მწარედ გტკიცე შემთხვევითო, ახლა ნავალ, სხვა დროს, ალბათ, სადმე კიდევ შევხვდებითო... გაიქცა და დაენია სხვა გოგოებს, წინ წასულებს... ვიმედოვნებ, ბედის ნავი მასთან ისევ მიმაცურებს. ან ვინ იცის, დაქადილი შეასრულოს, იქნებ, თვითონ, გულში დამრჩა ის სიტყვები – სადმე კიდევ შევხვდებითო.

ჰარაი დელა!

ჩვენ ვიზრდებოდით ერთმანეთთან და დროსთან ერთად, ჩვენი ბავშვობაც დროსთან ერთად იქცა წარსულად, მდინარის პირას, ცივ წყაროსთან, თუ კალოებთან დაიწყება და დამთავრდება ჩვენი ბავშვობა. დღეს შემოვძახებ, ჰარაიდა, ჰარაი დალო... მოგვეგებება და, პირიქით, და ისევ ყველას გველის სოფელი, ჩვენი ქუჩა და ძველი კალო. დღეს ფეხშიშველი აღარავინ დარბის ქვიშაზე, არც დაღმართები ჩაყინულა თოვლზე სრიალით, არც ძველებურად (ჩემებურად) არვის ჩაესმის დილადრიან სათოხარზე ყანის შრიალი, ღელის ხმაური, რახა-რუხი წისქვილის ქვების... ვხედავ პატარა ბიჭებს ისევ ხელში ანკესით, ამ მიწა-წყალით სულდგმულობენ წინაპართ ძვლები, ამ მიწა-წყალზე ირწეოდა ჩვენი აკვნებიც. ჩვენ ვიზრდებოდით ერთმანეთთან და ერთმანეთით, დღეს შევეხიზნეთ ბებერ თბილისს თითქმის ყველანი, სხვა გზა რომ არა, დავტოვებდი ქალაქს და მერე დამაშორებდა ჩემს სოფელთან ისევ ვერავინ: დავზრდიდი ხარებს, კარგ გუთანსაც გამოვჭედავდი, მოვხნავდი მიწას, დავთესავდი სიმინდს და ხორბალს, ქვითკირის ნაცვლად იმერულ ქოხს ავაშენებდი, ცოლსაც ვითხოვდი და შევქმნიდი ერთ ქართულ ოჯახს. ყოველ დილაზე ვილოცებდი სოფლის ტაძარში, კვირაში ერთხელ შევწირავდი „კლდეკარებს“ სანთლებს, სახლის ბოლოზე ჩვენებურ ვაზს გავაშენებდი, შვილები ხშირად მომიტანდნენ ყანაში სადილს. დღეს კი შევძახებ: ჰარაიდა, ჰარაი დელა, ჰარაი დელა, ჰარაიდა, ჰარაიდალო!



როგორც ქართველ მკითხველს მო-
ეხსენება, გალაკტიონის გარდაცვალების
შემდეგ, 1966-75 წლებში, გამოიცა პოეტის
თხზულებათა თორმეტტომეული. მე-7-ე
ტომში (1972 წ.) სხვა ნაწარმოებებთან ერ-
თად პირველად გამოქვეყნდა უსათაურო და
დაუთარილებელი ლექსი „ქარი დაცხრა სი-
ბობოქრის“.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ
ლექსის ეს პირველი სტრიქონი თორმეტ-
ტომეულის რედაქციაში იკითხება შემ-
დეგნაირად: „ქარი დაცხრა სიბობოქრის“,
ანუ ნაცვლად ზმნისა „დაცხრა“, გვაქვს
„დაცხრა“. ამავე რედაქციით შევიდა ეს
ლექსი პოეტის სხვა კრებულებშიც.

ისამის კითხვა: რატომ დავწერეთ ჩვენ
დღეს ამ ლექსის პირველი სტრიქონი, რო-
გორც „ქარი დაცხრა სიბობოქრის“? ამის
საფუძველს გვაძლევს პოეტის ის ხელ-
ნაწერი, რომელიც დაცულია გ. ლე-
ონიძის სახელობის ლიტერატურის
მუზეუმში. ეს ავტოგრაფი იზა ორ-
ჯონიძემ გამოაქვეყნა გალაკტიონ-
ლოგიის პირველ ტომში (2002 წ.)
დაბეჭდილ სტატიაში „ქარი დაცხრა
სიბობოქრის“, ხოლო შემდეგ ის
პოეტის ოცდახუთტომეულის 8-ე ტომში
(2005წ., გვ. 440) შევიდა.

თორმეტტომეულისა და ოცდახუთ-
ტომეულის ვარიანტებთან ერთად წარმო-
გადგენთ თავად ავტოგრაფს:

*ქარი დაცხრა სიბობოქრის,
შავი ზღვიდან სიო მოქრის,
მე გიცქერი, როგორც ოქროს,
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...*

*მე გიცქერი, როგორც ქარვას,
შორითშორად ფიქრით ნარვალს,
თან გაატანს ქართა ქარვას,
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...*

*ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად,
ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად,
რად მიჰყვებით ასე მკაცრად
ჩამავალ მზეს, ჩამავალს?*

*ქარი დაცხრა სიბობოქრის,²
შავი ზღვიდან სიო მოქრის,
მე გიცქერი, როგორც ოქროს,
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...*

*მე გიცქერი, როგორც ქარვას,
შორითშორად ფიქრი ნარვალს,
თან გაატანს ქართა ქარვას,
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...*

*ო, ფიქრებო, მსვენო ტაძრად,
ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად,
რად მიჰყვებით ასე მკაცრად
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.*

დავინყოთ იმით, რომ 2002 წელს, რო-
დესაც ი. ორჯონიძემ სტატია მიუძღვნა
ზემოაღნიშნულ ლექსს და გამოაქვეყნა
ავტოგრაფი, იქვე ლექსის ტექსტიც შე-
მოგვთავაზა.

მისი რედაქცია არ ემთხვეოდა არც
ავტოგრაფის და არც 1972 წლის პუბლი-
კაციას. თუ 1972 წლის ვარიანტში გვაქვს
„დაცხრა“, აქ არის „დაცხრა“, თუ იქ არის
„მიჰყვებით“, აქ არის „მიჰყვებით“. ამდე-
ნად, ერთადერთი ცვლილება, რომელიც
მან წარმოდგინა პუბლიკაციაში შეიტანა,
იყო ის, რომ „დაცხრა“ შეიცვალა ავტოგრა-
ფისეული სიტყვით „დაცხრა“.

და მაინც, ი. ორჯონიძის სტატიის მი-
ზანი იყო, ლექსის ტექსტი შემდგომ პუბ-
ლიკაციებში ავტოგრაფის მიხედვით შეს-
წორებულიყო. ის სავსებით სამართლიანად

„ნარვალი“, რომელსაც მხოლოდ ვინო
ბილიკებით თუ მიუძღვებოდა. როგორც ჩანს,
ქართული ენის განმარტებითა ლექსიკონ-
მა სრულად ვერ დაფარა „ნარვალის“ სე-
მანტიკური სპექტრი.

რაც შეეხება „ნარვალს“ და ზემოთ
წარმოდგენილ მის მნიშვნელობას, ის ვერ-
რავითარ შემთხვევაში ვერ გაერთიანდება
ლექსის შინაარსთან, როგორც უჩვეულო
სიტყვათშეერთებებიც არ უნდა ახასია-
თებდეს პოეტს.

იზა ორჯონიძე სიტყვა „ნარვალს“,
როგორც ზემოთ წარმოდგენილი მნიშვნე-
ლობის მქონე არსებით სახელს, საერ-
თოდ არ განიხილავს. როგორც ჩანს, მას
მიაჩნდა, რომ სიტყვა „ნარვალი“ აქ „ნარ-
მავალის“ მნიშვნელობით იყო ნახმარი და
ლექსის გამოქვეყნებისას დაშვებული იყო
შეცდომა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ

ვალ მზეს, ჩამავალს“, შემდეგ „მციქერით“
გადაუშლია და ზემოდან დაუწერია „მი-
ყვებით“. როგორც ჩანს, თავდაპირველად
პოეტს სურდა, საკუთარი თავი წარმოეჩინა
ჩამავალ მზედ. გავიხსენოთ ლექსი „ანგე-
ლოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, სადაც
პოეტი ანგელოზად წარმოგვიდგება და ეს
ანგელოზი მწუხარე თვლებით დაჰყურებს
ზემოდან დედამიწას⁷. სტრიქონის გასწორე-
ბული ვარიანტი კი გულისხმობს იმას, რომ
პოეტი, ისევე, როგორც ყველა სხვა მოკე-
დავი, ჩამავალ მზეს მიჰყვება. ეს ადამიანთა
არსებობის მიძიმე და სევდიანი გზაა, რომე-
ლიც ჩამავალ მზეს მიჰყვება და ამას ვერაფ-
რით ვერ ასცდება. ეს მკაცრად გაწერილი
ჯერ ბუნებაში და შემდეგ ჩვენს ადამიანურ
არსებობაში – „რად მიჰყვებით ასე მკაცრად
ჩამავალ მზეს, ჩამავალს“.

საფულისხმობა, რომ უსათაურო ლექ-
სში „ქარი დაცხრა სიბობოქრის“
პოეტი საკუთარ თავს ახლა უკვე
ფიქრთან აიგივებს: „მე გიცქერი რო-
გორც ქარვას, შორითშორად ფიქრი
ნარვალს“. ეს პოეტის ფიქრია, მისი
ფანტაზია და მსოფლებევა. ფიქრად
ქცეული პოეტი მზეს ჯერ ოქრო-
სა და ქარვას შეადარებს, ხოლო შემდეგ
ნარვალადაც წარმოდგენს, რადგან მზე
ყოველდღე ერთ გზას მიჰყვება და ეს გზა
უკვე გათვლილი და გაკვალულია მზის-
გან. აქ ნარვალს პოეტის ის ფიქრი შესც-
ქერის, რომელიც ლექსის ბოლოს, მესამე
სტროფში, ტაძრად დასვენებული – „ო,
ფიქრებო, მსვენო ტაძრად“. როდესაც ტა-
ძარი შემოქმედის ნაათრებს მიხედვით
აიგება, მისი ფიქრიც ამ ტაძარში დაიდებს
ბინას. ეს ფიქრები ტაძრად კი არ დაიან,
როგორც ამას რედაქტორები გვთავაზობ-
დნენ (ო, ფიქრებო, მსვლელნო ტაძრად),
არამედ ამ ტაძარში არიან გაცხადებული
და განსხულებულნი, რაც ნიშნავს იმას,
რომ ისინი ტაძრად არიან დავანებულინი
და დასვენებულინი. ამიტომაც იტყვის პოე-
ტი – „ო, ფიქრებო, მსვენო ტაძრად“.

ეს ფიქრითა და აზრით შექმნილი ხუ-
როთმოძღვრული (და არამარტო) ტაძა-
რია, რომელიც დროს დინების შედეგად
მტვრად და ნაცრად იქცევა ხოლმე. ჩვენც
ასევე მკაცრად მიყვებით ჩამავალ მზეს
ამ ცხოვრების მიერ უკვე გათვლილ და
გაკვალულ ოღრო-ჩოლორ გზაზე.
დაცხრა პოეტის ვნებათა ლეღვა და
ცხოვრება მას აღსასრულისკენ მიაქანებს.
ცხოვრების ოქროსფერი შემოდგომის ამ
განცდას ზღვის სიო ესაღბუნება („შავი
ზღვიდან სიო მოქრის“) და ქარცი ქარვისფ-
რად ქრის („თან გაატანს ქართა ქარვას“). თუ
ლექსში „ქარი ჰქრის“ პოეტმა ალიტერაცია
„ქარისა“ და „ქროლვის“ დაწყვილებით შექმ-
ნა, აქ „ქარი“ „ქარვასთან“ დაწყვილება და უმ-
შვენიერეს ბგერნერულ ჩარჩოში ბრძნული
ხედვითა და უნაზესი ემოციებით დატვირ-
თული ბუნების ნატიფი სურათი ჩასვა.
ამდენად, თავს უფლებას ვაძლევ, ლექ-
სის ტექსტი ავტოგრაფის მკაცრი დაცვით
შემოგვთავაზოთ:

*ქარი დაცხრა სიბობოქრის,
შავი ზღვიდან სიო მოქრის,
მე გიცქერი, როგორც ოქროს –
ჩამავალ მზეს, ჩამავალს...*

*მე გიცქერი, როგორც ქარვას,
შორითშორად ფიქრი ნარვალს,
თან გაატანს ქართა ქარვას,
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.*

*ო, ფიქრებო, მსვენო ტაძრად,
ო, ქცეულნო მტვრად და ნაცრად,
რად მიჰყვებით ასე მკაცრად
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.*

გალაკტიონის ერთი ლექსის ვაშლი

ინესა მერაბიშვილი

მოითხოვდა, რომ მეორე სტროფის მეორე
ხაზში შემდგომში დაბეჭდილიყო არა „ფიქ-
რით“, არამედ „ფიქრი“, რასაც ავტოგრაფი
გვთავაზობს. ეს კი, მოგეხსენებათ, სრუ-
ლიად ცვლის სტრიქონისა და სტროფის ში-
ნაარსს, რომ აღარაფერი ვთქვათ ლექსის
მთლიან შინაარსზე.

ამასთანავე, სტატიის ავტორმა სხვა
ცვლილების შეტანაც მიიჩნია საჭიროდ;
კერძოდ, მეორე სტროფის მეორე ხაზში
სიტყვა „ნარვალი“ შეცვლილიყო სიტყ-
ვით „ნარვალს“. გულდასაწყვეტი იყო ის,
რომ სტატიის ავტორმა არაფერი მიანიშნა
პუბლიკაციის ისეთ გარდევებაზე ავტოგ-
რაფთან მიმართებაში, როგორც ბოლო
სტროფის პირველი ხაზი შეიცავს: ავტოგ-
რაფში გვაქვს – „ო, ფიქრებო, მსვენო ტაძ-
რად“, პუბლიკაციებში გექონდა „ო, ფიქ-
რებო, მსვლელნო ტაძრად“.

„გალაკტიონოლოგიის“ I ტომის პრე-
ზენტაციისას მე პირადად ვთხოვე ქალბა-
ტონ იზას, მომავალ პუბლიკაციებში აუცი-
ლებლად გაეთვალისწინებინა ზემოაღნიშ-
ნული ფაქტი. მოხარული ვარ, რომ ეს ასეც
მოხდა და, როდესაც იზა ორჯონიძის რე-
დაქტორობით გამოიცა პოეტის ოცდახუთ-
ტომეული, ამ ლექსში სიტყვა „მსვლელნო“
მართებულად შეცვალა სიტყვამ „მსვენო“.

მაგრამ ამავე ტექსტში სიტყვამ „ნარ-
ვალი“ ჩანაცვალა სიტყვა „ნარვალს“, რა-
საც ჩვენ არ ვეთანხმებით, და აი რატომ:
პირველ ყოვლისა, ვთქვათ, თუ რას ნიშ-
ნავს ეს ორი არსებითი სახელი ქართულ
ენაში. არნ. ჩიქობავას რედაქციით გამო-
სულ ქართული ენის განმარტებით ლექსი-
კონში¹ ვკითხულობთ შემდეგს:

ნარვალი – ოღრო-ჩოლო, ოკრო-
ბოკრო ადგილი (ქუჩაში, გზაზე...).

ნარვალი (კუთხური) –
ქვევრის თავზე მოვლებუ-
ლი ღარი, რომელიც ერთ
მხარეზე გახსნილია წვიმის
წყლის გადმოსადენად.

მართალია, სიტყვა „ნარ-
ვალი“ ლექსიკონში გან-
საზღვრულია, როგორც
ოღროჩოლო, ოკრობოკრო
ადგილი, მაგრამ ძირითადად
ასეთი ადგილი ხომ ქუჩა-
ზე ან გზაზე გვხვდება, რაც
იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ
სიტყვის ხმარებისას ოღრო-
ჩოლო ადგილს მეტწილად
უვითარდება „ოღროჩოლო
გზის“ მნიშვნელობა. ამიტო-
მაც შემთხვევითი არ არის,
რომ დონალდ რეიფილ-
დის რედაქციით მომზადე-
ბულ ქართულ-ინგლისურ
ორტომეულ ლექსიკონში²
„ნარვალის“ გასწვრივ, რო-
გორც განმარტება, დგას
ორი ინგლისური სიტყვა:
"pot-hole" და „rut“. თუ პირ-
ველი, ანუ "pot-hole" – ოღ-
რო-ჩოლო ადგილსა და
ლრანტს ნიშნავს, მეორე
– „rut“ – გაკვალულ, ნაურ-
მალ და გათვლილ გზას ან
ბილიკს აღნიშნავს. არც ისაა
შემთხვევითი, რომ ხაშურის
სიახლოვეს არის სოფელი

გალაკტიონი ასობეს „ნ“ და „ნ“ ერთნაი-
რად გამოსახავდა. ამის საილუსტრაციოდ
ავტორს მოყავს პოეტის ერთ-ერთი ლექ-
სის ხელნაწერიც³. აი, რას წერს ის ამის
შესახებ: „შეცდომა ნაწარმოების პირველ
პუბლიკატორებს მოსვლიათ. მათ ვერ შე-
უნინებიათ გალაკტიონის კალიგრაფიის
ზოგიერთი თავისებურება და „ნ“-ილის
მაგივრად „ნ“-არი ამოუკითხავთ. აი ასე
გაჩნდა ამ სტრიქონში ზმნის – „ნარვალის“
ნაცვლად სახელი – „ნარვალი“⁴.

გვმართებს დაფიქრება იმაზე, რომ გა-
ლაკტიონის სიტყვათშეერთებებს არასო-
დეს გულისხმობს ქართული ენის პრიმიტი-
ულ დაქინებასა და დამახინჯებას. ამდე-
ნად, პოეტი არ შექმნიდა „ნარმავალისგან“
„ნარვალს“, ისევე, როგორც „მომავალის-
გან“ არ შექმნიდა „მოვალს“. თუ მავანსა და
მავანს გალაკტიონი ისეთი გულბრყვილო
მერთიმე ჰგონია, რომ რითმაში ჩასასმე-
ლად სიტყვას უხეშად შეამოკლებდა, მაშინ
ჩვენ ძალიან დიდ უხერხულობასთან გვექ-
ნება საქმე. გადავხედოთ გალაკტიონის
რითმებს და დავრწმუნდებით, რომ რით-
მათა წყვილში მოქცეული სიტყვები ბუნებ-
რივად ერთიან ერთიმეორეს და იქმნება
სრული პოეტური ჰარმონია, რასაც ლექსის
ევფონია, ანუ კეთილზმოვანება ჰქვია.

მოცარტის არ იყოს – ბგერა ბგერას
უნდა უხდებოდეს. ასე უხდება გალაკ-
ტიონის ყოველი ბგერა მასთან დაკავ-
შირებულ მეორე ბგერას, და, საერთოდ,
ტექსტის მთელ ქსოვილს. თავად სიტყვაც
„ტექსტი“ (text) ხომ ქსოვილს ნიშნავს!

თუ ჩვენ დაუშვებთ ლექსის მეორე
სტროფში „ნარვალის“ ნაცვლად „ნარვა-
ლის“ არსებობას, ბგერა „ნ“ უხეშად ანიე-
ლდება ტექსტში, რადგან მას იქ მსგავსი
არაფერი ეხმიანება და ის დაარღვევს ლექ-
სის ერთიან ბგერნერას, რაც ენიხაღმდე-
გება გალაკტიონის ნატიფ გემოვნებას.


რაც შეეხება იმას, რომ, თანახმად გა-
ლაკტიონის კალიგრაფიისა, „ნ“-ილს პოეტი
ხშირად გამოსახავს, როგორც „ნ“-არს, აქ
უბრალოდ დაეძინა: პოეტი თავად ასო „ნ“-
ს ხომ ნამდვილად წერს, როგორც „ნ“-არს?

დავუბრუნდეთ ისევ ლექსის კეთილ-
ზმონებას. თუ მეორე ხაზს წავიკითხავთ,
როგორც „შორითშორად ფიქრი ნარ-
ვალს“, დავრწმუნდებით, რომ ის ბუნებრი-
ვად ჯდება ლექსის ბგერნერაში და სიტყვა
„ნარვალი“ ეხმიანება მეორე სტროფის მე-
სამე ხაზში ისევ „ნ“-არის შემცველ სიტყ-
ვას – „გაატანს“, ხოლო ბოლო სტროფ-
ში ამავე ბგერის შემცველ სიტყვებს:
„მსვლელნო“, „ქცეულნო“ და „ნაცრად“.

რაც შეეხება თავად რითმებს, ისინი
სრულ ჰარმონიაში აღმოჩნდებიან: სიბო-
ბოქრის – სიო მოქრის – როგორც ოქროს;
ქარვას – ნარვალს – ქარვას; ტაძრად –
ნაცრად – მკაცრად.

ამასთანავე, კიდევ ერთი მნიშვნელო-
ვანი ავტოგრაფისეული დეტალი დარჩა
გაუთვალისწინებელი: მესამე სტროფის
მესამე ხაზში ავტოგრაფში იკითხება „მი-
ყვებით“. ეს სიტყვა 2005 წლის რედაქციით
გამოქვეყნდა, როგორც „მიყვებით“, ხოლო
1972 წელს, როგორც „მიჰყვებით“. ჩაიხე-
დოთ ავტოგრაფში, საკუთრივ მის ბოლო
სტროფში: თავდაპირველად პოეტს ჩაუწე-
რია – „რად მიცქერით ასე მკაცრად, / ჩამა-

¹ იხ. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი
თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1972, გვ. 9.
² იხ. გალაკტიონ ტაბიძე, საარქივო გამოცემა
ოცდახუთ წიგნად, ტ. VIII, თბ., 2005, გვ. 268.
³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
რვა ტომად პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო
რედაქციით, თბ., 1950-1964.
⁴ დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, A
Comprehensive Georgian-English Dictionary,
Garnett Press, London, 2006.
⁵ იზა ორჯონიძე, „ქარი დაცხრა
სიბობოქრის“, წიგნში: გალაკტიონოლოგია, I
ტ., თბ., 2002, გვ. 219-220.
⁶ იქვე, გვ. 216.
⁷ იხ. ინესა მერაბიშვილი, გალაკტიონის
ენიგმები, თბ., 2003, გვ. 65-93.



დაე, გახდეს. მეორეს მხრივ, ეს ის როლია, უთვალავ ქალ მსახიობს რომ მოუსინჯავს. თანაც ისე იქნება აღქმული, თუ რაღაც თანამედროვე, პროგრესული სკოლა ვართ.

დრამის მასწავლებელი გაფითრდა. ინგლისურის მასწავლებელი ცრემლებს ყლაპავდა. ლიდერის ხმაში ფოლადისებრი ნოტა დაიჭირეს და მათაც გაითვალისწინეს საბანკო ბალანსების ხიბლი.

ჩვენი ბელინდა კი თავით ფეხამდე გადაეშვა რეპეტიციებში. პირველი დაზარალებულიც უილიამ შექსპირის უკვდავი ლექსები აღმოჩნდა.

– სასაცილოდ ჟღერს, – თქვა ბელინდამ, – თანაც არ მესმის, რას ნიშნავს, ვერ შევძლებთ ვაიძულოთ იგი, რომ შეცვალოს?

– უილიამ შექსპირი, – აუხსნა მას დრამის მასწავლებელმა, – ოთხასი წლის წინ გარდაიცვალა.

– მაშასადამე, უარს ვერ გვეტყვის, თუ შეცვლას დავაპირებთ, ასე არაა? – თქვა ბელინდამ. – და კიდევ, თავს ნუ მოვიტყუებთ. ომლექტე ცოტა სულელური სათაურია. არ შეგვიძლია ვორჯი დავარქვათ? ან თუ დანიელად ყოფნას აპირებს, რას იტყოდით, რაღაც უცხოური სახელი მოვუძებნოთ, ვთქვათ, ბორისი ან პედრო.

მასწავლებლებმა სათანადოდ უპატაკეს მისის რიჟემონდს, რომ მიუხედავად მათი დიდი მცდელობებისა, გადაერჩინათ პიესა, იგი ახლა შესრულდება მოდერნისტულ ინგლისურში. მისის რიჟემონდი ძლივს ამოიხსნტა და დათანხმდა, რომ ეს იქნებოდა გაცილებით მოდერნისტული და პროგრესული. ჩათვალა, რომ სიახლეები, რაც პიესამ შეიძინა, გააღრმავებდა მას შიგნით მდებარე სიმღერებს (ან ნომრებს) ნყალობით, როგორც მათ ბელინდამ უწოდა. იმისაგან, რაც ბელინდას თვალსაზრისით, ტექსტს ბოჭავდა ამ სიახლეების შემოტანით, პიესამ მართლაც ამოიხსნტა. თანამედროვე პიესა თანამედროვე სამოსში, ამაზე მეტად მისაღები რა უნდა ყოფილიყო?

– ბელინდამ მინც თავისი გაიტანა, რომ დედისგან ნათხოვარი, საკუთარი კოსტიუმი ცმოდა, – თქვა დრამის მასწავლებელმა ნეტარი ლიმილით. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რას საქმიანობდა გორგეუს გერტიე. არც ის იცოდა, რომ ბავშვი დედის შემცირებული ასლი იყო, ხოლო კაბაზე კილიტები, ბრჭყვი-ალა ნამცეცები და ფორიც – შემცირებული.

მისის რიჟემონდი საღამოს წარმოდგენის გახსნის მოახლოებისას, აფიშების მომზადებაში, თეთრად გაათენა რამდენიმე ღამე. რაც მეტს ისმენდა ამ პიესის შესახებ, თავს მით უფრო მეტად გრძობდა დასუსტებულ პირად. მის სკოლას ჯერაც არგავიონილი გამასხარავება ემუქრებოდა. შემდეგ კი მოსწავლეთა გადინება. რატომ, ოჰ, რატომ აირჩიეს ეს „ჰამლეტი“!

ჰოდა, ერთ ადრიან დილით, განთიადისას, სიმშვიდედაკარგული, ისევ და ისევ მშფოთვარე მისის რიჟემონდი უცაბედად მიხვდა, რომ ბელინდამ თავადვე მიაგნებინა გამოსავალი. თუ პიესას სხვა სათაური ერქმეოდა, ვერავინ გაიგებდა, აქ რაა ნაგულისხმევი და ყველაფერი მშვიდობიანად წარიმართებოდა.

– ბევრი ვიფიქრე, ბელინდა, იმაზე, რასაც შენ ამბობდი, – უთხრა მან თავის ვარსკვლავს მეორე დღეს, როცა მორიგ რეპეტიციაზე დასასწრებად, აკანკალებული მივიდა, – „ჰამლეტი“ პიესისთვის მართლაც სულელური სათაურია, შენ ანკი როგორ მოგეწონებოდა? – მუდამ მომწონდა სახელი გილი, ხომიანად ჟღერს. და შეგვეძლო, ისე მოგვეხერხებინა, რათა ყოველივე სადმე, უკეთეს მზიან

მხარეში ხდებოდა, რაც ჩემს კაბას უკეთ შეეხამებოდა. ბრაზილიაზე რას იტყოდით?

მისის რიჟემონდი ამოიხრა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა მეექვსე საშტეტრო-სახელოვნებო კლასის მიმართულებით, სადაც აფიშებს ამზადებდნენ. ერთ-ერთ მათგანზე ეწერა: „ბრაზილიის პრინცი გილი“.

მისის რიჟემონდს თანხმობის გარდა რაღა დარჩენოდა.

წარმოდგენის გახსნის საღამოს, როცა დირექტორმა მაცურებელთა რიგებს გადახედა, ეცადა, არ შეემჩნია, რომ გორგეუს გერტიეს ეჭირა კლასიონი, მისტერ გორგლის კი დიდი პლაკატი წარწერილი: „დასცხე მათ, გოგონა!“ თავად სპექტაკლი კი უარესი და იმავდროს უკეთესიც აღმოჩნდა, ვიდრე ამას დირექტორი შიშობდა. შექსპირზე გაფიქრებაც კი ტირილს მოგვგრდდა და საკმევე დამაღვა მოგინდებოდა. მაგრამ პიესის წარდგენა, როგორც თეატრალური სიახლისა, თვით სანახაობა, საკმაოდ მხიარული, მოულოდნელი და ნოვატორული იყო. ბელინდას შესრულებამ – „მინდა, არვინ დაკარგოს მშობელი, როგორც მე!“ – გამოიწვია მქუხარე ტაში და ცრემლი მისის რიჟემონდის თვალზე. სასაფლაოს სცენაში მიმდინარე ტაში, თავის ქალბით ხელში, დარბაზს სუნთქვა შეუკრა. მისის რიჟემონდი ხშირ-ხშირად იხედებოდა განზე, მისი რიგის გასწვრივ მჯომი რეპორტიორისკენ, ბლოკნოტში რაღაცას რომ წერდა აჩქარებით. სადაც, გულის სიღრმეში დირექტორს პანანა იმედი გაღვიძებოდა, იქნებ სკოლა შეექოთ კიდევ თამამი მიდგომებისთვის, ირონიისა და გონებაშეხილობისთვის, პაროდისა და სტილიზაციის ოსტატურად გამოყენებისთვის.

რასაკვირველია, მისის რიჟემონდი ცდებოდა. მეორე დღეს ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა მოწინავე სტატია: „ჰემელდენის საშუალო სკოლა – ეპოქის დასასრული“, – სადაც პირდაპირ მოზღბებისთვის რჩევაზე გადადიოდა, რათა იქიდან თავიანთი ბავშვები სასწრაფოდ მოეცილებინათ. „ამ ოდესღაც შესანიშნავმა სკოლამ, – კითხულობდა დირექტორი, – ამჟამად უარყო კლასიკოსები თავისი მიმკერძობლური, ეგრეთ ნოდებული მოდერნისტული ხელოვნებითა და ექსპერიმენტული თეატრით. წინა ღამის სპექტაკლი „ბრაზილიის პრინცი გილი“ იყო სწორედაც რომ სასაცილო (სევდიან ნაწყვეტებში) და სევდიანი (კომიკურ ნაწილებში)“.

ამრიგად, იყო კი ყოველივე ასე: მტირალი მისის რიჟემონდი ცრემლით ნამავდა საწერ მაგიდას, კბილების ღრჭენით იკვნეტდა დაუფროდებულ ბავშვებს, როცა ხედავდა, ერთიმეორის მიყოლებით მქროლავი მანქანებით როგორ გაჰყავდათ მოსწავლეები იმ მშობლებს, რომლებსაც ბოლომდე ვერ დაეჯერებინათ ჰემელდენის სკოლის უდრეკი სტანდარტები? ნურას უკაცრავად. დირექტორი მშვიდად ნრუპავდა მირთმეულ ყავას, თან ნაზად ილიმებოდა. დიახ, მას წლობით ჰქონია მშობლებთან უამრავი დრამატული შეხვედრა, მაგრამ ვისაც კი ოდესმე იცნობდა, არავის სახე არ შემორჩენია მის მესხიერებას ისეთი გალაფლაჟებული და გაბადრული, როგორც მისტერ გორგლისა, როდესაც იგი ხელში უდებდა დაპირებული თანხის ჩეკს ოთხი ვადისათვის.

– ესაა საფასური ბოლო გროზამდე, რათა გვენახა, რა მაგარია ჩვენი გოგონა, – თქვა გორგლიმ, – შესანიშნავია თქვენი სკოლა, მისის რიჟემონდ!

და მისის რიჟემონდი, თითქოს აქაც არაფერი, დაეთანხმა მას.

ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ კახიანმა

დათო ცერცვაქი

„უკაცრავად, პირველი თქვენ ბრძანდებით? თქვენ ჩემს შემდეგ იქნებით“

(გია ფერაძე /არასერიოზული კაცის ხსოვნას/)

ქარში რომ გახვალ, აღარ უნდა მობრუნდე მერე... ერთი გასროლით მკვდარი კაცის სიცოცხლის არ მნამს, უნდა იარო... ჯანდაბამდე გზები არ მიდის, უნდა ეძებდე... (თანაგრძნობის გარდა ყველაფერს) ამ გზებზე მინც... რა მოხდა მერე?! – თუ სხვებივით ძილი არ იცი, ყველა სიზნელე მკერდით უნდა შელენო მთვრალმა. რა მოხდა მერე?! – საკმარისზე მეტს თუ არ იცდი, სულში ფრჩხილივით ჩაბრუნებულ ცხოვრებას – დრამას და აქვს სათქმელი... „უკაცრავად, პირველი თქვენ ბრძანდებით? თქვენ ჩემს შემდეგ იქნებით“, – რა მოხდა მერე?! – თუ სიცოცხლეს ფეხში არ მისდევ, თუ არასოდეს გიცხოვრია სხვების ცხოვრებით, თუკი ქუჩაში გადისარ და გროშიც არ გიდევს... ჯიბეში... რადგან იშვიათად გტოვებენ მარტოს, რა მოხდა მერე?!

ჰო, ეს ცხოვრება სპექტაკლია, თუ არ თამაშობ, დგახარ, უყურებ ამ ფეხადგმულ ხროვას – საფლავებს, უნდა უბერო სული შენით ძარღვებს... გააშრო, სანამ მოვლენ და სხალთის პირზე გაგხდინა საგებს – უნდა მოასწრო... ჰო, ყველას თვალში გიჟი არის კაცი, რომ გადის თვითონ მშიერი, ქუჩის ძაღლებს აპურებს, დგება... სხვას ეს ცხოვრება ერთ გავსებულ ხორცად უღირს და რა მოხდა მერე, თუ მშიერი კაცი დანება – რა მოხდა მერე?!

ჰო... იჭორაონ (ღამეებიც უთენებიათ), რომ ამ ცხოვრებას შელენილი მკერდით მიჰყევი, ილაპარაკონ... არასოდეს გაახსენდებათ ძარღვზე წვეთებად გაყოლილი სისხლი – სიტყვები.

ქუჩა ნანვიმარია...

რა მოხდა, თუკი ყველაფერი ტკივილს აენყო, მერე რა, თუკი ეს ქუჩებიც ნანვიმარია... თუ ვერ შეეძელი, ყველაფერი ისევ დაგენყო თავიდან... ქუჩაც, სიცოცხლეც და გზაც სიზმარია...



მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-

ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კვირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ელ. ფოსტა: print@asavali.ge